პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 იანვარი **შაბათი** 2013 **№020 (13 936)** ფასი 80 თეთრი

ლეგენდის სუფრასთან

## ვაჟა კაჭარავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



11

# დემეტრაძე: იმ დონის ვარსკვლავი არ ვარ

**ფეხბურთი ძალიან მომენატრა**
**რუსეთსა და უკრაინაში არის ვარიანტები**
**კახა მეც და ჩემს ოჯახსაც ყველანაირად გვეხმარებოდა**



ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან 2

## შენგელია: 39

ამერიკელთა ვერდიქტი: NBA-ს მომავალი ვარსკვლავი

39 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა



12



## ფრაიბურგში იაშვილი გაახსენდათ

გერმანია კლასიკის მოლოდინში

ევროპული ლიგები 5-9

# თემურ ქეცბაიამ გელაშვილი იხმო



4

სატრანსფერო სეზონი



### რეალმა მეკარე იყიდა!

გუშინ **იკერ კასილიასმა** ტრავმირებულ ხელზე ოპერაცია გაიკეთა და დადგინდა, რომ კაპიტანი სულ მცირე, 12 კვირას გამოტოვებს. ამდენი ხანი **ანტონიო ადანის** იმედად ყოფნა კი კლუბმა არ ინება და „სევილიას“ 31 წლის გოლკიპერი **დიეგო ლოპესი** შეიძინა. მან „სამეფო კლუბთან“ 2017 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.



### ანელკა იუვენტუსში

ტურინის „იუვენტუსი“ **ნიკოლა ანელკას** შეუთანხმდა და ფრანგი ვეტერანი 6 თვით „ბებერ ქალბატონში“ გადავა, ჩინური „შანხაი შენხუა“ კი 600 ათას ევროს მიიღებს.

### ევრო 2020 - 13 ქალაქი, 13 ქვეყანა



უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** განაცხადა, რომ ევრო 2020-ის ფინალური ეტაპი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 13 ქალაქში გაიმართება. ერთი ქვეყნიდან ერთი ქალაქი შეიძლება მარტო, ასე რომ, ევროპის ჩემპიონატს ერთბაშად 13 ქვეყანა უმასპინძლებს თუ რომელ ქვეყნებს ექნებათ ეს პატივი, უეფა 2014 წლის სექტემბერში გადაწყვეტს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან



# ფეხბურთი ძალიან მომენატრა

## სიონს მადლობა, მაგრამ...

უკვე ვნერდით რომ ბოლნისის "სიონის" სპორტულ დირექტორად დანიშნულმა ლადო ბურდულმა, ციხიდან ახლახან გათავისუფლებულ გიორგი დემეტრაძეს ბოლნისური კლუბის სელექციონერობა შესთავაზა.
„კლუბიდან ნებართვა მივიღე, გიორგის შევხვდი და მართლაც შევთავაზე "სიონში" სელექციონერად მუშაობა. მიმაჩნია, რომ ასეთი პიროვნება და პროფესიონალი ნებისმიერ კლუბს სჭირდება და მოთამაშეთა შერჩევაში არ შეცდება. გიორგიმ მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა, რადგან უცხოეთიდანაც აქვს შემოთავაზებები. მალე ყველაფერს გაარკვევს და მისი პასუხიც გვეცოდინება" - თქვა ლადო ბურდულმა "ლელოსთან" საუბრისას.
გიორგი დემეტრაძესთან ინტერვიუში დავინტერესდით, რა გეგმები აქვს, რომელ უცხოურ კლუბში ინვევენ, აპირებს თუ არა გამოსამშვიდობებელი შეხვედრის ორგანიზებას და ასე შემდეგ...



**- ლადო ბურდულმა "სიონში" მუშაობა გათავისუფლებისთანავე შემოგთავაზა. მაგრამ შენი პასუხი უცნობია.**

- რა თქმა უნდა, ამ მიწვევისთვის "სიონისა" და პირადად ბურდულის მადლობელი ვარ. მაგრამ უცხოეთიდან რაღაც ვარიანტები შემომთავაზეს და ამის გამო "სიონში" მუშაობაზე უარი ვთქვი.

**- თანამშრომლობას კიდევ რომელ კლუბში გთავაზობენ და რა პოსტზე?**

- რუსეთსა და უკრაინაში არის ვარიანტები, მაგრამ ჯერ გაურკვევლობაში ვარ. ახალი გათავისუფლებული ჯერ კიდევ ვისვენებ. მოსაფიქრებლად დრო კიდევ მჭირდება, მომავალში რა გზას დავადგე და სად ვიმუშაო.

**- დაინტერესებულ კლუბებს არ გვეტყვი?**

- დაკონკრეტება ჯერ არ შემიძლია, რადგან ზოგადი წინადადება იყო. მართლაც არ ვიცი, თანამშრომლობა რომელ კლუბებს სურთ და რა როლში წარმომიდგენენ. ეს ყველაფერი დეტალურად უნდა განვიხილო. ფაქტია, რომ კარიერა დავასრულე და მომავალ საქმიანობაზე დაფიქრება მჭირდება, რა შემიძლია და მირჩევნია.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ კახა კალაძე, რომელიც ციხეში ყოფნის დროს გეხმარებოდა, ახლაც არ დაგტოვებს უყურადღებოდ. რამდენად მართალია, თითქოს, კალაძე "სამტრედიისთვის" სპონსორებს ეძებს, სადაც ერთ-ერთ ხელმძღვანელად შენ მოიაზრები?**

- კახა რომ მეც და ჩემს ოჯახსაც ყველანაირად გვეხმარებოდა, ეს ცნობილია ამბავია. ამას ვერასოდეს დავივიწყებ. მაგრამ ჯერ ჩემს საფეხბურთო მომავალზე არ გვილაპარაკია.

**- კარიერა კი დაასრულე, მაგრამ გამოსამშვიდობებელი შეხვედრის ჩატარებას არ აპირებ?**

- მე იმ დონის ვარსკვლავი არ ვყოფილვარ, ასეთი თამაშის ჩატარების სურვილი რომ გამიჩნდეს.

**- თავმდაბლობა კარგია, მაგრამ სამი ქვეყნის (საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის) ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა პატარა ამბავი მართლაც არ არის.. ასე იმიტომ ხომ არ ლაპარაკობ, რომ მატჩის ორგანიზებას დიდი თანხა სჭირდება?**

- ფული არაფერ შუაშია. ბომბარდირობა მართლაც კარგია, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, რომ ჩემგან ასეთი შეხვედრის ჩატარება უხერხული იქნება. კახა კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩში კი სიამოვნებით ვითამაშებდი. კაცმა ჩემპიონთა ლიგაში ორჯერ გაიმარჯვა, ანუ ორგზის ევროპის საკლუბო ჩემპიონია. ისეთ დონეზე ითამაშა და ისეთი ტიტულები მოიპოვა, დაფასებას ნამდვილად იმსახურებს.

**- კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი როდის გაიმართება?**

- ეს ჯერ ზუსტად არც ვიცი; ასეთი მატჩის ორგანიზებას დიდი დრო სჭირდება. მოთამაშეების ჩამოყვანა პრობლემა არ არის, კახას ყველა დიდი პატივს სცემს, მაგრამ ჩამოსვლის დრო არის შესათანხმებელი.

**- როგორც ვიცით, კალაძეს "მილანის" ჩამოყვანა სურდა.**

- მე რაც ვიცი, ასეა გადაწყვეტილი, იტალიელებს ველოდებით. ყველაზე დიდ წარმატებებს სწორედ "მილანში" მიაღწია და ამ გუნდის მოწვევა ლოგიკურიც იქნება.

**- თავისუფლებაზეც ვარჯიშობ, თუ ჯერ კიდევ ისვენებ?**

- არა, ვისვენებ. თავისუფლება კარგი რამ არის და მინდა ამოვისუნთქო. ვარჯიშს ორშაბათიდან განვაახლებ. თუმცა, ფეხბურთი ძალიან მომენატრა და მინდა ხშირად ვითამაშო.

**- სხვათა შორის, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ჰყავთ ვეტერანთა მუდმივმოქმედი ნაკრები, რომლის წევრებიც სისტემატურად ვარჯიშობენ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობენ.**

- ვეტერანთა ნაკრები საქართველოშიც არის. მაგრამ კარგი იქნება, გუნდი უცხოეთში ხშირად თუ ივლის და ტურნირებში ითამაშებს. ახლა ვკითხულობდი, რომ რუსეთში ლეგენდების ტრადიციული ტურნირი იწყება, სადაც რუსეთი, უკრაინა, პორტუგალია, გერმანია, ჰოლანდია და იტალია ითამაშებენ. ჩვენც ბევრი ვარსკვლავი გვყავს, რომლებსაც საზღვარგარეთ ძალიან აფასებენ და მგონია, რომ საქართველოს ნაკრებს ბევრგან სიამოვნებით მიიწვევდნენ - იგივე რუსეთში, უკრაინაში, ბევრგან. ამ ნაკრების თამაშებს საქართველოშიც თუ ჩავატარებთ, ვეტერანებსაც გავულამაზებთ ცხოვრებას და ქართველ გულშემატკივარსაც.

**- ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს თუ ადევნებ?**

- ვიცი, რაც ხდება და რა მდგომარეობაშიც ვართ. მაგრამ ჯერ ბევრი რამ უნდა გავარკვიო და ამ თემაზე მერე ვილაპარაკოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრადიციული ტურნირი

# დღეს ბენდელას თასი იწყება

დღეს "ბენდელას თასის" ტრადიციული, 22-ე გათამაშება იწყება. აფხაზეთის ომის გმირის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი ტურნირი 1993 წელს გაიმართა. მას შემდეგ "ბენდელას თასი" პოპულარული ტურნირი გახდა: ბავშვებისა და დიდებს შორის მინი-ფეხბურთის პაექრობებს თბილისის სპორტის სასახლეში უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

მეოთხე წელია, რაც ტრადიციულ გათამაშებას მესამე შეჯიბრიც დაემატა და სტანდარტულ მოედანზეც იმართება. ახალი ფორმატის ტურნირს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები სეზონისთვის მოსამზადებლად იყენებენ.

"ბენდელას თასის" მუდმივი ორგანიზატორის, **ქართლოს ჭუმბურიძის** თქმით, ტურნირზე გამარჯვებისთვის სულ 12 გუნდი იბრძოლებს, რომლებიც სამ ჯგუფში ტერიტორიული პრინციპით გადანაწილდნენ.

წლეულს სამი ჯგუფი შედგა.

**I ჯგუფი**

ქუთაისის "ტორპედო", "ზესტაფონი", ხონის "იმერეთი".

**IIჯგუფი**

თბილისის "დინამო", გორის "ქართლი", რუსთავის "მეტალურგი", ცხინვალის "სპარტაკი", თბილისის სტუ.

**III ჯგუფი"**

"ვიტ ჯორჯია", "გაგრა", თბილისის "იუსი ბესტი", "ზოოვეტი".

თამაშები გაიმართება არა ერთ რომელიმე კონკრეტულ სტადიონზე, არამედ გუნდებისთვის მოსახერხებელ ქალაქებსა და არენებზე. ზოგიერთი გუნდი ძირითადი შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას, ზოგიც – დუბლებით ან შერეული შემადგენლობებით.

პირველ შეხვედრები დღეს, 26 იანვარს გაიმართება. "დინამო", რომელიც მეორე გუნდით თამაშობს, დილმის ბაზაზე გორის "ქართლს" უმასპინძლებს, "ზესტაფონი" კი სამტრედიაში ხონის "იმერეთს" დაუპირისპირდება.

მეორე და მესამე ჯგუფიდან მეოთხედფინალში სამ-სამი გუნდი გავა, პირველიდან –2. მეოთხედფინალები 12-13 თებერვალს გაიმართება, ნახევარფინალები — 16 თებერვალს, ტურნირის გამარჯვებული კი 21 თებერვალს "ბენდელას" სტადიონზე გამოვლინდება.

**მერაბ მამულაშვილი**



● სიტუაცია

# ვოსკობოინიკოვი ნაკრებში გამოიძახეს

თბილისის "დინამო" თურქეთში მოსამზადებელ ეტაპზე გაემგზავრა. მაგრამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ანტალიაში **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი** არ წაიყვანა.

ჩვენთვის უცნობია, რატომ აღარ ჩანს ესტონელი თავდამსხმელი გუნდის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ შემადგენლობაში – მისი გვარი ვერც "დინამო-2"-ში ვნახეთ და ვერც — დუბლშემადგენლობაში.

უთამაშებლობის გამო, ესტონელ თავდამსხმელს კონტრაქტის გაწყვეტა და "დინამოდან" წასვლა სურს. ცხადია, არც კლუბს აწყობს ლეგიონერი, რომელიც გუნდს რეალურად ვერ აძლიერებს და ადგილობრივებსაც ვერ სჯობია.

თბილისის "დინამოს" მიერ საშემოდგომო ეტაპზე ჩატარებული 22 შეხვედრიდან ტანმაღალმა ფორვარდმა გუნდის ფორმა მხოლოდ 13-ჯერ მოირგო, ძირითადში ერთხელ მოხვდა და ერთადერთი გოლი გაიტანა.

ამის მიუხედავად, ვოსკობოინიკოვი ესტონეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტარმო რუუტლიმ** მაინც გამოიძახა. ბალტიისპირელები 6 თებერვალს შოტლანდიას ესტუმრებიან და ამხანაგურად ითამაშებენ. თუმცა, ვოსკობოინიკოვი 25-კაციან, გაფართოებულ სიაში მოხვდა და ჯერ უცნობია, ხანმოკლე შეკრების შემდეგ ნაკრებს ბრიტანეთში გაჰყვება თუ არა.

ვოსკობოინიკოვი რუუტლიმ ოქტომბერში დაიწუნა. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბალტიისპირელები 12 და 16 ოქტომბერს უნგრეთსა და ანდორას ხვდებოდნენ, მწვრთნელი კი დანიური "ვეილეს" ტრავმირებული თავდამსხმელის, **კაიმარ საავის** შემცვლელს ეძებდა. ესტონელთა დამრიგებელმა არჩევანი თბილისის "დინამოს" თავდამსხმელსა და **ტარმო ნეემელოს** შორის გააკეთა. ეს უკანასკნელი ესტონეთის ჩემპიონატში "ნიმე კალიუში" თამაშობს და 2012 წელს 22 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, 2 იანვარს თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი ტალინში დააჯილდოვეს და საზეიმო სალამოზე "ვერცხლის ბურთი" გადასცეს.

2012 წლის 3 ივნისს ტარტუში ესტონეთმა მეზობელ ლიტვასთან სწორედ ვოსკობოინიკოვის ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა - 1:0. ვოსკობოინიკოვმა საჯარიმოსთან შორეული გადაცემა მიიღო და ბურთი კარში დაუმუშავებლად გაგზავნა. მისი გოლი მეორე ადგილზე გავიდა, პირველობა კი არავის დაუთმო რუსეთის "ამკარის" თავდამსხმელმა **კონსტანტინ ვასილიევმა**, რომლის გოლითაც ესტონელებმა პოლონეთს 1:0 სძლიეს.

ლიტვასთან მატჩის შემდეგ ვოსკობოინიკოვმა ესტონელ გულშემატკივარს თავი სხვა რამითაც დაამახსოვრა: სიხისტის გამო, მან მეტოქე ფეხბურთელისთვის შეუფერებლად, "საზიზღარ, ალმაშფოთებელ" გუნდად მოიხსენია.

**მერაბ მამულაშვილი**



ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერი


საბა კვირკველია (მარცხნივ)

# საბა კვირკველია რუბინს დაუბრუნდა

## ნომინანტობას ჩემპიონთა ლიგის მოგება სჭირდება?

**საბა კვირკველია ზამთრის პაუზის დროს ყაზანის „რუბინთან“ ერთად ემზადება. საქართველოს ეროვნული გუნდის 20 წლის კანდიდატი და ახალგაზრდული ნაკრების წევრის სატრანსფერო უფლებები „რუბინს“ ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს საბა კვირკველიამ „რუბინის“ შემადგენლობაში კიევის „დინამოსთან“ და ფრანგულ „ლიონთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, შარშან ზაფხულში რუსეთის ნაციონალური (პირველი) ლიგის ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკში“ იჯარით გაუშვეს, სადაც ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი მოთამაშე გახდა. როგორც ჩანს, ტანმაღალ ქართველ მცველს დრო არ დაუკარგავს. საინტერესო ფაქტია: შარშან „რუბინმა“, საბასთან ერთად, ნიჟნეკამსკში კიდევ 13 მოთამაშე გაანათხოვრა, თუმცა ყაზანელთა მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა ახლა კლუბში მხოლოდ სამი მათგანი დაიბრუნა, კვირკველია, პორტნიაგინი და გალიულინი. „კვირკველიამ „ნეფტეხიმიკში“ სათამაშო პრაქტიკა მიიღო, მოღონიერდა და თურქეთში პირველ შეკრებაზე ჩვენთან ერთად წამოვა“ – განაცხადა ბერდიევმა. ყაზანელებმა შეკრების პირველი ეტაპი დაასრულეს, საბამ ორიოდე დღით საქართველოში „შემოირბინა“ და „ლელოს“ კითხვებს პასუხობს...**

**- უპირველესად, „რუბინში“ დაბრუნებას გილოცავ.**

- სხვათა შორის, მიმაჩნია, რომ ბერდიევი მართალი იყო, როდესაც ჩემზე თქვა, „ნეფტეხიმიკში“ გადასვლა ძალიან წაადგაო. ეს ჩემი ზრდისთვის აუცილებელიც იყო და ძალიან სასარგებლოც. „რუბინში“ სტაბილური სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა, ნიჟნეკამსკში კი სისტემატურად მათამაშებდნენ და ვგრძნობ, რომ ყველანაირად გავიზარდე, ფიზიკურადაც მოვღონიერდი და თავისთავად, თამაშმაც ბევრი შემძინა. რა თქმა უნდა, პირველი ლიგა პრემიერლიგა არ არის, მაგრამ ბევრად არ ჩამორჩება და საკმაოდ კარგი დონის ტურნირია. ძალიან ბევრი მაღალი კლასისი ვეტერანი თამაშობს, ახალგაზრდა ფეხბურთელები კი გამოცდილების გვერდით თუ მათ წინააღმდეგ თამაშით ვიზრდებით.

**- „რუბინში“ როგორ შეგხვდნენ?**

- ძალიან კარგად. თურქეთში 8 იანვარს გავემგზავრე და 21-ში პირველი ეტაპი დავასრულეთ. საკონტროლო შეხვედრებიც გვქონდა, ბოლოს „შერიფს“ შევხვდით და 2:2 ვითამაშეთ. მოედანზე რომ შევედი, 0:2 ვაგებდით. მერე თამაში შემოვატრიალეთ და მოგებაც შეგვეძლო. პირადად მეც მქონდა საგოლე მომენტი.

**- თურქეთში კარგად მოემზადე?**

- მშვენიერი პირობები გვქონდა და ცხადია, კარგად მოვემზადე, თანაც იმ გუნდში, რომელსაც ევროპაში უკვე ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ასეთ გუნდში გამარჯვებულის ფსიქოლოგია გიყალიბდება და საკუთარ თავს მკაცრ მოთხოვნებსაც უყენებ. კარგი ვარჯიშები და თამაშები გვქონდა, გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა.

**- სეზონს „რუბინში“ ჩაამთავრებ?**

- დიახ, გუნდს დავუბრუნდი, ეს გადაწყვეტილი ამბავია.

**- შენთან ერთად „ნეფტეხიმიკში“ გიორგი ჯანელიძე თამაშობდა. მაგრამ ის საქართველოში დაბრუნდა.**

- სამწუხაროდ, ახალი კონტრაქტი არ შედგა. თუმცა, მიმაჩნია, რომ გიორგი თავის პოზიციაზე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის.

**- მოკლედ, 2012 წელს ემადლიერები.**

- რა თქმა უნდა. „რუბინიდან“ ისე წავედი, რომ ჩემპიონთა და ევროპის ლიგებზე ვითამაშე. მერე „ნეფტეხიმიკში“ მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდა, გუნდის მიერ ჩატარებული 18 შეხვედრიდან 17-ში ვითამაშე. ის ერთიც იმიტომ გამოვტოვე, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს. მიმაჩნია, რომ წარმატებული სეზონი მქონდა.

**- თუმცა, სულ მცირე უცნაური იყო, რომ 2012 წლის ბოლოს გამოქვეყნებული საუკეთესო ქართველი ახალგაზრდების ნომინანტების სიაში ვერ მოხვდი.**

- ამაზე ლაპარაკი არ მსურდა, მაგრამ რადგან მკითხეთ, არ შემიძლია, არ გიპასუხოთ. ამან მეც გამაკვირვა. რომ მეკითხებოდნენ, მრცხვენოდა, ან რა უნდა მეპასუხა? მგონია, რომ ჩემი ასაკის ფეხბურთელებში ბევრზე ნაკლები დონის ფეხბურთს არ ვთამაშობ. ამ დროს, 24 ნომინანტს შორისაც ვერ მოვხვდი...

თან მეცინება, თან, გული მწყდება. ვინც ეს სია შეადგინა, იმედია, ახლა მაინც გამიხსენებს. ჩემპიონთა და ევროპის ლიგებში, რუსული პრემიერლიგისა და რუსეთის პირველი დივიზიონის ლიდერ გუნდებში მოვასწარი თამაში, ახლა „რუბინში“ დამაბრუნეს, რუსეთში კი სულაც არ არის დაბალი დონის ფეხბურთი. 20 წლის ბიჭმა მეტი რა უნდა გავაკეთო? და თუ რამე მეშლება, იქნებ, შემისწორონ. ვეცდები, მათი ყურადღება 2013 წელს მაინც დავიმსახურო... ეტყობა, ამ სიაში მოსახვედრად, ჩემპიონთა ლიგა უნდა მომეგო. თუ ჩემი პრეტენზია ვინმეს გულზე მოხვდება, სათქმელს პირადად ვეტყვი. საკმაოდ კარგი ანაზღაურება მაქვს, არც ბინაა ჩემი პრობლემა და არც მანქანა, მაგრამ მხოლოდ ფულისთვის არ ვთამაშობ. ერთადერთი, ის მინდა, რომ ყველაფერი გავაკეთო საქართველოსთვის და ჩვენი გულშემატკივარი გავახარო.

**- მართალია, თითქოს რუსეთის მოქალაქეობას გთავაზობენ?**

- ქართველი კაცი ვარ და მხოლოდ საქართველოს სახელით თამაშს ვაპირებ. სხვა რამეზე არც ვფიქრობ და არც მინდა. ჩვენი ნაკრების მაისურს სხვაზე არ გავცვლი.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

### დავით თავართქილაძე

## დაშ-ხოში გორიდან

მოქნილობა ურთიერთობებში - ვისაც მწვრთნელობაზე აქვს პრეტენზია, ეს აუცილებელი თვისებაა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბოლო დროს მოქნილობის თემა აქტუალური გახდა. ცხადია, მხოლოდ ეს არ არის წარუმატებლობების მიზეზი, მაგრამ ურთიერთობა ფეხბურთელებთან ძალიან მნიშვნელოვანია.

მწვრთნელს ვირზე ჯდომა არ უნდა უყვარდესო, ასე გამიგონია და ალბათ ასეც უნდა იყოს. სიჯიუტე და პრინციპულობა აბსოლუტურად სხვადასხვა რამეებია.

მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობა - ამაზე ლაპარაკი გაუთავებლად შეიძლება. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასეთ დროს **ფერგიუსონისა** და **გიგზის** ამბავი მახსენდება. როცა გიგზი ჯერაც დამწყები ფეხბურთელი იყო „მანჩესტერში“ და თერთმეტეულში მოხვედრა უჭირდა, ფერგიუსონმა თავისთან დაიბარა. ამბავი იმად არის საინტერესო და საყურადღებო, რომ მწვრთნელსა და ფეხბურთელს იმ შეხვედრაზე ფეხბურთზე არ უსაუბრიათ, ფერგიუსონმა გიგზების ოჯახი მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ მწვრთნელს თითქმის ყველაფერი სცოდნია გიგზის ოჯახის პრობლემებზე. საუბარი ამის იქით არ წასულა. „მანჩესტერის“ მომდევნო მატჩზე კი ფერგიუსონმა გიგზი მოედანზე შეუშვა და ფეხბურთელსაც სასწაულები მოუხდენია.

**თემურ ქეცბაიამ ზურაბ ხიზანიშვილს** კაპიტნობა ჩამორთვა და ეს არც ერთ ფეხბურთელს არ უხარია. სამკლავური **ჯაბა კანკავას** ერგო, თუმცა ვერ მივხვდით, კანკავას ნაკრებში ხიზანიშვილზე მეტი დამსახურება აქვს თუ სხვა რა მიზეზის გამო დააყენა ქეცბაიამ ის ხიზანიშვილზე წინ.

სამკლავურჩამორთმეული ხიზანიშვილი ნაკრებში თამაშს აგრძელებდა, შესარჩევის პირველ ორ შეხვედრაში ბელარუსთან და ესპანეთთან რიგიანად ითამაშა, მომდევნო ორ მატჩში კი შეცდომები დაუშვა და ქეცბაიამ ეგვიპტესთან ამხანაგური შეხვედრისთვის აღარ გამოიძახა.

ზოგს ალბათ ეგონა, რომ ქეცბაია ხიზანიშვილს საერთოდ აღარ გამოიძახებდა, მაგრამ მწვრთნელმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო - ხიზანიშვილი ნაკრებში დააბრუნა ალბანეთთან 6 თებერვალს გასამართი მატჩისთვის.



თემურ ქეცბაია

საქართველოს ნაკრებში მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილების ფეხბურთელი ბევრი არ არის და ეს ყველაზე კარგად ალბათ ქეცბაიამ იცის.

ერთიცაა: საქართველოში ვითარება შეიცვალა და არა მგონია, რომ ხელისუფლებაში ვიღაცის ახირების გამო ნაკრების მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელონ, ვიღაცის დაჟინების გამო დანიშნოს ესა თუ ის მწვრთნელი ნაკრების მთავარსარდლად, ვიღაცის ახირების გამო ნაკრების მწვრთნელმა კონტრაქტს ხელი სპორტის სამინისტროში მოაწეროს.

ხიზანიშვილი სტაბილურად თამაშობს „ქაისერისფორის“ ძირითადში და ამას დამსახურება უნდა. **რობერტ პროსინეჩკი** რა მწვრთნელია, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ძვირადღირებულ სპეციალისტად ითვლება და ამით ბევრი რამ ნათქვამია. პროსინეჩკი ჩვენებურს ენდობა და ალბათ არავისზე ნაკლები გემოვნება არ აქვს.

■ ■ ■

საქართველოს ჩემპიონატში ფლანგზე ყველაზე კარგად მოდრიბლინგე ფორვარდი **რობერტინიო** მეგონა, მაგრამ **დუშან უჰრინმა** ის შეკრებაზე არ წაიყვანა.

მოკლედ, შეცდომა ჟურნალისტსაც მოსდის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართალი წესითა და რიგით მწვრთნელი უნდა იყოს. თუმცა არც უჰრინია უშეცდომო, **ვოსკობოინიკოვი** ხომ მისი ხელდასმით აიყვანა „დინამომ“, მაგრამ ესტონელი ყველაზე ტიტულოვან ქართულ გუნდს არ გამოადგა.

რობერტინიომ კი არაერთი მოხდენილი ეპიზოდი აჩუქა „დინამო არენის“ ხალვათ ტრიბუნებს. ის ეპიზოდის ფეხბურთელად იქცა „დინამოში“, ოღონდაც ამ ეპიზოდებით მართლაც ალამაზებდა საქართველოს ჩემპიონატს.

ბრაზილიელებს ძალიან გვიყვარს დალევა, დღესასწაულების აღნიშვნა, საკუთარ თავს კი მხოლოდ იმის უფლებას ვაძლევ, ლუდი დავლიოო - გვითხრა რობერტინიომ უწინდელ ინტერვიუში.

„დინამოს“ აქვს იმის ფუფუნება, რომ რობერტინიოსნაირი ფეხბურთელი შეკრებაზე არ წაიყვანოს, სათადარიგოთა სკამზე დასვას, ან სულაც მეორე გუნდში გადაიყვანოს. ალბათ ამიტომაც აქვს „დინამოს“ ჩემპიონობის სხვაზე მეტი შანსი.

მე მაინც მგონია, რომ რობერტინიო საჭირო კაცია. ვერც **ჩისკო**, ვერც **მერებაშვილი** ვერ შექმნის ისეთ ეპიზოდს, რისი შექმნაც ბრაზილიელს შეუძლია, ის სულ სხვანაირად ატყუებს, სხვანაირად დარბის, სხვანაირად აზროვნებს და სხვანაირად ატარებს დროს. ვინძლო ამიტომაც დაგვიტოვა რობერტინიომ სენტი და მენტი.


რობერტინიო

■ ■ ■

**ვალდას ივანაუსკასი** წუხელ უნდა ჩამოსულიყო თბილისში. საქართველოში ბევრს ახსოვს მისი თამაში სალათისფერმაისურიან „ჟალგირისში“. ეს გუნდი ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდა, ივანაუსკასი ასეთი „ჟალგირისის“ ვარსკვლავი იყო. ეს ფეხბურთელი თვით **ლობანოვსკისაც** კი მოსწონდა.

ივანაუსკასმა ბუნდესლიგაშიც ითამაშა ფეხბურთი. მწვრთნელობაში კი მაშინ გამოირჩა, ედინბურგის „ჰართსი“ რომ ჩაიბარა და შოტლანდიის თასი ააწევინა.

ედინბურგი ზღაპრული ქალაქია, იქ ინახება **უილიამ უოლესის** ხმალი და ბევრი სხვა სქოთური საგანძური, ეს არის ქალაქი-მუზეუმი. ედინბურგს არ ჰყავს „რეინჯერსის“ მნიშვნელობის გუნდი, მაგრამ თვითონ ქალაქია შოტლანდიის სული და სიამაყე. ივანაუსკასმაც იქ დაიგდო საინტერესო მწვრთნელის სახელი.

„ჰართსში“ მაშინ ახალი მისული იყო **ვლადიმერ რომანოვი**, ლიტვის მოქალაქე რუსი ბიზნესმენი, რომელმაც ეს კლუბი 2005 წელს შეიძინა. რომ არა ეს ფაქტორი, ივანაუსკასი „ჰართსში“ ალბათ ვერ მოხვდებოდა. წარმატების შემდეგ ივანაუსკასის სამწვრთნელო კარიერა „ჰართსში“ მალევე' დაღმა წავიდა, მაგრამ ვალდასი იქიდან უტიტულად არ წამოსულა.

ახლა კი „დილას“ ჯერია - ივანაუსკასი ქართულ სარბიელზე გამოიყვანა და ეროვნულ ჩემპიონატსაც დაშ-ხოში შემატა.


ვალდას ივანაუსკასი

● ინტერვიუ

# კახა კაჭარავა: ყველა მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება

"ზესტაფონი" 29 იანვარს ანთალიაში მიემგზავრება შეკრებაზე, მანამდე კი საქართველოს მოქმედი ჩემპიონი სეზონის მეორე ნახევრისთვის საკუთარ ბაზაზე ემზადება. დღეს უკვე ნათელია, რომ ფეროელებს ტიტულის შენარჩუნების ნაკლები შანსი აქვთ და უფრო რეალური ამოცანა ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა. საინტერესოა, როგორ გაართმევს თავს გუნდი ამ ამოცანას, სეზონის განახლებამდე კი ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი და ოფიციალურ მატჩებამდე "ზესტაფონს" არაერთი საკონტროლო შეხვედრა ელის. "ლელოსთან" ინტერვიუში გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა მისი გუნდის ბანაკში ბოლო დროს მომხდარ ამბებს განიხილავს და სამომავლო გეგმებსაც გვაცნობს.



კახა კაჭარავა

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ "ზესტაფონში" ადაპტაცია უკვე გაიარეთ?**

- თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალ გარემოსთან შეგუება არ გამიჭირდებოდა. საქართველო პატარა ქვეყანაა და პატარაა ჩვენი საფეხბურთო წრეც. აქ ყველა ყველას იცნობს და მწვრთნელისთვის თუ ფეხბურთელისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა პრობლემა არ უნდა იყოს. ჩემთვის საქართველოს ყველა კუთხე ძვირფასია და ნებისმიერ ქალაქში სიამოვნებით ვიმუშავებ, თუ კლუბში სამუშაო გარემო დამხვდა. "ზესტაფონში" კი თავიდანვე ვიცოდი, რომ სწორედ ისეთი ვითარება იქნებოდა, როგორიც მისი ამბიციების კლუბს შეეფერება.

**- უკვე გამოიკვეთა ის ბირთვი, რომელსაც სეზონის მეორე ნახევარში დაეყრდნობით?**

- ანთალიაში 25 ფეხბურთელს წავიყვან და სწორედ მათი იმედი მექნება ჩემპიონატისა და თასის საგაზაფხულო ეტაპებზე. თუმცა თურქეთში კიდევ რამდენიმე ლეგიონერს გავსინჯავთ და თუ რომელიმე მათგანი მოგვეწონა, სიამოვნებით გავუფორმებთ კონტრაქტს.

**- ლეგიონერები თქვენს გაწვრთნილ გუნდებში ყოველთვის საკმაო რაოდენობით იყვნენ...**

- ჩემი დიდი სურვილია, "ზესტაფონის" ბირთვი ახალგაზრდა ქართველებისგან შედგებოდეს, მაგრამ თუკი მაღალი დონის ლეგიონერებს ვიპოვით, მათზე უარის თქმას არ ვაპირებთ. ახალი სისხლი გუნდში ყოველთვის საჭიროა და მუდამ ძიების პროცესში უნდა იყო. ლეგიონერების გონივრული რაოდენობა ნებისმიერ გუნდს წაადგება. ამბობენ, რომ ლეგიონერი ადგილობრივს ათი თავით უნდა სჯობდეს. ასეთი უცხოელების საქართველოში მოზიდვა გაგვიჭირდება, ჩემთვის ისიც საკმარისია, ლეგიონერი ქართველს ერთი თავით თუ ალემატება. უცხოელებშიც ახალგაზრდებს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ უარს არც გამოცდილ ფეხბურთელზე ვიტყვი.

**- "ზესტაფონში" სინჯებზე მყოფ ლეგიონერებზე რას იტყვით?**

- ბრაზილიელ ნახევარმცველ ვიტორ როსინი და კუნიას უკვე დავემშვიდობეთ, ხოლო სერბ, ალჟირელ და კამერუნელ ფეხბურთელებზე დაკვირვებას განვაგრძობთ. ჩვენთან დარჩენის შანსი ყველა მათგანს აქვს, გააჩნია, როგორ წარმოაჩენენ თავს უახლოეს დღეებში.

**- სერბ იგორ ილიჩს კი "ზესტაფონმა" კონტრაქტი გაუხანგრძლივა.**

- იგორმა ეს თავისი ნაყოფიერი თამაშით დაიმსახურა. მას ჩვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

**- სხვა ახალწვეულებზე რას გეტყვით?**

- ვფიქრობ, რომ ლევან კუტალია "ზესტაფონის" შუა ხაზს გააძლიერებს. ასევე დიდ იმედებს ვამყარებთ "ზუგდიდიდან" გადმოყვანილ მეორე მოთამაშეზე, ახალგაზრდა ნახევარმცველ ავთო ენდელაძეზე, რომელიც გულშემატკივრებს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიდან უნდა ახსოვდეთ.

**- ყველაზე მეტად რომელ რგოლებში გჭირდებათ გაძლიერება?**

- არ გვაწყენდა კვალიფიციური ცენტრალური და მარცხენა მცველების დამატება. იმედი მაქვს, ამ პრობლემას თურქულ შეკრებაზე მოვაგვარებთ.

**- საბა ლომია, რომელიც "ზესტაფონში" რამდენიმე დღის განმავლობაში ვარჯიშობდა, კვლავ მარტვილის "მერანში" დაბრუნდა...**

- საბა რომ პერსპექტიული და კვალიფიციური თავდამსხმელია, ეს "მერანში" გატანილი 13 გოლითაც დაამტკიცა. მომავალში მისი დიდი იმედი გვაქვს, ამ ეტაპზე კი მივიჩნიეთ, რომ უმჯობესია, "მერანში" იჯარა გაახანგრძლივოს. იქ მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება და "ზესტაფონში" სათამაშოდ ბოლომდე მომწიფდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბოლნისის "სიონში" გავანათხოვრეთ ზაალ ელიავა.

**- ტრავმის გამო თურქულ შეკრებას ვინმე ხომ არ დააკლდება?**

- გვყავს რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელი, მაგრამ ყველა მათგანი გამოჯანმრთელების გზაზეა და არა მგონია, რომელიმემ ანთალიაში წამოსვლა ვერ შეძლოს.

**- ანთალიაში საკონტროლო მატჩებს ვისთან გამართავთ?**

- შევხვდებით აზერბაიჯანულ "ყარაბახს", ასევე პოლონურ და უკრაინულ კლუბებს. მეტოქეთა ვინაობა მალე დაზუსტდება, ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ თურქეთში ხუთ ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ.

**- ევროპის ლიგაზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ძალიან რთული იქნება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ათიოდე ტურია გასამართი და თითოეული მათგანი ჩვენთვის ფინალის ტოლფასი იქნება. არანაკლები მოტივაციით ვიბრძოლებთ საქართველოს თასის მოსაპოვებლადაც. წლის პირველი ოფიციალური მატჩი კი 22 თებერვალს სუპერთასზე გვაქვს და შევეცდებით, ჩვენი ქომაგები ამ ტიტულის მოპოვებითაც გავახაროთ.

● ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიამ საალბანეთო სიას გელაშვილი დაამატა



ნიკოლოზ გელაშვილი

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ალბანეთში წასაყვან შემადგენლობას გერმანული "ბოხუმის" 27 წლის თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი** დაამატა.

შეგახსენებთ, ალბანეთისა და საქართველოს ნაკრებების ამხანაგური მატჩი ტირანაში 6 თებერვალს გაიმართება, ჩვენი ეროვნული გუნდის შემადგენლობა კი დღეისთვის ასე გამოიყურება:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი);

მცველები: **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **გია გრიგალავა** (ვოლგა, რუსეთი), **გულვერდ თომაშვილი, დავით კვირკველია** (ორივე - დილა, გორი), **ილია კანდელაკი** (ინტერი, აზერბაიჯანი), **მამუკა კობახიძე** (ალანია, რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ლევან ყენია** (ორივე - კარპატი, უკრაინა), **ალექსანდრე კობახიძე, ჯაბა კანკავა** (ორივე – დნიპრო, უკრაინა), **დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი** (ორივე - ილიჩევეცი, უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (იაგელონია, პოლონეთი), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი);

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია), **მათე ვაწაძე** (ორჰუსი, დანია), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

● ლეგიონერები

# არველაძემ გაიმარჯვა, კობიაშვილი კვლავ ძირითადშია

ქართველი ლეგიონერების გუშინდელი ამბების მიმოხილვას ოფიციალური მატჩით დავიწყებთ. თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** მიერ განვრთნილი "ქასიმფაშა" "ქარაბუქს" ეწვია და მეტოქე 3:0 გაანადგურა. ამ გამარჯვებით "ქასიმფაშამ" მეშვიდედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა დიდი ალბათობით, თურქეთის ჩემპიონატის დღევანდელი და ხვალინდელი მატჩები არველაძის გუნდს ამ პოზიციის შენარჩუნების საშუალებას არ მისცემს.



შოთა არველაძე

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფი ბერლინის "ჰერტა" ავსტრიულ „შტურმს" გაეჯიბრა და 3:2 სძლია. **ლევან კობიაშვილი** "ჰერტას" სასტარტო შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს. კობიმ კვლავ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა.

ბაქოს "ინტერი" ზაპოროჟიეს "მეტალურგს" უგოლოდ გაეყარა. კახა ცხადაძის გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ მეკარე **რევაზ თევდორაძე, ილია კანდელაკი** და **ბაჩანა ცხადაძე**, ხოლო "ინტერის" კარის ძირითადი დარაჯი **გიორგი ლომაია** შეცვლაზე შევიდა. ბაქოელთა ქართველი ფორვარდი **გიორგი ადამია**, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე თვეა, აღარ უთამაშია, მოედანს უახლოეს დღეებში დაუბრუნდება.

ასევე ტესტ-მატჩში შვეიცარიული "ბელინცონა" "სენტ გალენს" შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა. **გიორგი ივანიშვილმა** "ბელინცონას" შემადგენლობაში მეორე ტაიმი ჩაატარა.

● საკონტროლო მატჩი

# რეკრუკის დუბლი და უხვგოლიანი სპარინგი

**ზესტაფონი–დინამო (ბთ) 5:0**

25.01. ზესტაფონი. დ. აბაშიძე

**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე (46. მეშველიანი), ბენაშვილი (46. თორნიკე გრიგალაშვილი, 80. კიკნაველიძე), ჩულიბრკი, კაჭკაჭიშვილი, გაგოშიძე (75. ჭანტურიშვილი), ილიჩი (46. მუმლაძე), გორგიაშვილი (46. სამუშია), ებონგე (46. ენდელაძე), ბაბუნაშვილი (46. ჭანკოტაძე), აფციაური (46. რეკრუკი), კუტალია (46. წინამძღვრიშვილი).

**დინამო (ბთ):** მუჯირიშვილი, სიხარულიძე (26. რამიშვილი), ტყეშელაშვილი (46. ქორიძე), ჟვანია (46. მაკარიანი), გაბუნია (46. ბაჯელიძე), როსინი, გოგიტიძე, მუჯირი (46. თევდორაძე), შალამბერიძე (46. ვარშანიძე), ქუცურუა (46. ბერიძე), აბუსელიძე (46. თოდაძე).

**გოლები:** 1:0 ილიჩი (8), 2:0 თორნიკე გრიგალაშვილი (51), 3:0 რეკრუკი (59), 4:0 წინამძღვრიშვილი (61), 5:0 რეკრუკი (87)

"ზესტაფონმა" **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონზე საკონტროლო მატჩი ბათუმის "დინამოსთან" ჩაატარა. შეხვედრამ ადგილობრივ გულშემატკივრებში საკმაო ინტერესი გამოიწვია და თამაშის სანახავად ტრიბუნებზე 250-მდე ადამიანი მივიდა. სხვათა შორის, მათ შორის ბათუმელი ქომაგებიც იყვნენ.

თუკი რამდენიმე დღის წინ ცხინვალის "სპარტაკთან" სპარინგში "ზესტაფონის" თავკაცმა **კახა კაჭარავამ** დუბლშემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, ამჯერად ფეროელებმა უფრო ძლიერი შემადგენლობით ითამაშეს. თუმცა "ზესტაფონს" სხვადასხვა სირთულის ტრავმების გამო **თემურ ლონლაძე, ლევან შარიქაძე, მიხეილ სარდალიშვილი, დავით რაჟამაშვილი** და **თედო გრიგალაშვილი** აკლდნენ.

ანგარიში სერბმა იგორ ილიჩმა გახსნა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ "ზესტაფონმა" ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. დუბლი შეასრულა სინჯებზე მყოფმა ალჟირელმა თავდამსხმელმა **მოჰამედ რეკრუკმა**. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის რიგებში კიდევ ორმა გასასინჯმა ლეგიონერმა, სერბმა მცველმა **სლავკო ჩულიბრკმა** და კამერუნელმა ნახევარმცველმა **ოლივიე მუსიმა ებონგემ** ითამაშა. რაც შეეხება ბრაზილიელ შუახაზელ **ვიტორ როსინი და კუნიას**, "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბმა მის სამსახურზე უარი თქვა.



● რეიტინგი

# საქართველოს ჩემპიონატი – ევროპაში 32-ე, მსოფლიოში 56-ე

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHშ) მსოფლიოს საფეხბურთო ლიგების რეიტინგი გამოაქვეყნა. აღნიშნული ორგანიზაციის ვერსიით, ევროპის მასშტაბით საქართველოს უმაღლესი ლიგა 32-ე, ხოლო მსოფლიოში 56-ეა.

გაგაცნობთ ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ათეულებს და თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ, რამდენად სამართლიანია ეს რეიტინგები.

**ევროპა**

1. ინგლისი
2. ესპანეთი
3. იტალია
4. გერმანია
5. საფრანგეთი
6. ჰოლანდია
7. პორტუგალია
8. ბელგია
9. თურქეთი
10. საბერძნეთი

**მსოფლიო**

1. ინგლისი
2. ესპანეთი
3. იტალია
4. ბრაზილია
5. გერმანია
6. საფრანგეთი
7. არგენტინა
8. ჰოლანდია
9. პორტუგალია
10. მექსიკა

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

### 25 იანვარი

**ბორუსია (დ)-ნიურნბერგი 3:0**

### 26 იანვარი

**ბორუსია (მ)-ფორტუნა 18:30**

**ტრავმა:** შტრანცლი - ბრუნო სუარესი, ლანგენეკე, დუ-რი ჩა, რაფაელი, ვორონინი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=4-0 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 45 თამაში: +22=9-14, (84:58)

**ჰანოვერი-ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** და სილვა პინტუ, ია კონანი (აფრიკის თასზეა) - ჟოსუე

**ტრავმა:** ჩერუნდოლო, ფელიპე, კ. შულცი, ანდრეასენი, ფრანკა, შტინდლი - პილარი, ჰელმესი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 21 თამაში: +6=3-12, (29:37)

**აუგსბურგი-შალკე 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბონსე (აფრიკის თასზეა), სიო - ჯონსი

**ტრავმა:** იენტცში, ს. ლანგკამპი, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ოტლი, პეტრჟელა - კ. პაპადოპულოსი, აფელაი, მორიტცი, ობასი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 3 თამაში: +0=1-2, (3:7)

**ფიურტი-მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შ. პარკერი (მაინცი)

**ტრავმა:** ნდოიე, ჰეფელე, შმიდტგალი, ტირალა - ბუნგერტი, სოტო, ჩუპო-მოტინგი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (1:0)

**აინტრახტი-ჰოფენჰაიმი 18:30**

**ტრავმა:** ამედიკი - შრიოკი, თესკერი, რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი, შიპლოკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +0=1-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +1=2-4, (8:11)

**ფრაიბურგი-ლევერკუზენი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** მაკიადი (აფრიკის თასზეა)

**ტრავმა:** მუიჯა, ფრაისი - კადლეცი, ბელარაბი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 27 თამაში: +7=7-13, (32:49)

### 27 იანვარი

**ჰამბურგი-ვერდერი 18:30**

**ტრავმა:** ლამი, მანსიენი, სალა - ვოლფი, ბარგფრედე

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 97 თამაში: +30=33-34, (145:144)

**შტუტგარტი-ბაიერნი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბოკა (აფრიკის თასზეა), გ. საკაი (ორივე შტუტგარტი)

**ტრავმა:** კაკაუ, ჰუგლანდი, ჰემლაინი - შტარკე, ბადშტუბერი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 91 თამაში: +17=20-54, (108:184)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 18 | 14 | 3 | 1 | 46-7 | 45 |
| 2. ბორუსია (დ) | 19 | 10 | 6 | 3 | 43-20 | 36 |
| 3. ლევერკუზენი | 18 | 11 | 3 | 4 | 36-23 | 36 |
| 4. აინტრახტი | 18 | 9 | 3 | 6 | 34-30 | 30 |
| 5. შალკე | 18 | 8 | 4 | 6 | 32-29 | 28 |
| 6. ფრაიბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 24-18 | 27 |
| 7. მაინცი | 18 | 8 | 3 | 7 | 24-21 | 27 |
| 8. ბორუსია (მ) | 18 | 6 | 8 | 4 | 25-26 | 26 |
| 9. ჰამბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 19-22 | 25 |
| 10. შტუტგარტი | 18 | 7 | 4 | 7 | 21-30 | 25 |
| 11. ჰანოვერი | 18 | 7 | 2 | 9 | 36-36 | 23 |
| 12. ვერდერი | 18 | 6 | 4 | 8 | 28-34 | 22 |
| 13. ვოლფსბურგი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-27 | 22 |
| 14. ფორტუნა | 18 | 5 | 6 | 7 | 22-25 | 21 |
| 15. ნიურნბერგი | 19 | 5 | 6 | 8 | 18-26 | 21 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 18 | 3 | 4 | 11 | 23-41 | 13 |
| 17. აუგსბურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-31 | 12 |
| 18. ფიურტი | 18 | 1 | 6 | 11 | 11-30 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 – კისლინგი (ლევერკუზენი); 12 – ა. მაიერი (აინტრახტი); 11 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი); 9 – თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი).

**ბუნდესლიგის მე-19 ტური ერთდროულად სამ დერბის გვთავაზობს: დღეს საღამოს „გლადბახი“ „ფორტუნას“ ხვდება, „ვოლფსბურგი“ კი „ჰანოვერს“ მასპინძლობს, ხოლო ხვალ „ჰამბურგისა“ და „ვერდერის“ უმძაფრესი ჩრდილოეთის დერბია. ტური გუშინ, „დორტმუნდისა“ და „ნიურნბერგის“ დაპირისპირებით დაიწყო და ხვალ ბუნდესლიგის კლასიკით („შტუტგარტი“-„ბაიერნი“) დასრულდება. „ჰოფენჰაიმი“, „აუგსბურგი“ და „ფიურტი“ კი გადარჩენისთვის ბრძოლას სერიოზულად იწყებენ.**



ეს ფოტო 2005 წლის 16 აპრილს, იმ მატჩის დროსაა გადაღებული, როცა „ფრაიბურგმა“ საკუთარ მოედანზე უკანასკნელად შეძლო „ლევერკუზენის“ კარის დალაშქვრა და ეს, როგორც ხედავთ, ჩვენებურმა ალექსანდრე იაშვილმა მოახერხა. ბოლო ოთხი საშინაო მატჩი „ფრაის“ „ლევერკუზენთან“ წაგებული აქვს...



ბუნდესლიგა წარმოგიდგენთ: ჩრდილოეთის დერბი „ჰამბურგი“-„ვერდერი“. მთავარ როლებში: რაფაელ ვან დერ ვაარტი და აარონ ჰანტი

# ჩრდილოეთის დერბი და სამხრეთული კლასიკა

## ფრაიბურგში იაშვილი გაახსენდათ...

ტურის სამი დერბიდან ერთი დღეს მიონხენგლადბახში გაიმართება, სადაც „ბორუსიას“ დიუსელდორფის „ფორტუნა“ სტუმრობს. **ლუსიენ ფავრის** „გლადბახი“ ამ სეზონში ერთობ არასტაბილური გუნდია და ამით ახალს არაფერს ვამბობთ, მაგრამ შვეიცარიელი მწვრთნელი ქომაგებს მეორე წრეში ჰპირდებოდა სტაბილურობას, რაც ჯერჯერობით არ ჩანს. „ჰოფენჰაიმთან“ მატჩში (0:0) მიონხენგლადბახელებს ტემპიც აკლდათ და იდეებიც. სეზონის მეორე ნახევარი ცუდად დაიწყო „ფორტუნამაც“ - დიუსელდორფელები „აუგსბურგთან“ 2:3 დამარცხდნენ. ამ მატჩში განსაკუთრებით ცუდად „ფორტუნას“ უკანა ხაზი და, კერძოდ, მეკარე **გიფერი** გამოიყურებოდა, რომელმაც უპატიებელი შეცდომები დაუშვა. გააძლიერებს დიუსელდორფელთა დაცვას ახალწვეული **ლატკა**? ამას მალე გავიგებთ.

### საქსონიაშიც დერბის დროა

„ჰანოვერისა“ და „ვოლფსბურგის“ დაპირისპირება ქვემოსაქსონიური დერბია, რომლის ყურადღების ცენტრში „ვოლფების“ მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** მოექცევა. ამის მიზეზი ისაა, რომ 48 წლის სპეციალისტი 2006-დან 2009 წლამდე სწორედ „ჰანოვერის“ დამრიგებელი იყო. „წითლებმა“ მეორე წრე არაადეკვატურად (4:5 „შალკესთან“) დაიწყეს და მენეჯერი **იორგ შმადტკე** ბობოქრობდა, იმედია, ასეთი კოშმარი აღარასოდეს დაგვემართება, მეორე ტაიმში ჩვენი კარის მიმართულებით ყველა დარტყმა გოლი იყოო. ამრიგად, „ჰანოვერის“ თავკაცმა **მირკო სლომკამ** დაცვაში რაღაც ახალი უნდა მოიფიქროს. შესაძლოა, მან ამ მატჩშივე მისცეს თავის გამოჩენის შანსი ახალწვეულ **პოკონიოლის**. რაც შეეხება „ვოლფსბურგს“ - ჰეკინგის გუნდში სრული იდილიაა. „მგლებმა“ მეორე წრე „შტუტგარტის“ ძლევით (2:0) დაიწყეს და კარგ ხასიათზე არიან.

### შალკეს საკადრო პრობლემები აქვს

დღეისათვის ბუნდესლიგას სამი აუტსაიდერი ჰყავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გადარჩენისთვის ბრძოლა ამ სამეულს უნდა მოუხდეს - „ჰოფენჰაიმს“, „აუგსბურგს“ და „ფიურტს“ ვგულისხმობთ. ისინი დანარჩენებს უკვე იმდენად ჩამორჩნენ, რომ ერთი შეხედვით უიმედო სიტუაციაში ჩანან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. უსუსური სამეულიდან წინა ტურში „აუგსბურგმა“ სამი ქულა მოიპოვა (დიუსლდორფში 3:2 მოიგო) და სიცოცხლის ნიშანწყალი გამოამჟღავნა. აუგსბურგელთა გოლეადორი **მიოლდერსი** ამბობს, მჯერა, რომ მეორე ბუნდესლიგაში არ დავქვეითდებითო. რწმენა კარგია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გადარჩენისთვის ქულებია საჭირო, დღეს კი „აუგსბურგი“ „შალკეს“ მასპინძლობს! თავის მხრივ, გელზენკირხენულ კლუბს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. დიდი ხნით დაშავებულ **აფელაის** ლაზარეთში ახლა **ბარნეტა** და **ობასიც** შეუერთდნენ. შესაბამისად, მწვრთნელ **იენს კელერს** ფლანგებზე დიდი არჩევანი აღარ აქვს: **ფარფანი** მარჯვნივ, **დრაქსლერი** მარცხნივ - ეს მისი ერთადერთი გამოსავალია.

უკვე „აუგსბურგზე“ უარეს დღეშია „ფიურტი“ (9 ქულა, ბოლო ადგილი). **მაიკ ბიუსკენსის** გუნდმა ამ სეზონში ერთადერთი მატჩი მოიგო და მოუგო „მაინცს“ (სტუმრად, 1:0). მას მერე ნახევარი სეზონი გავიდა და დღეს ფიურტელები მაინცელებს საკუთარ მოედანზე ხვდებიან...

### დაიძირება აინტრახტი?

პირველი წრის აღმოჩენამ, ფრანკფურტის „აინტრახტმა“ სეზონის მეორე ნახევარი მძიმედ დაიწყო (1:3 ლევერკუზენში) და მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ცხადად დაინახა, რომ უჭირს როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაშიც. დღეს „აინტრახტის“ მეტოქე „ჰოფენჰაიმია“ და წესით, ფრანკფურტელები ფავორიტებად უნდა მიგვეჩნია, მაგრამ ვერ გავრისკავთ, რადგან „ჰოფენჰაიმმა“ წაგებათა ექვსმატჩიანი სერია შეწყვიტა (0:0 „გლადბახთან“) და გადარჩენისთვის ბრძოლაში ქულები ჰაერივით სჭირდება.

### ბაუმანი კისლინგის წინააღმდეგ

შაბათის საღამოს მატჩი „ფრაიბურგისა“ და „ლევერკუზენის“ უაღრესად საინტერესო დაპირისპირებაა. ბრაისგაუელები კვლავინდებურად საუკეთესო ექვსეულში ბინადრობენ და ევროპალიგის საგზურს უმიზნებენ, „ფარმაცევტები“ კი „ბაიერნს“ მისდევენ - როგორც შეუძლიათ. „ფრაიბურგის“ წარმატების საიდუმლო შესანიშნავი დაცვის ხაზია - **კრისტიან შტრაიხის** გუნდს ამ სეზონში მხოლოდ 18 გოლი აქვს გაშვებული, რაც „ბაიერნის“ (7) შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია. ცხადია, ეს მხოლოდ მცველების დამსახურება არ გახლავთ - ბრწყინვალე ფორმაშია „ფრაის“ მეკარე **ბაუმანიც**. მატჩი იმიტომაც იქნება საინტერესო, რომ თუკი „ფრაიბურგი“ დაცვის ხაზის სიძლიერით იწონებს თავს, „ლევერკუზენს“ ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა (36 გოლი) და ჯერჯერობით საუკეთესო თავდამსხმელი (**შტეფან კისლინგი**, 13 გოლი) ჰყავს.

### პრესტიჟის დერბი ჩრდილოეთში

კვირას ორი მატჩია და ორივე უდიდეს ინტერესს იწვევს: ჯერ „ჰამბურგისა“ და „ვერდერის“ უმძაფრესი დუელით ვისიამოვნებთ, რაც ჩრდილოეთის დერბია, მერე კი ვნახავთ, როგორ დაუხვდება „შტუტგარტი“ „ბაიერნს“ ბუნდესლიგის კლასიკაში.

ჩრდილოეთის დერბიში საქმე ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლის გარდა, პრესტიჟს ეხება. „ჰამბურგის“ თავკაც **ტორსტენ ფინკს** დაცვაში ცვლილება მოუწევს - ტრავმირებულ **მანსიენს**, სავარაუდოდ, **ბრუმა** შეცვლის. „ვერდერს“ თავისი ფანებისთვის ბოდიშის მოხდა მართებს იმის გამო, რაც ბრემენულ კლუბს წინა ტურში დაემართა (0:5 „დორტმუნდთან“). **თომას შააფმა** იმ შეხვედრაში 4-3-3 ტაქტიკური სქემა აირჩია და წინა ხაზის ცენტრში საყრდენი ნახევარმცველი **კევინ დე ბრუინი** ათამაშა, ხოლო ცენტრფორვარდი **ნილს პეტერსენი** კი ფლანგზე ჰყავდა გამწესებული. ექსპერიმენტმა, რბილად რომ ვთქვათ, არ გაამართლა და ალბათ შააფი ტრადიციულ ვარიანტს (4-1-4-1) დაუბრუნდება.

### ბაიერნი შტუტგარტში

ტურს სამხრეთული კლასიკა დაასრულებს. „შტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელია **ბრუნო ლაბადია** ბედნიერია იმის გამო, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა, **ვედად იბიშევიჩი** გამოუჯანმრთელდა. მის არყოფნაში ბრუნომ „ვოლფსბურგთან“ ცენტრფორვარდად ტანდაბალი **ოკაზაკი** (1.74 მეტრი) გაამწესა და რა გასაკვირია, რომ ამ უკანასკნელმა ვერაფერი გააწყო „მგლების“ მაღალი მცველების, **მადლუნგისა** (1.93 მეტრი) და **კიაერის** (1.90) წინააღმდეგ. ლაბადიას იმედი აქვს, რომ 1.88 მეტრი სიმაღლის მქონე იბიშევიჩი „ბაიერნის“ ცენტრალურ მცველებს, **დანტეს** (1.88) და **ვან ბოიტენს** (1.97) პრობლემებს შეუქმნის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXII ტურის წინ

# ლიდერი ექსჩემპიონის წინააღმდეგ

| 25 იანვარი | |
|---|---|
| ვალანსიენი-ლიონი | 0:2 |

| 26 იანვარი | |
|---|---|
| რენი-მარსელი | 20:00 |
| ნანსი-ლორიანი | 23:00 |
| ტრუა-ბრესტი | 23:00 |
| ევიანი-აიაჩო | 23:00 |
| მონპელიე-სოშო | 23:00 |
| რეიმსი-ტულუზი | 23:00 |

| 27 იანვარი | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-ბასტია | 17:00 |
| ნიცა-ბორდო | 20:00 |
| პსჟ-ლილი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 22 | 13 | 6 | 3 | 37-18 | 45 |
| 2. პსჟ | 21 | 12 | 6 | 3 | 37-12 | 42 |
| 3. მარსელი | 21 | 13 | 2 | 6 | 28-25 | 41 |
| 4. ნიცა | 21 | 9 | 8 | 4 | 33-26 | 35 |
| 5. რენი | 21 | 11 | 2 | 8 | 31-26 | 35 |
| 6. ლორიანი | 21 | 9 | 7 | 5 | 35-33 | 34 |
| 7. ბორდო | 21 | 7 | 11 | 3 | 23-15 | 32 |
| 8. სტ. ეტიენი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-16 | 31 |
| 9. ტულუზი | 21 | 8 | 6 | 7 | 29-23 | 30 |
| 10. ლილი | 21 | 7 | 9 | 5 | 26-22 | 30 |
| 11. ვალანსიენი | 22 | 8 | 6 | 8 | 32-32 | 30 |
| 12. მონპელიე | 21 | 8 | 5 | 8 | 33-27 | 29 |
| 13. ბასტია | 21 | 7 | 4 | 10 | 28-44 | 25 |
| 14. ბრესტი | 21 | 7 | 3 | 11 | 22-29 | 24 |
| 15. სოშო | 21 | 6 | 4 | 11 | 21-30 | 22 |
| 16. აიაჩო | 21 | 5 | 8 | 8 | 22-30 | 21 |
| 17. ევიანი | 21 | 5 | 5 | 11 | 22-34 | 20 |
| 18. რეიმსი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-23 | 19 |
| 19. ტრუა | 21 | 2 | 7 | 12 | 23-42 | 13 |
| 20. ნანსი | 21 | 1 | 9 | 11 | 18-37 | 12 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 19 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა); 11 – გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი), ბენ ბასატი (ბრესტი), ფერე (რენი), ალესანდრინი (რენი), გუფრანი (ბორდო).

საფრანგეთის ჩემპიონატის 22-ე ტური კვირას, გამორჩეული მატჩით დასრულდება: პარიზში, "პარი სენ ჟერმენი" "ლილს" უმასპინძლებს. მეტოქეთა ბანაკებში კარგი განწყობაა, რადგან ორივე გუნდმა საფრანგეთის თასის მერვედფინალის საგზური მოიპოვა. "პარი სენ ჟერმენმა", მძიმე ბრძოლაში, "ტულუზს" 3:1 სძლია, ხოლო "ლილმა", ამავე ანგარიშით, სტუმრად მეოთხე დივიზიონის "პლაბენეკს" მოუგო.

მასპინძლებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უბრუნდება, რომელმაც თასის თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ასევე დაბრუნდა **ტიაგო მოტაც**, ვინც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, სამაგიეროდ არ იქნება მეორე ტიაგო – **ტიაგო სილვა** ტრავმირებულია და გუნდს კიდევ მინიმუმ 10 დღე ვერ დაეხმარება.

სტუმრებს დანაკლისი პრაქტიკულად არ აქვთ, აფრიკის თასზე წასულ **სალომონ კალუს და რაიან მენდესს** თუ არ ჩავთვლით. ამავე მიზეზით პსჟ-ს **მომო სისოკო** და **სიაკა ტიენე** არ ჰყავს, მაგრამ ამ ორი გუნდის რესურსის და სათადარიგოთა სკამის შედარება არ შეიძლება, შესაბამისად, ორი ფეხბურთელის არყოფნა სტუმრებზე უფრო აისახება.

პარიზელებს ჩემპიონატში უკვე 6 მატჩია არ წაუგიათ (5 მოიგეს) და ლიგა 1-ის ლიდერები არიან. წარმატებული სერიის გაგრძელებას **კარლო ანჩელოტის** შეგირდები ამ ტურშიც აპირებენ, რაც, ისტორიას თუ გადავხედავთ, რთული შესასრულებელი არ უნდა იყოს – "ლილმა" პარიზში ბოლოს 1996 წელს იმარჯვა, იქიდან მოყოლებული გამართულ 13 შეხვედრაში პსჟ-მ 7 მოიგო, 6 მატჩი კი ფრედ დასრულდა.

საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება "ნიცას" წარმატებული სვლა. **კლოდ პუელის** შეგირდებმა თასზე ცუდად ითამაშეს, "ნანსისთან" შეხვედრა ფრედ დაასრულეს, პენალტების სერიაში კი დამარცხდნენ. სამაგიეროდ ჩემპიონატში ყველაფერი რიგზეა – "ნიცამ" ბოლო 11 მატჩიდან 8 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. განსხვავებულ სიტუაციაშია "ბორდო", რომელმაც მეტოქისგან განსხვავებით, თასზე კარგად ითამაშა და მომდევნო ეტაპზე გავიდა, სამაგიეროდ ლიგა 1-ის ბოლო 8 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო.

სტუმრებს სერიოზული დანაკლისი აქვთ: **შეიკ დიაბატე** აფრიკის თასზეა, **იოან გუფრანი** კი "ნიუკასლში" გადავიდა. მასპინძლებს ამ მხრივ ყველაფერი იდეალურად აქვთ. შესანიშნავ ფორმაშია **დარიო ცვიტანიჩი**, რომელმაც წინა ტურში "ლილს" ვერ გაუტანა, მაგრამ მაინც საოცარი შედეგი აქვს: ბოლო 10 შეხვედრაში 9 გოლი.

ამ ტურის მესამე გამორჩეული მატჩი რენში გაიმართება, სადაც სტუმრად "მარსელი" ჩადის. ორივე გუნდი კარგ ფორმაშია: "მარსელმა" უკანასკნელი ხუთი მატჩიდან 4 მოიგო, "რენმა" კი ოთხიდან სამი. საერთოდ, სეზონის საშინლად დაწყების შემდეგ, **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდმა აშკარად მოუმატა – სულ "რენს" 11 გამარჯვება აქვს მოპოვებული, აქედან 10 მატჩი ბრეტონელებმა ბოლო 15 ტურში მოიგეს.

სტუმართა რიგებში შესაძლოა დებიუტი ჰქონდეს **მოდო სუგუს**, რომელიც "ოლიმპიკმა" "კლუჟიდან" შეიძინა. მოგეხსენებათ, "მარსელი" **ლოიკ რემიმ** დატოვა და 28 წლის სენეგალელი სწორედ მის შემცვლელად იყიდეს. ფეხბურთელი წავიდა "რენიდანაც", თან რა ფეხბურთელი და თანაც სად... **იან მვილა** კარიერას ყაზანის "რუბინში" გააგრძელებს. რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი ტრანსფერია, რადგან მვილას პრემიერლიგის თითქმის ყველა წამყვანი გუნდი ეპატიჟებოდა.



კარლო ანჩელოტის გუნდს რთული მატჩი ელის

ერთი-ორი სიტყვა "ნანსიზეც" უნდა ვთქვათ. ჩემპიონატის აუტსაიდერმა თასზე საკმაოდ კარგად ითამაშა და 2013 წლის დადგომის შემდეგ ორი ეტაპიც გაიარა. ახლა ეს გუნდი 1/8 ფინალში ითამაშებს, რაც უდავოდ დადებითი ფაქტია, მაგრამ "ნანსი" ჩემპიონატში კატასტროფულ მდგომარეობაშია – გუნდს უკვე 20 (!) ტურია არ მოუგია და მე-17 პოზიციაზე მყოფ "ევიანს" 8 ქულით ჩამორჩება.

ბარემ გეტყვით, რომ საფრანგეთის თასის მერვედფინალის კენჭისყრა გაიმართა და გუნდები ასე დაწყვილდნენ: "ლორიანი"-"ბრესტი"; პსჟ-"რუენი" ან "მარსელი"; "რაონ ლეტაპი"-"ბორდო"; "სოშო"-"ტრუა"; "ევიანი"-"ლე ავრი"; "ვენისო"-"ნანსი"; "სენტ ეტიენი"-"ლილი"; "ეპინალი"-"ლანსი".

შეხვედრები 26 და 27 თებერვალს გაიმართება. "რუენი"-"მარსელის" 1/16-ფინალური მატჩი 30 იანვრისთვის გადაიდო და გამარჯვების შემთხვევაში, "მარსელი" "პარი სენ ჟერმენს" შეხვდება. იმასაც გაგახსენებთ, რომ ეს გუნდები, ამ სეზონში ერთმანეთს ლიგის თასზეც შეხვდნენ, სადაც გამარჯვება პსჟ-ს დარჩა (2:0). ასევე გამორჩეულია "სენტ ეტიენის" და "ლილის" წყვილი. ლიგის თასზე ამ გუნდებმაც ითამაშეს, თანაც 1/2-ფინალში. შეხვედრა "მწვანეებმა" პენალტების სერიაში მოიგეს და 1982 წლის შემდეგ, პირველად გავიდნენ რომელიმე ტურნირის ფინალში.

**ტატო ბაციკაძე**

---

ამბები

## ლიედსონი პორტუგალიაში დაბრუნდა

პორტუგალიის მოქმედმა ჩემპიონმა, ლისაბონის "სპორტინგის" [illegible] ყოფილი ფეხბურთელი, **ლიედსონი** გადაიბირა. 35 წლის ფორვარდი, ბოლოს "ფლამენგოში" თამაშობდა, მაგრამ შარშანდელ სეზონში **ვაგნერ ლავთან** კონკურენციის გამო, მოედანზე მხოლოდ 16-ჯერ გავიდა. პორტუგალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი "პორტუში" სეზონის ბოლომდე განათხოვრების ჩესით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიაში წასვლამდე, სადაც ლიედსონმა "ფლამენგოს" გარდა "კორინთიანსშიც" ითამაშა, ფეხბურთელი 8 წლის განმავლობაში "სპორტინგის" ღირსებას იცავდა, რომლის რიგებშიც ჩემპიონატის 214 შეხვედრაში 116 გოლი გაიტანა, ყველა ტურნირზე კი თავი 173-ჯერ გამოიჩინა და ამ მაჩვენებლით ლიედსონი "სპორტინგის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მე-6 ადგილს იკავებს.

ლისაბონელებთან ერთად, ბრაზილიელმა ორჯერ პორტუგალიის თასი მოიგო და ასევე ორჯერ (2005 და 2007 წლებში) ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიედსონი "პორტუს" რიგებში ერთადერთი ყოფილი "სპორტინგელი" არ არის. მის გარდა, პორტუგალიის ჩემპიონში **ჟოაო მოუტინიო, სილვესტრ ვარელა** და **მარატ იზმაილოვი** ირიცხებიან.

## სენტურიონი ანჟიში გადავიდა

ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი არგენტინელი ფეხბურთელი, **ადრიან სენტურიონი** კარიერას მახაჩყალის "ანჟიში" გააგრძელებს. აველიანედას "რასინგი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 7.5 მილიონ ევროს მიიღებს, რაც კლუბისთვის სარეკორდო თანხაა – აქამდე, ყველაზე მეტი "რასინგმა" **მაქსი მორალესში** მიიღო, რომელიც 2007 წელს, 7 მილიონის საფასურად "მოსკოვში" გადავიდა.

20 წლის სენტურიონი რუსეთში 2013 წლის ზაფხულში გადავა, იქამდე კი "რასინგში" იქნება განათხოვრებული. არგენტინის ბოლო ჩემპიონატში სენტურიონმა ყველა, 19-ვე შეხვედრაში ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.

## ინსუა მადრიდში

ლისაბონის "სპორტინგი" კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა – **ჟელსონ ფერნანდესის, დანიელ კარიკოს, მარატ იზმაილოვის, ელიასის, ვალერი ბოჟინოვის** და **დანიელ პრანიჩის** შემდეგ, გუნდიდან **ემილიანო ინსუაც** წავიდა. მარცხენა მცველი კარიერას მადრიდის "ატლეტიკოში" გააგრძელებს. ჟურნალისტების ცნობით, მადრიდელებს არგენტინელის ტრანსფერი 3 მილიონი ევრო დაუჯდებათ. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, ინსუა ახალ კლუბთან 3,5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

24 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში ლისაბონელთა ღირსება (ყველა ტურნირზე) 24-ჯერ დაიცვა. "სპორტინგამდე" ინსუა "ბოკა ხუნიორსში" და "ლივერპულში" თამაშობდა, სადაც 4 წლის განმავლობაში 46 თამაში ჩაატარა. მერსისაიდელებს ფეხბურთელი ერთი წლით "გალათასარაიში" ჰყავდათ განათხოვრებული, 2011 წელს კი ის "სპორტინგში" გაყიდეს.

**ტატო ბაციკაძე**

---

ბარსელონა

# მილანის ამბები

### პირველი ფოტო, „ტვიტერის" გვერდი და პირველი პერსონალური ფეხსაცმელი...

„ბარსელონას" ვარსკვლავ **ჟერარდ პიკეს** და კოლუმბიელ მომღერალ **შაკირას** ვაჟის დაბადება ჯერჯერობით ისევ მოწინავე თემაა ესპანურ მედიაში. შეგახსენებთ, რომ 22 იანვრის ღამეს ბარსელონაში დაიბადა **მილან პიკე მებარაკი**.

პირველი ღამე ჟერარდმა კლინიკაში შაკირასთან გაატარა, დილით კი ვარჯიშზე წავიდა, შაკირასთან მისი და და დედა დარჩნენ. სწორედ მათ მიიღეს ჟურნალისტებისგან პირველი დარტყმა. ისინი ჟურნალისტებს უცხადებდნენ, რომ არ ჰყავდათ ჯერ ბავშვი ნანახი და ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ, ის მამას დამგვანებოდა. მილანის ბაბუამ განაცხადა, რომ ასეც არის: *„ის ძალიან ლამაზი და მუქთმიანია. ასეთი იყო ზუსტად ჟერარდი 25 წლის წინათ"*, - განაცხადა ამადორ ბერნაბეუმ - „ბარსელონას" ელჩმა უეფაში.

მილანი უკვე „ბარსელონას" „სოსიოს" წევრია, ბაბუამ უკვე გაუკეთა ბარათი ნომრით 171 751. ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ ამ ციფრების ჯამი 22-ია, 22 იანვარს დაიბადა მილანი, ხოლო ჟერარდი და შაკირა ორივე - 2 თებერვალს.



მილან პიკეს პირველი ფოტო

მილანს უკვე თავისი ოფიციალური გვერდი აქვს „ტვიტერზე", რომელსაც 8 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს. პირველი პოსტი (ტვიტი) კი ასეთია: *„დაბადება - ეს ყველაფრის დასაწყისია. ის დღევანდელობის საოცრებაა და მომავლის იმედი"*.

აქვე დევს მილანის პირველი ფოტო, რომელზეც სპეციალურად მისთვის შეკერილი „ნაიკის" ფეხსაცმელი ჩანს, წარწერით „მილანი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. II ტური

# მვინეს ბენეფისი



კენედი მვინემ პენალტი მოიგერია და გოლიც გაიტანა

| C ჯგუფი | |
|---|---|
| ზამბია-ნიგერია | 1:1 |

**გოლი:** 0:1 ემენიკე (57), 1:1 მვინე (85-პენ).

**გამოუყენებელი პენალტი:** ობი მიკელი (26. ნიგერია)

| | |
|---|---|
| ბურკინა ფასო-ეთიოპია | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. ზამბია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 3. ნიგერია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ეთიოპია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

C ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა ტურნირის მოქმედ ჩემპიონს და ერთ-ერთ ფავორიტს შორის გაიმართა. მართალია, ნიგერიის შემადგენლობა ისეთი შთამბეჭდავი აღარ არის, როგორიც წლების წინ იყო, მაგრამ **სტივენ კეშის** გუნდი მაინც საკმაოდ ძლიერია.

შეხვედრის პირველ ტაიმში ნიგერიამ მეტოქე აშკარად დაჯაბნა და გოლის გატანაც არაერთხელ შეეძლო. განსაკუთრებით გამორჩეული მოსკოვის "სპარტაკის" ფორვარდი, **ემანუელ ემენიკე** იყო, რომელიც ბევრს მოძრაობდა, მომენტებსაც ქმნიდა, მაგრამ პირველ ტაიმში თავის გამოჩენა ვერ შეძლო. გოლის გატანის ყველაზე რეალური მომენტი **ჯონ ობი მიკელს** შეექმნა, რომელმაც 26-ე წუთზე **აჰმედ მუსას** მიერ მოპოვებული პენალტი ვერ გამოიყენა.

ნიგერიელთა უპირატესობა გოლში მხოლოდ მეორე ტაიმში აისახა – 57-ე წუთზე, იმავე ემენიკემ ბურთი ობი მიკელისგან მიიღო, ერთი მეტოქე ჩამოიტოვა და **კენედი მვინეს** ახლო კუთხეში გაუტანა.

მატჩის ნამდვილი გმირი სწორედ ეს უკანასკნელი გახდა. ზამბიელთა მეკარემ არა მარტო პენალტი და ბევრი სახიფათო დარტყმა მოიგერია, არამედ 85-ე წუთზე თვითონ გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. ამ მომენტში აშკარად შეცდა შეხვედრის არბიტრი, რომელმაც ნიგერიელთა კარში გამოგონილი 11-მეტრიანი დანიშნა, ბურთთან ზამბიის ნაკრების მეკარე მივიდა და **ვინსენტ ენიეამას** აუღებელი დაურტყა. მვინემ ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა (75 თამაშში), საკლუბო კარიერაში კი მის ანგარიშზე 10 გოლია.

საბოლოოდ, შეხვედრა 1:1 დასრულდა და ამ ჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

**ტატო ბაციკაძე**

---

კოპა ლიბერტადორესი. საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

# უინტერესო საღამო

| | |
|---|---|
| დეფენსორი-ოლიმპია | 0:0 |
| დეპორ. ტოლიმა-სესარ ვალიეხო | 1:0 |

**გოლი:** 1:0 ლაიხტვაისი (58).

**გაძევება:** ბელალკასარი (60. დეპორტეს ტოლიმა).

შედარებით უინტერესო გამოდგა ლიბერტადორესის თასის დარჩენილი ორი საკვალიფიკაციო მატჩი და პრინციპში, ეს მოსალოდნელიც იყო. ურუგვაულმა "დეფენსორმა" პარაგვაის "ოლიმპიას" უმასპინძლა და გოლის გატანა ვერ შეძლო, თუმცა არც საკუთარ კარში გაუშვა და საბოლოოდ მატჩი 0:0 დასრულდა. ამ წყვილში ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება, ისევე როგორც "დეპორტეს ტოლიმა"-"უნივერსიდად სესარ ვალიეხოს" დუელში. კოლუმბიის წარმომადგენელმა პერუს კლუბს მინიმალური სხვაობით, 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი უცნაური გვარის მქონე პარაგვაელმა, **როხერიო ლაიხტვაისმა** გაიტანა, რომელიც "ტოლიმაში" "სერო პორტენიოდან" გადავიდა და ახალ კლუბში სადებიუტო შეხვედრას მართავდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები 30-31 იანვარს და 1 თებერვალს გაიმართება. შეგახსენებთ სხვა წყვილებს და პირველ შეხვედრებში დაფიქსირებულ ანგარიშებს: "დეპორტივო ანსოატეგი" (ვენ) – "ტიგრე" (არგ) 1:2; "დეპორტეს იკიკე" (ჩილე) – "ლეონი" (მექ) 1:1; "გრემიო" (ბრა) – "ლდუ კიტო" (ეკვ) 0:1; "ბოლივარი" (ბოლ) – "სან პაულო" (ბრა) 0:5.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

 იტალია. სერია A. XXII ტურის წინ

# კონტეს ფორვარდები დაუბრუნდნენ

## სტრამაჩონის კასანო, პეტკოვიჩს კლოზე

**გასულ ტურში "იუვენტუსი" ისევ დაუსხლტა კონკურენტებს, მაგრამ არა იმდენად, რომ თავი მშვიდად იგრძნოს. ერთი წაფორხილება და მდევრები ისევ მიუახლოვდებიან. ჩემპიონატიც ისეთ ფაზაშია შესული, თითოეულ ქულას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისად, ერთმა ტურმა ბევრი რამ შეიძლება შეცვალოს...**


"გაძეტას" ვერსიით, "ჯენოას" მირკო ვუჩინიჩი და ფაბიო კვალიარელა შეუტევენ

### კონტემ ამოისუნთქა

სათასო პაექრობის წინ, **ანტონიო კონტე** წუხდა, საკადრო პრობლემები შემექმნა და თავდასხმაში **ალესანდრო მატრის** იმედად ვარ დარჩენილიო. ამ მხრივ, ყველაფერი დალაგდა და **ნიკლას ბენდტნერის** გარდა, ყველა თავდამსხმელი მწყობრშია. თუ "გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, სასტარტოში **ფაბიო კვალიარელა** და **მირკო ვუჩინიჩი** გაირჯებიან, თადარიგში კი კონტეს **სებასტიან ჯოვინკო** და **ალესანდრო მატრი** ეყოლება. სამაგიეროდ, ნახევარდაცვაში უჭირს კონტეს - მარტო ის რად ღირს, რომ ტრავმის გამო თამაშს **ანდრეა პირლო** გამოტოვებს.

საკუთარ მოედანზე "იუვე" ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტურინელები უბრალოდ ვალდებულნი არიან გაიმარჯვონ. ლიდერს ერთ-ერთი აუტსაიდერი, "ჯენოა" ესტუმრება, რომელიც საშინლად ასპარეზობს და დაქვეითების რეალური კანდიდატია. თუმცა, ტურინელთა მწვრთნელი შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს:

*"ვინც თვლის, რომ გენუელებთან იოლი მატჩი გველის, ძალიან ცდება. "ჯენოას" დასაკარგი არაფერი აქვს, მაქსიმალურად მოინდომებს და შეეცდება ქულა მაინც წაჰყოლოს ხელს. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ სამი ქულა უკვე მოპოვებული გვაქვს, აუცილებლად დავისჯებით. პირლო ტრავმირებულია და ალბათ ვერ დაგვეხმარება, მაგრამ მის გარეშეც გვმართებს უმაღლეს დონეზე თამაში, მე სწორედ ამის იმედი მაქვს".*

### 26 იანვარი

**ლაციო-კიევო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ცანა (ლაციო).
**ტრავმა:** სტანკევიჩუსი, ედერსონი - დრამე, ლუსიანო.

**ბოლო 6 მატჩი**
+4=2-0 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 21 თამაში: +8=9-4, (25-21)

**იუვენტუსი-ჯენოა 23.45**

**ტრავმა:** პირლო, კიელინი, პეპე, ბენდტნერი - იანკოვიჩი, ვარგასი.

**ბოლო 6 მატჩი**
+4=1-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 17 თამაში: +10=6-1, (38-17)

### 27 იანვარი

**ბოლონია-რომა 15.00**

**დისკვალიფიკაცია:** პაციენცა, კერუბინი - გუბერტი, ლამელა.
**ტრავმა:** ნატალი, აკვაფრესკა, პორტანოვა - დესტრო, დე როსი, მარკინიოსი.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 28 თამაში: +6=7-15, (29-49)

**ატალანტა-მილანი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჯორჯი (ატალანტა).
**ტრავმა:** კაპელი, ბელინი, მარილუნგო, ლუკინი, სკელოტო - დიდაკ ვილა, დე იონგი, ამბროზინი, იეპესი.

**ბოლო 6 მატჩი**
+1=2-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 27 თამაში: +4=7-16, (28-28)

**კალიარი-პალერმო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გარსია (პალერმო).
**ტრავმა:** არიაუდო, ნენე, რიბეირო, კაპელინი - ერნანდესი, მანტოვანი.

**ბოლო 6 მატჩი**
+1=1-4 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 23 თამაში: +7=9-7, (31-31)

**კატანია-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლოდი, ბერგესიო (კატანია).
**ტრავმა:** შაკა, ალმირონი, მარკეზე - როსი, აგაცი, კასანი.

**ბოლო 6 მატჩი**
+4=1-1 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 15 თამაში: +2=3-10, (9-25)

**პარმა-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბერამი (ნაპოლი).
**ტრავმა:** გალოპა, ბიაბიანი (პარმა).

**ბოლო 6 მატჩი**
+3=2-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 23 თამაში: +9=3-11, (35-31)

**სამპდორია-პესკარა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მოდესტო, ვეისი (პესკარა).
**ტრავმა:** ხუან ანტონიო, რენანი, ედერი - კოსიჩი.

**ბოლო 6 მატჩი**
+1=1-4 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 7 თამაში: +2=2-3, (9-14)

**უდინეზე-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი (სიენა).
**ტრავმა:** ფაბრინი, ბრკიჩი, ბენეტია, ბადუ - პოცი.

**ბოლო 6 მატჩი**
+3=2-1 +1=0-5

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 17 თამაში: +8=5-4, (29-20)

**ინტერი-ტორინო 23.45**

**ტრავმა:** კასტელაცი, სამუელი, მილიტო, კოუტინიო, სტანკოვიჩი - ოგბონა.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=2-2+3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 19 თამაში: +14=4-1, (32-7)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 15 | 3 | 3 | 45-14 | 48 |
| 2. ნაპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 41-19 | 43 |
| 3. ლაციო | 21 | 13 | 4 | 4 | 31-20 | 43 |
| 4. ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 33-23 | 39 |
| 5. ფიორენტინა | 21 | 10 | 6 | 5 | 38-25 | 36 |
| 6. მილანი | 21 | 10 | 4 | 7 | 38-28 | 34 |
| 7. რომა | 21 | 10 | 3 | 8 | 43-35 | 33 |
| 8. კატანია | 21 | 9 | 5 | 7 | 29-27 | 32 |
| 9. პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 29-27 | 31 |
| 10. უდინეზე | 21 | 7 | 9 | 5 | 32-31 | 30 |
| 11. ტორინო | 21 | 6 | 9 | 6 | 25-24 | 26 |
| 12. კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 22-34 | 25 |
| 13. ატალანტა | 21 | 7 | 4 | 10 | 19-31 | 23 |
| 14. ბოლონია | 21 | 6 | 3 | 12 | 26-28 | 21 |
| 15. სამპდორია | 21 | 6 | 4 | 11 | 22-29 | 21 |
| 16. კალიარი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-37 | 20 |
| 17. პესკარა | 21 | 6 | 2 | 13 | 17-39 | 20 |
| 18. ჯენოა | 21 | 4 | 5 | 12 | 21-33 | 17 |
| 19. პალერმო | 21 | 3 | 7 | 11 | 18-34 | 16 |
| 20. სიენა | 21 | 5 | 5 | 11 | 20-31 | 14 |

***შენიშვნა:*** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 17 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა), პაცინი (მილანი); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ჯილარდინო (ბოლონია), ერნანესი (ლაციო).

### დუბლისთვის მებრძოლი

მიმდინარე სეზონში "კიევო" "ჯენოაზე" უკეთესად ირჯება, მაგრამ "ლაციოსთან" გასვლით პაექრობაში ვერონული გუნდიც აუტსაიდერად გამოიყურება. მით უმეტეს, რომაელებს **მიროსლავ კლოზე** დაუბრუნდათ, რომელიც ერთი ვერსიით, ძირითად შემადგენლობაში იქნება, ხოლო მეორე ვერსით, თადარიგში დარჩება და ისევ **სერჯო ფლოკარის** დაუთმობს ადგილს.

დედაქალაქელები მოახლოებულ პაექრობას შესანიშნავ ხასიათზე ხვდებიან, რადგან შუა კვირაში იტალიის თასის ნახევარფინალში "იუვესთან" სასურველ შედეგს მიაღწიეს. წინასამატჩო ბრიფინგზე **ვლადიმირ პეტკოვიჩს** ერთი საინტერესო კითხვა დაუსვეს: "*თქვენი გუნდი დუბლისთვის იბრძვის*"? - აქვე პასუხი:

*"დამაინტრიგებელი კითხვაა. ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი გვიკავია, თასის ფინალთან კი ახლოს ვართ - ამ ლოგიკით, მართლაც დუბლისთვის ვიბრძვით, ეს ფაქტია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დღეს ტროფეებზე არ ვფიქრობ და უბრალოდ მსურს, უახლოესი თამაშისთვის გუნდი იდეალურად მოვამზადო. ანალოგიური ვითარებაა "კიევოსთან" მატჩის წინაც და დანარჩენი უკვე მოედანზე გამოჩნდება".*

### კაპიტნის დაბრუნება

"ნაპოლი" ემილიაში პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით ჩადის. **ვალტერ მაცარის ედინსონ კავანიც** ეყოლება, **გორან პანდევიც, მარეკ ჰამშიკიც** და თუ საჭირო გახდა, **ლორენცო ინსინიეც**. "პარმასთან" გასვლაზე მოგება იოლი საქმე ნამდვილად არაა, მაგრამ თუ სამხრეთელებს "იუვენტუსისთვის" კონკურენციის გაწევა სურთ, სწორედ ასეთ შეხვედრებში უნდა ივარგონ.

აღსანიშნავია, რომ "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ძირითად შემადგენლობაში იქნება **პაოლო კანავარო,** რომელსაც ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნეს. კაპიტანს წინა ტურშიც ჰქონდა მოედანზე გასვლის უფლება, მაგრამ კაი ხნის უთამაშებელი იყო და მწვრთნელმა თადარიგში დატოვა. კანავაროს **ალესანდრო გამბერინი** და **მიგელ ბრიტოსი** დაუმშვენებენ გვერდს.

ნეაპოლელთა მსგავსად, "პარმაც" 3-5-2 ტაქტიკით გაირჯება, შეტევაში კი **ისაკ ბელფოდილი** და **ნიკოლა სანსონე** გაირჯებიან. ეს ის სანსონეა, "ენიო ტარდინიზე" "ინტერსაც" რომ გაუტანა და "იუვენტუსსაც". მოკლედ, ახალგაზრდა ფორვარდი ლიდერთა რისხვაა და ვნახოთ, "ნაპოლის" რა ბედი ეწევა.

### ოპტიმალური ტრიო შეტევაში

**ანდრეა სტრამაჩონის ანტონიო კასანო** დაუბრუნდა და მარტო **როდრიგო პალასიოს** იმედად აღარ უწევს ყოფნა. "ინტერი" "ტორინოს" მიიღებს და რა თქმა უნდა, სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. გამთამაშებელი **ფრედი გუარინი** იქნება და ეს ალბათ ის ოპტიმალური ტრიოა, რომელსაც სტრამაჩონი სიამოვნებით დაეყრდნობა. პალასიო ათამაშდა, კასანოს კარგი სეზონი აქვს, გუარინი კი სულაც "ინტერის" საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება მიმდინარე სეზონში. ანუ, მილანური გრანდი ტურინელთა ძლევისთვის ემზადება, მით უმეტეს, "ტორინოს" დღემდე დაშავებული ჰყავს საუკეთესო მცველი **ანჯელო ოგბონა**.

"მილანი" "ატალანტას" ესტუმრება და **მასიმილიანო ალეგრისთვის** ტრადიციული ტაქტიკით, 4-3-3-ით გაირჯება. ფლანგებიდან ისევ თინეიჯერები: **მბიაე ნიანგი** და **შტეფან ელ შაარავი** შეუტევენ, ცენტრფორვარდი კი ისევ **ჯამპაოლო პაცინი** იქნება. ლომბარდიელთა ახალწვეული **კრისტიან ძაკარდო** თადარიგში დარჩება და შესაძლოა, მეორე ნახევარში ჩაერთოს თამაშში. "როსონერის" მოგება სჭირდება, სხვაგვარად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი კიდევ უფრო მიზერული გახდება.

ტრანსფერი

# ძაკარდო მილანელია

## აბატე თითქმის ზენიტშია

**რიკარდო** კაკას და **მარიო ბალოტელისა** რა გითხრათ და **კრისტიან ძაკარდო** კი ნამდვილად "მილანელია". გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კარიერას ლომბარდიულ გრანდში გააგრძელებს. 31 წლის მცველს ადრე მარჯვენა ფლანგზე უწევდა თამაში, დღეს კი უფრო ხშირად ცენტრალური მცველის ფუნქციებს ასრულებს. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, ფლანგის მცველები ასაკში რომ ველარ დარბიან და ცენტრში შედიან. ძაკარდომ "მილანთან" 2017 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ, კარიერასაც ამ გუნდში დაასრულებს.


კრისტიან ძაკარდო

და რა მიიღო სანაცვლოდ "პარმამ"? - მილანელები რომ ფულს არ გადაიხდიდნენ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სამაგიეროდ, ემილიაში ერთბაშად ორი ფეხბურთელი გაუშვეს: **ჯამელ მესბა** და **როდნი შტრასერი**. 28 წლის მესბამ "პარმასთან" სრულფასოვანი ხელშეკრულება გააფორმა და "ჯალობლუს" ბედი 2017 წლამდე დაუკავშირა, 23 წლის როდნი კი ემილიაში იჯარის წესით, სეზონის ბოლომდე წავიდა.

ამასობაში, "მილანთან" დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც, გუნდს მალე **ინაციო აბატე** დატოვებს. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მილანელები სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" მესვეურებს უკვე შეუთანხმდნენ და გარიგებაც შემდგარია. ამჟამად რუსები თავად ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს და წესით, არც აქ უნდა შეიქმნას რაიმე პრობლემა. 26 წლის ინაციო ახალგაზრდა მცველმა **მატია დე შილიომ** შეავიწროვა, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და მისი "როსონერიდან" აბარგების თემაც სწორედ აქედან დაიძრა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტურის წინ


ანტონიო ადანი კარში იკერ კასილიასის ნაცვლად ჩადგება

# ადანი: მე მზად ვარ!

## მესიმ ბარსელონა შეაშინა

**„მარკასთან“ მორიგი საინფორმაციო ომის გადატანის შემდეგ ჟოზე მოურინიოს „რეალი“ ლა ლიგის 21-ე ტურისთვის ემზადება. კვირას, დღის პირველ ნახევარში (რაც უჩვეულოა „სამეფო კლუბისთვის“) მცირე მადრიდული დერბია - „რეალის“ კარს „ხეტაფესთან“ მატჩში ანტონიო ადანი დაიცავს. ეს უკვე აღარ არის ჟოზე მოურინიოს მოულოდნელი გადაწყვეტილება, იკერ კასილიასის ტრავმით გამოწვეული აუცილებლობაა. „მალაგასთან“ ნაომარი „ბარსელონა“ კი „კამპ ნოუზე“ ერთ-ერთ აუტსაიდერს, „ოსასუნას“ მიიღებს.**

### დერბი მაინც დერბია

„რეალის“ სარეზერვო გოლკიპერი **ანტონიო ადანი**, რომელიც პატარა ბავშვი სულაც არაა (25 წლისაა) აცხადებს, რომ მზადაა ერთხელ და სამუდამოდ გამოვიდეს **იკერ კასილიასის** ჩრდილიდან. *„მე მზად ვარ“*, - განუცხადა მან „მარკას“ - *„თუკი თამაშის საშუალება მომეცემა, მოურინიოს იმედებს არ გავუცრუებ, მაგრამ კარგად ვიცი რა წნეხია, მსოფლიოში საუკეთესო გოლკიპერის ნაცვლად თამაში. 15 დღის წინათ, ცოტა სხვა სიტუაცია იყო, ახლა კასილიასს ტრავმა აწუხებს“.*

იკერ კასილიასმა კი ხელზე ოპერაცია გაიკეთა, მხოლოდ ოპერაციის შემდეგ დადგინდება, ზუსტად რამდენ დროს გამოატოვინებს კაპიტანს ტრავმირებული ხელი. საკადრო პრობლემები **ჟოზეს** სხვაც აქვს: **სერხიო რამოსს** დარჩა დისკვალიფიკაციის ბოლო მატჩი მოსახდელი, **პეპე** კი ტრავმირებულია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** *ადანი - არბელოა, ვარანი, ალბიოლი, ფ. კოენტრაო - კალეხონი, იოზილი, რონალდო - იგუაინი.*

**ხეტაფე:** *მოია - ვალერა, რაფა, ალექსისი, მ. ტორესი - ხ. ტორესი, ხ. როდრიგესი - პედრო ლეონი, დ. კასტრო, გავილანი - კოლუნგა.*

### პიკეს გარეშე, მესით

„ბარსელონას“ არ ეყოლება წინა ტურში გაძევებული **ჟერარდ პიკე. ლიონელ მესის** ტრავმა კი არ აღმოჩნდა სერიოზული და „ლა პულგა“ „ოსასუნასთან“ მატჩში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ წინა ტურში სეზონში პირველი მარცხი იგემა, თუმცა უახლოეს მდევარ „ატლეტიკოს“ მაინც გვარიანად - 8 ქულით - უსწრებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, სანჩესი.*

**ოსასუნა:** *ა. ფერნანდესი - ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, ნანო - პუნიალი, ლოლო - სეხუდო, ნინო, არმენტეროსი - კიკე სოლა.*

**26 იანვარი**

**სელტა-სოსიედადი 19:00**

**ტრავმა:** ლიორკა, ტუნიესი, მალიო - კადამურო, ბერგარა

**ბოლო 6 მატჩი**

+1 =1 -4 +2 =3 -1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: + 12=12 -10 (51-48)

**ლევანტე-ვალიადოლიდი 21:00**

**ტრავმა:** მანუჩო (აფრ), პერესი, რუედა (ვალ)

**ბოლო 6 მატჩი**

+3 =0 -3 +2 =1 -3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 5 თამაში: +1 =1 -3 (5-10)

**სარაგოსა-ესპანიოლი 23:00**

**ტრავმა:** ობრადოვიჩი, რომარიკი - სტუანი, ალვარესი, ვაკასო (აფრ), სანჩესი

**ბოლო 6 მატჩი**

+2 =0 -4 +3 =2 -1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +12 =11 -12 (38-50)

**დეპორტივო-ვალენსია 01:00**

**ტრავმა:** აგილარი, მარჩენა (?), საული, ლაურე - კანალესი (?), ფეგული (აფრ), ალბელდა, პარეხო, მატიო

**ბოლო 6 მატჩი**

+1 =2 -3 +4 =0 -2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +15 =10 -16 (48-56)

**27 იანვარი**

**რეალი-ხეტაფე 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** სერხიო რამოსი (რეალ)

**ტრავმა:** პეპე, კასილიასი - პედრო ლეონი (?), ტორესი (?), მანე, ბარადა, ლაფიტა, ლასენი

**ბოლო 6 მატჩი**

+3 =2 -1 +0 =4 -2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +10 =2 -5 (30-19)

**ვალეკანო-ბეტისი 20:00**

**ტრავმა:** ლაბაკა, როდრი, ლეო კარილიო, მარტინესი - კარლოსი, პოსუელო, მარტინესი

**ბოლო 6 მატჩი**

+4 =0 -2 +3 =1 -2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +5 =5 -7 (16-26)

**ბარსელონა-ოსასუნა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** პიკე (ბარ)

**ტრავმა:** ს. რობერტო - რიესგო, სისი, ანანი (აფრ), არმენტეროსი (?), ტიმორი

**ბოლო 6 მატჩი**

+ 5=0 -1 +1 =2 -3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +17 =7 -5 (62-24)

**ბილბაო-ატლეტიკო 00:00**

**ტრავმა:** პერესი, გალარეტა, ადურისი (?) - კელასტი, ხუანფრანი (?), ფალკაო

**ბოლო 6 მატჩი**

+2 =1 -3 +4 =1 -1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +12 =5 -19 (45-66)

**მალიორკა-მალაგა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუნა

**ტრავმა:** არისმენდი, ჟ. ვიქტორი, ლოპესი - ბაპტიშტა

**ბოლო 6 მატჩი**

+ 1= 1-4 +3 =1 -2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +7 =9 -9 (24-29)

**28 იანვარი**

**სევილია-გრანადა 00:30**

**ტრავმა:** სპაჰიჩი (?), ტროხოვსკი, პეროტი, კონდობია (?), კამპანია (?P), რაბელიო - ელ-არაბი (აფრ), გომესი, ბენიტესი, ფ. რიკო, მაჩისი

**ბოლო 6 მატჩი**

+ 1=2 -3 +2 =2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 3 თამაში: +1 =1 -1 (5-3)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 66-23 | 55 |
| 2. ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 42-18 | 47 |
| 3. რეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 50-20 | 40 |
| 4. ბეტისი | 20 | 11 | 2 | 7 | 31-30 | 35 |
| 5. მალაგა | 20 | 9 | 5 | 6 | 30-17 | 32 |
| 6. ვალეკანო | 20 | 10 | 1 | 9 | 27-36 | 31 |
| 7. ვალენსია | 20 | 9 | 3 | 8 | 27-32 | 30 |
| 8. ლევანტე | 20 | 9 | 3 | 8 | 24-29 | 30 |
| 9. სოსიედადი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-27 | 29 |
| 10. ვალიადოლიდი | 20 | 8 | 4 | 8 | 29-25 | 28 |
| 11. ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 25-31 | 26 |
| 12. სევილია | 20 | 6 | 5 | 9 | 24-29 | 23 |
| 13. სარაგოსა | 20 | 7 | 1 | 12 | 21-30 | 22 |
| 14. ბილბაო | 20 | 6 | 4 | 10 | 24-40 | 22 |
| 15. ესპანიოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 23-32 | 21 |
| 16. გრანადა | 20 | 5 | 5 | 10 | 18-29 | 20 |
| 17. სელტა | 20 | 5 | 4 | 11 | 20-25 | 19 |
| 18. ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 16-21 | 18 |
| 19. მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 20-36 | 17 |
| 20. დეპორტივო | 20 | 3 | 7 | 10 | 24-42 | 16 |

**ბომბარდირები:** 29 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 18 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი).

● კოპა დელ რეი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# ესეც ორი კლასიკო ბონუსად!

## ბარსელონა და რეალი სამეფო თასის ნახევარფინალში ეომებიან ერთმანეთს

**ფეხბურთის მოყვარულებისთვის კარგი ამბავი გვაქვს - წლის დასაწყისშივე ორი კლასიკო დამატებით ბონუსად გვერგო, ამჯერად, „სამეფო თასის“ ნახევარფინალის ეგიდით. ანდალუსიაში, „მალაგასა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება ერთი ხანობა, ძალიან მიუახლოვდა დამატებით ტაიმებს (პირველი მატჩი „კამპ ნოუზე“ 2:2 დასრულდა) და თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მალაგაშიც 2:2 იყო, მაგრამ შემდეგ ჟორდი როურას გუნდმა იძალა, ჯერ ანდრეს ინიესტამ, შემდეგ კი ლეო მესიმ „მალაგას“ იმედი დაასამარეს.
შედარებით იოლად გავიდა სამშვიდობოს „ატლეტიკო“, რომელიც ტრავმირებული რადამელ ფალკაოს გარეშე თამაშობდა „ბეტისთან“ (1:1, პირველი მატჩი მადრიდელებს 2:0 ჰქონდათ მოგებული) და „სევილიასთან“ რანდევუ გაინაღდა. პირველი ნახევარფინალური შეხვედრები თვის დასასრულს გაიმართება, საპასუხო - კი თებერვლის ბოლოს.**

**ბეტისი-ატლეტიკო 1:1 (0:2)**

**გოლები:** 0:1 დ. კოშტა (45), 1:1 მოლინა (90-პენ)

**ბეტისი (4-2-3-1):** კასტო - ა. ლოპესი, პერკისი, ამაია, ნაჩო - რ. პერესი, ბენიატი (46. მოლინა) - ვადილიო, სევილია, კემპბელი (46. მოლინსი) - რ. კასტრო (69. ნონო).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - მანკილიო, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - გაბი (54. ემრე), მ. სუარესი - ადრიან ლოპესი, კოკე, არდა თურანი (73. რაულ გარსია) - დ. კოშტა (62. კ. როდრიგესი).

**მალაგა-ბარსელონა 2:4 (2:2)**

**გოლები:** 0:1 პედრო (8), 1:1 ხოაკინი (12), 1:2 პიკე (49), 2:2 სანტა კრუსი (68), 2:3 ინიესტა (75), 2:4 მესი (80)

**მალაგა (4-2-3-1):** კამენი - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ნაჩო კამაჩო, იტურა - დუდა (62. პორტილიო), ხოაკინი (80. სავიოლა), სება ფერნანდესი (85. პიაზონი) - სანტა კრუსი.

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა (89. ადრიანო) - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო (86. სანჩესი), მესი (81. ტ. ალკანტარა), ინიესტა.

**ნახევარფინალი**

**რეალი-ბარსელონა**
**ატლეტიკო-სევილია**

მატჩები 30 იანვარს და 27 თებერვალს გაიმართება

### კერკეტი კაკალი ატლეტიკო

„ატლეტიკომ“ „ბეტისს“ საპასუხო მატჩში ოცნების შანსიც არ მისცა - „ჩოლო“ მეტისმეტად „კერკეტი კაკალია“, **დიეგო სიმეონეს** გუნდმა მეტოქეს ფეხი არ გაანძრევინა. ამას დაემატა მასპინძელთა ცენტრალური მცველის, **ანტონიო ამაიას** და სარეზერვო მეკარის **კასტო ესპინოსას** „შეხმატკბილებული“ მოქმედება ტაიმის მიწურულს, რომელთაც ერთობლივად აჩუქეს ბურთი **დიეგო კოშტას** და ბრაზილიელმაც საბოლოოდ მოკლა ინტრიგა. მატჩის მიწურულს **ხორხე მოლინამ** მხოლოდ პრესტიჟის გოლი გაიტანა - 1:1.

**პეპე მელი** (ბეტისი): *„ჩვენი შანსი „ვისენტე კალდერონზე“ დავკარგეთ - გოლის გატანის შანსი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. საბოლოოდ, ყველაფერი პირველი გოლისას გადაწყდა. „ატლეტიკო“ ძალიან კარგი გუნდია და დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში“.*

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„ქალაქ სევილიას დიდ პატივს ვცემ, მე აქ ძალიან კარგი დრო გავატარე. ძალიან კარგად ვიმუშავეთ და შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩვენ არ ვისახავთ შორეულ გეგმებს, ვფიქრობთ მხოლოდ მომავალ მატჩზე, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“.*

### შოუ ლა როსალედაზე

თავიდანვე მაღალ ტემპში დაწყებული თამაში ასევე გაგრძელდა, ამიტომაც „ლა როსალედაზე“ 6 გოლი ვიხილეთ, აქედან 4 მასპინძელთა კარში. **ჟორდი როურას** ბიჭებმა თავი საკმაოდ რთული მდგომარეობიდან დაიძვრინეს. **მანუელ პელეგრინის** გუნდი ყოჩაღობდა, მაგრამ საბოლოოდ **სესკის, ინიესტას, მესის** და **ჩავის** (რომელიც მეორე დღეს 33 წლის გახდა) მონადინებამ თავისი გაიტანა.

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„ძალიან ძლიერ მეტოქეს ვებრძოლეთ. დღეს „ლა როსალედაზე“ დიდი ფეხბურთი ვნახეთ. ახლა ძალიან ცოტა დრო გვრჩება კვირის მატჩამდე ჩემპიონატში და მხოლოდ „მალიორკასთან“ შეხვედრაზე ვფიქრობ“.*

**ჟორდი როურა** (ბარსელონა): *„ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გუნდის რეაქცია მაშინ, როცა ჩვენთვის არასასურველად ვითარდებოდა მოვლენები. კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავედით ნახევარფინალში“.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ლიონელ მესიმ გოლი გაიტანა, მაგრამ ტრავმა მიიღო



ეპიზოდი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ატლეტიკოს სასარგებლოდ ყველაფერი

● ჩელსი

# დავიდ ლუისისა და აზარის გარეშე

## მაგრამ ახლა უკვე კაპიტანთან ერთად



დავიდ ლუისი ჩელსის რამდენიმე კვირა ვერ დაეხმარება

„დეილი მეილის" ინფორმაციით, "ჩელსის" 25 წლის ცენტრალურმა მცველმა **დავიდ ლუისმა** "სუონსისთან" ლიგის თასის 1/2-ფინალურ შეხვედრაში (ბრაზილიელი შეცვლაზე შევიდა) ბარძაყის კუნთი სერიოზულად დაიზიანა, რის გამოც გუნდს უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. საბედნიეროდ, **ჯონ ტერი** უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ლონდონელებს უკვე შეუძლიათ თავიანთი კაპიტნის იმედად ყოფნა. შეგახსენებთ იმასაც, რომ დავიდ ლუისმა "არსენალთან" ბოლო ტურის შეხვედრაც გამოტოვა, ოღონდ მაშინ ის დაშავებულ მუხლს მკურნალობდა.

### აზარი სამ თამაშს გამოტოვებს

"სუონსისთან" ლიგის თასზე **ედენ აზარსა** და "ლიბერთი სტედიუმის" მომსახურე ბიჭს შორის მომხდარ სკანდალზე გუშინდელ ნომერში მოზრდილი მასალა შემოგთავაზეთ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ "ჩელსის" ფეხბურთელმა **ჩარლი მორგანს** ბურთის წართმევა დაუპირა და გემოზეც მოსდო. როგორც სპორტული ვებგვერდები წერენ, საფეხბურთო ასოციაციამ საქმე უკვე გამოიძია. ორგანიზაციაში გაითვალისწინეს, რომ მხარეები შერიგდნენ, ერთმანეთს ბოდიში მოუხადეს და აქედან გამომდინარე ბელგიელს 3-თამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. ინფორმაციას ასოციაციის პრესსამსახური ამ დღეებში ოფიციალურად დაადასტურებს.

ფეხბურთელის საქციელი დაგმო ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამაც. აი, რა განაცხადა ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა **სტივენ მარტინსმა**: *"ასეთი რამ მხოლოდ განერვიულებულმა ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი ვალდებულია, საკუთარი თავი აკონტროლოს, მით უფრო მოთოკოს ნეგატიური ემოციები, რადგან მსგავს საქციელს შეიძლება უმძიმესი შედეგები მოჰყვეს. აზარის გამო ძალიან ვნერვიულობთ, რადგან ის ჩვენი ეროვნული ნაკრების განუყოფელი ნაწილია. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდება. იმედია, ეს შეცდომა ფეხბურთელისთვის კარგი გაკვეთილი იქნება"*.

მეორე დღეა, ჩარლი მორგანი "ტვიტერის" "ვარსკვლავად" იქცა. 17 წლის ბიჭი საყოველთაო ყურადღების ქვეშ მოექცა. მის საქციელს უმრავლესობა არ ამართლებს, მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მას უხამსი სიტყვებით ამკობენ. ერთ-ერთი, ვინც ვაჟბატონის შეურაცხყოფას არ მოერიდა, **ეშლი კოულის** დედა **სიუ კოული** აღმოჩნდა. მართალია, მან საკუთარი ნაწერი (F***ing Little S***) მალე წაშალა, მაგრამ ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ჟურნალისტები მისის კოულს დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, თუ ვის ეხებოდა ეს ფრაზა. *"ეს ღრმად პირადულია. რა თქმა უნდა, სულაც არ მიგულისხმია ამ თამაშის ერთ-ერთი "გმირი". ის ჩემს მეგობრებზე დაწერე,"* – აი, ასეთი ხუმრობანარევი პასუხი გასცა ქალბატონმა კოულმა ჩვენს ინგლისელ კოლეგებს. ის არ იყო ერთადერთი, ვინც მორგანი უდიერად მოიხსენია. *"აზარმა ბურთს მხოლოდ ფეხის წვერი მიჰკრა. და საერთოდ, რატომ არავინ კითხულობს, თუ რატომ იწვა ეს ბიჭი ბურთზე? ფეხბურთელის იმედგაცრუება გასაგებია, ცდილობ ბურთის თამაშში დაბრუნებას და ვიღაც იდიოტი ამის უფლებას არ გაძლევს. ის ჯერ კიდევ თამაშამდე წერდა, რომ დროის გაყვანის ოსტატია. მსგავსი რამ კი პირადად გულს მირევს,"* – განუცხადა "დეილი მირორს" "ქუინზ პარკის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა**.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# მანჩესტერ იუნაიტედის მარგებელი დასვენება

20 იანვარს "უაით ჰარტ ლეინზე" მძიმე დაპირისპირების (1:1) გადატანის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედი" მთელი შემადგენლობით ყატარს გაფრინდა, სადაც 4-დღიანი შეკრება "ესპაიერის" საწვრთნელ ცენტრში მოაწყო. ინგლისში დაბრუნებისთანავე ფეხბურთელებმა შთაბეჭდილებები კლუბის ვებგვერდს გაუზიარეს. ისინი უაღრესად ბედნიერები დარჩნენ, რომ იანვარში მცხუნვარე მზის ქვეშ უწევდათ ვარჯიში.

**ნემანია ვიდიჩი** (კაპიტანი): *"ყველაფერი დიდებული იყო. ამინდი მართლაც ზღაპრული დაგვხვდა, საწვრთნელ ცენტრზე კიდევ რა გითხრათ? მზიან ამინდში ვარჯიში კარგი იყო, განსაკუთრებით თუ იმას გავითვალისწინებთ, მანჩესტერში რა ხდება ხოლმე იანვარში. აქ სამი წლის წინაც გახლდით და შემიძლია ვთქვა, რომ ორივე შეკრებამ დაუვიწყარი მოგონებები დამიტოვა"*.

**რაიან გიგზი**: *"ყველაფერი მართლა მაგარი იყო - ამინდიც, ბაზაც. იმედია, რომ ეს ყველაფერი სეზონის ბოლომდე გაგვყვება, რადგან ვარჯიშის გარდა ბიჭებს იმის დროც გვქონდა, რომ სანაპიროზე გავრუჯულიყავით და გოლფში "ყატარ მასტერსის" ტურნირს დასწრებოდით"*.

**მაიკ ფელანი** (მწვრთნელის ასისტენტი): "საამაყოდ გვაქვს საქმე, რომ ისევ მოგვიწია "ესპაიერში" შეკრებამ. ცენტრის პერსონალი შეუდარებელი იყო, მთლიანად კომპლექსი კი უმაღლესი კლასის".


მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელები ყატარული შეკრებით აღფრთოვანებულნი დარჩნენ

### ტრანსფერები

"ლესტერ სიტიმ" "მანჩესტერ იუნაიტედთან" 20 წლის მცველის **მაიკლ კინის** 5-თვიან საიჯარო ხელშეკრულებაზე მიაღწია შეთანხმებას. მართალია, კინს ირლანდიური ფესვები აქვს (2 თამაში აქვს ჩატარებული ამ ქვეყნის 17-წლამდელებში), მაგრამ ახლა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია. მაიკლი "მელიების" შემადგენლობაში ნოემბრიდან ირიცხება და მას მერე 4 თამაშის ჩატარება მოასწრო. *"მოხარულები ვართ, რომ "იუნაიტედი" სეზონის ბოლომდე დავითანხმეთ კინის იჯარაზე. ის ჩვენთან მაღალ დონეზე თამაშობს და გამოცდილებას ნელ-ნელა იძენს,"* – აცხადებს "ლესტერის" მთავარი მწვრთნელი **ნაიჯელ პირსონი**. თანაგუნდელით აღფრთოვანებულია "ტოტენჰემისა" და "ლივერპულის" ყოფილი მარცხენა მცველი **პოლ კონჩესკი**. მაიკლს ის ინგლისური ფეხბურთის ახალი თაობის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს უწოდებს.

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, მას მერე, რაც "იუნაიტედში" **ვილფრიდ ზაჰას** ტრანსფერი საბოლოოდ გადაწყდა, "ეშმაკებმა" ზაფხულისთვის კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის დაბევება გადაწყვიტეს. ლაპარაკია "სენტ ეტიენის" 18 წლის მცველ **კურტ ზუმაზე**, ვინც ასაკის მიუხედავად "მწვანეების" ძირითად შემადგენლობაში ხშირად ხვდება. იუნიორ ფრანგზე აქცენტი მას მერე გაკეთდა, რაც "ბენფიკასთან" **ესეკილ გარაის** ტრანსფერზე მოლაპარაკებები გართულდა. ზუმას შეძენას "იუნაიტედის" გარდა "მანჩესტერ სიტიც" გეგმავს.

● ამბები

### იოვეტიჩი თუ ვილია?

იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "არსენალი" "ფიორენტინადან" 23 წლის ჩერნოგორიელი თავდამსხმელის **სტევან იოვეტიჩის** შეძენას გეგმავს და მზადაა, "იებს" 24 მილიონი ევრო გადაუხადოს. მართალია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, მაგრამ "მეთოფეები" იმედს არ კარგავენ, რომ გარიგების დადება მაინც მოესწრება. მიმდინარე სეზონში იოვეტიჩმა ყველა ტურნირში ერთად 23 თამაშში 9 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა გააკეთა.

ინგლისური გამოცემები ლონდონელთა განსხვავებულ გეგმებზე წერენ. „დეილი მეილის" მტკიცებით, **არსენ ვენგერს** ბარსელონელი **დავიდ ვილიას** გადაბირება სურს. 31 წლის თავდამსხმელი წელს სათადარიგოთა სკამზე ხშირად რჩება (17 ნოემბრის შემდეგ სასტარტოში ერთხელაც არ უთამაშია), რაც მის უკმაყოფილებას იწვევს. მიუხედავად ფეხბურთელის სურვილისა, პრეზიდენტი **სანდრო როსელი** მის ტრანსფერს ჯერჯერობით არ თანხმდება. "ბლაუგრანასთან" ვილიას კონტრაქტს ვადა 2014 წლის ზაფხულზე ეწურება.

### ნიუკასლის პრობლემები

"ნიუკასლს" სერიოზული პრობლემები აქვს და არა მხოლოდ სატურნირო მდგომარეობის გამო. გუნდის კაპიტანი **ფაბრისიო კოლოჩინი** ხელმძღვანელობას უკვე აშანტაჟებს და ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. მთავარი მწვრთნელი **ალან პარდიუ** მასთან პირადად აპირებს შეხვედრას, რათა დაარწმუნოს, რომ გუნდს ის სეზონის ბოლომდე სჭირდება და რომ მის გაყიდვას არავინ არ აპირებს. კაპიტნის გარდა სერიოზული სკანდალი აგორდა "კაჭკაჭების" კიდევ ერთი ფეხბურთელის ირგვლივ. BBC-ის ცნობით, 21 წლის თავდამსხმელი **ნილ რეინჯერი** პოლიციამ გაუპატიურებაში ეჭვმიტანილად მიიჩნია და 24 იანვარს გვიან საღამოს დააკავა. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, შემთხვევა ნიუკასლში სასტუმრო "ჯესმონდში" მოხდა. რეინჯერი არასოდეს გამოირჩეოდა დისციპლინით და ეს პირველი შემთხვევა ნამდვილად არ არის, როცა მას პოლიციასთან უხდება საქმის დაჭერა.

### ქველმოქმედი კანტონა

"დეილი მეილის" ინფორმაციით, 24 იანვარს "მანჩესტერ იუნაიტედის" 46 წლის ლეგენდა **ერიკ კანტონამ** პარიზში გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე 1984 წელს გამოშვებული "როლს როისი" გაიტანა გასაყიდად, რომელიც ამ საქმეში სახელგანთქმული ამერიკელი სპეციალისტის მიერ სპეციალურად მოიხატა წინა დღეებში. საბოლოოდ ავტომობილი 123 ათას ევროდ გაიყიდა. *"როლს როისის" გაყიდვა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ეს მანქანა სიმდიდრისა და ფუფუნების უპირველესი ნიშანია. მიღებული ფულს კი იმ ხალხს მოვახმართ, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ,"* – განაცხადა ვარსკვლავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პოზიცია


პეტერ შმაიხელი იუნაიტედის ფეხბურთელებს პასუხისმგებლობის გადანაწილებისკენ მოუწოდებს

# დე ხეას დასაცავად

"ტოტენჰემთან" 90-ე წუთზე დაშვებული შეცდომის გამო, რაც "მანჩესტერ იუნაიტედს" 2 ქულის დაკარგვად დაუჯდა, **დავიდ დე ხეა** სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცა. მას აკრიტიკებენ როგორც ჟურნალისტები, ისე ავტორიტეტული საფეხბურთო ექსპერტები, მაგალითად, **გარი ნევილი**. თუმცა მოულოდნელად მისი დაცვა **პეტერ შმაიხელმა** იკისრა. მისი თქმით, რომ არა 22 წლის ესპანელის კარგი თამაში, "იუნაიტედი" "უაით ჰარტ ლეინიდან" იმ ქულასაც ვერ აიღებდა და შესაბამისად, დე ხეასგან განტევების ვაცის გამოყვანა სერიოზული შეცდომაა. ლეგენდარული დანიელი მთელ გუნდს მოუწოდებს, რომ ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა იკისროს. კომენტარი მან Sky Sports-ისთვის გააკეთა:

- იოლია ყველაფერში მეკარის დადანაშაულება, რაშიც ნამდვილად ვერავის დავეთანხმები. მიმაჩნია, რომ არა დავიდ დე ხეა, ჩვენ ამ თამაშს 4:1-ს წავაგებდით. გუნდი იმდენად ცუდად გამოიყურებოდა, რომ მეკარეს მისი გადარჩენა რამდენჯერმე მოუხდა და ერთ ეპიზოდში მან ეს უბრალოდ ველარ მოახერხა. ამის გახსენება რატომლაც არავის არ სურს. ვფიქრობ, "იუნაიტედს" დაცვაში ასე ღრმად რომ არ დაეხია, დავიდის ნახტომები საჭირო აღარ იქნებოდა. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, გუნდს სწორედ ამაზე ვამუშავებდი. სიმართლე გითხრათ, თუკი გვინდა პრემიერლიგის მოგება, მთელი საათის განმავლობაში დაცვაზე ყურადღების გადატანა სხვა დროს აღარ უნდა ვცადოთ. კონკრეტულად საგოლე ეპიზოდს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მეკარემ ყველაფერი ზუსტად გააკეთა. რაც მთავარია, ის ბურთს შესწვდა და მუშტით მოიგერია, რომელიც სამწუხაროდ, ტოტენჰემელს მიუვიდა. აუცილებელია, რომ გუნდმა საკუთარი მოედნიდან რაც შეიძლება შორს მოახერხოს თამაშის გადატანა. თუკი ყველაფერი მეკარისგან იწყება, მაშინ მან ამ ტაქტიკაზე დამატებით უნდა იმუშაოს, თუ არა, მაშინ გუნდს უნდა ეყოს გამბედაობა და შეტევაში ითამაშოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ტყვიის სროლა. მიუნხენის ტურნირი

# მსროლელებმა ცეცხლი ვერ დაანთეს

მიუნხენში მიმდინარეობს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტყვიის სროლაში, რომელიც მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან იმართება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენები წარუმატებლად გამოდიან. შეჯიბრების პირველ დღეს ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** მისთვის უჩვეულოდ შეუფერებელი შედეგი აჩვენა - 377 ქულა დააგროვა და 24-ე ადგილზე გავიდა. აქ შესარჩევი ეტაპი 388 ქულით ბელარუსმა ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა **ვიქტორია ჩაიკამ** მოიგო, მომდევნო ადგილებს კი 386-386-ით ფრანგი ევროპის ჩემპიონი, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **სელინ გობერვილი**, სერბი ევროპის ორგზის გამარჯვებული **ბობანა ველიკოვიჩი** და მისი მსოფლიოს ჩემპიონი თანამემამულე **ზორანა არუნოვიჩი** იყოფდნენ. ფინალში ყველაფერი თავდაყირა დადგა - ჩაიკამ ცუდად ისროლა და მედალი კი არა, საბოლოოდ მეექვსეზე გადავიდა. სამაგიეროდ, კარგად გამოვიდა ველიკოვიჩი - 199.8, თუმცა ეს შედეგი გამორჩეული ამ შეჯიბრებაზეა და სერბს ჯამური 585.8-ით ოქროც მოუტანა, მაგრამ საერთაშორისო მაჩვენებლით არც ისე მაღალია. ფინალში ძლიერად გაისარჯა უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩიც** - 198.7 ქულა. არადა, შესარჩევში საკმაოდ ცუდად ისროლა - 383 დააგროვა, თუმცა ჯამში 581.7 ქულა მაინც გამოუვიდა, რამაც ვერცხლის მედალი მოუტანა. ბრინჯაოს გობერვილი დაეუფლა - წინასწარ შედეგს ფინალში 179.1 დაუმატა, რითაც ჯამში 565.1 ქულა დაუგროვდა.

**ლევან ქადაგიძემ** მსროლელთა 8-კაციანი გუნდის მსგავსად 569 ქულა დააგროვა და დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, 45-ე ადგილი ერგო.

ახალგაზრდებში **ვლადისლავ მაიოროვი** პირველ დღეს 551-ით 34-ე აღმოჩნდა, გოგოებში კი ჩვენი ტრიოდან ყველაზე უკეთ ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონი **ლიზი კილაძე** გამოვიდა - 362 ქულა და 38-ე ადგილი. **მარიამ ბლუაშვილი** 358-ით 47-ეა, **მარიამ მაღრაძე** კი 347 ქულით 52-ე ადგილზეა.

ვერ გეტყვით, ახალგაზრდები სასროლეთს და საშეჯიბრო ატმოსფეროს შეჩვივნენ თუ გაუთამამდნენ, მაგრამ მეორე დღეს ანუ გუშინ, შედეგები ცოტათი გააუმჯობესეს. მართალია, არა იმდენად, საბოლოო ცხრილში სერიოზულად წაეწიათ წინ, მაგრამ ნებისმიერი პროგრესი სასიამოვნოა. გოგოებში ყველაზე კარგად ამჯერადაც ქუთაისელი კილაძე გამოვიდა, რომელიც ჯერ სულ რაღაც 13 წლისაა. მისი გუშინდელი შედეგი 369 ქულაა, რამაც ცხრილში 33-ე ადგილამდე აანაცვლა. ამჯერად 364 ქულა დააგროვა ბლუაშვილმა, რამაც 38-მდე ალაზევა. სამაგიეროდ, შედეგი გააუარესა მაღრაძემ - 334 ქულა და 52-ე ადგილი.

გუშინ მოუმატა მაიოროვმაც - 557 ქულა და 31-ე პოზიცია ცხრილში. აღსანიშნავია, რომ მაიოროვი და მაღრაძე უცხოეთში პირველად გამოდიოდნენ ტურნირზე.

მიუნხენური შეჯიბრება დღეს დასრულდება უფროსთა ასპარეზობით. ცეცხლის ხაზზე სალუქვაძე და ქადაგიძე დადგებიან, ახალგაზრდებმა კი გუშინ დაასრულეს გამოსვლა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# მელიასთან ბრძოლა ძნელია



სალომე მელია

სლოვენიელი დიდოსტატი **ანა მუზიჩუკი** მსოფლიოს ქალთა რეიტინგში 2582 პუნქტით მეოთხე ადგილზეა, რაც მის მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს. გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირზეც მანდილოსანთა შორის მთავარი პრიზის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. გუშინ იგი **სალომე მელიას** დაუპირისპირდა. ბათუმელი დიდოსტატი, რომლის რეიტინგიც 2403-ს არ აღემატება, ეტყობა, ამ შეჯიბრებისთვის საფუძვლიანად მოემზადა, იმის მიუხედავად, რომ ამ ცოტა ხნის წინათ დედა გახდა. მეორე ტურში მან შავი ფიგურებით, ფაქტობრივად, დაჯაბნა ახლო წარსულში 2700-იანთა კლუბის წევრი, პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის პრეზიდენტი ემილ სუტოვსკი (ისრაელი), მაგრამ უკეთეს პოზიციაში რატომღაც მეტოქეს დაუზავდა. გუშინ კი სალომემ მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა: ემილ სუტოვსკის მოსწავლეს - ანა მუზიჩუკს შავი ფიგურებით სძლია და 3,5 ქულით ლიდერებს კვალში უდგას.

სამი ტური უდანაკარგოდ იბრძოლა **ნანა ძაგნიძემ**. გუშინ მისი წინსვლა ვენესუელელმა ედუარდო იტურისაგამ მე-4 ტურის პარტიის 32-ე სვლაზე შეაჩერა.

გაუწყებთ მეწინავეთა შეხვედრების შედეგებს: გავაინ ჯონსი (ინგლისი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5, დარიუშ სვერჩი (პოლონეთი) — მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) 1:0, ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი) — ივან სალგადო ლოპესი (ესპანეთი) 1:0, ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი) — კაიდო კულაოტსი (ესტონეთი) 1:0, იან ელვესტი (აშშ) — იუ იანი (ჩინეთი) 0,5:0,5, არტურ იაკუბიცა (პოლონეთი) — ვლადლისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი) 0,5:0,5, გატა კამსკი (აშშ) — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ იტურისაგა, ვიტიუგოვი, ლე ქუანგ ლიემი და სვერჩი მეწინავეობენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 17 მოჭადრაკე ჩამორჩება.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება. სალომე მელია თეთრებით გავაინ ჯონსს დაუპირისპირდება, ნანა ძაგნიძე გუდმუნდარ კარტანსონს გაუწევს მეტოქეობას. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: იტურისაგა-ლე ქუანგ ლიემი, ვიტიუგოვი-სვერჩი.

**ვაჟა დანელია**

პირველად საქართველოში



მარცხნიდან: გურამ ძაგანია, მამუკა კვარაცხელია, გარუნ აკოფოვი, კახი კახიაშვილი და დემიკო ლოლაძე.

# სპორტული გამოცემების დღე

გუშინ ხალხმრავლობა იყო ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე" კოტე მახარაძის მედიადარბაზში. წიგნის ორკვირიანი ფესტივალის ერთი დღე სპორტულ გამოცემებს დაეთმო. აქ გამოფენილი იყო ოლიმპიური ჩემპიონების — რომან რურუას და კახი კახიაშვილის, პროფესორ გურამ ძაგანიას, მწერალ დათო ტურაშვილის, ცნობილი ჟურნალისტების — დემიკო ლოლაძის, გარუნ აკოფოვის, თენგიზ გაჩეჩილაძის, პაატა ნაცვლიშვილის, მამუკა კვარაცხელიას, გიორგი გორგოძის, გაბრიელ ბარჯაძის, ფრიდონ კერვალიშვილის, რევაზ შენგელიას, ბესიკ ჯანგავაძის, ელენე ბილიხოძის, თამარ ჯიშკარიანის, თამარ ყულუმბეგაშვილის, ამ სტრიქონების ავტორისა და სხვათა სპორტულ თემაზე შექმნილი წიგნები.

— სპორტული გამოცემების ამგვარი გამოფენა ჩვენთან პირველად მოეწყო, — გვითხრა გუშინდელი ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა, ჩვენმა კოლეგამ, უეფას მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ**. — დროში ვიყავით შეზღუდული, ამიტომ ბევრ ავტორთან შეხმიანებაც ვერ მოვასწარით, რის გამოც ბოდიშს ვუხდით მათ. მთავარია, რომ კარგი საქმე წამოვიწყეთ, რაც ტრადიციული და უფრო მოწესრიგებული გახდება და გულსაც არავის დავწყვეტთ.

**კახი კახიაშვილი**, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი: საინტერესო ღონისძიებაა. სასურველია, ხშირად გაიმართოს ასეთი გამოფენები, ავტორებსა და მკითხველებს შორის გაიმართოს დიალოგი. ეს სპორტის პოპულარიზაციას და წინსვლას შეუწყობს ხელს.

**გურამ ძაგანია**: ქართველ სპორტსმენებს არაერთ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში უსახელებიათ თავი. მათი მონაგარი ფართო საზოგადოებისთვის რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო, გარდასულ დღეთა ისტორია ერთ წიგნად ავკინძე. ქომაგები 1946 წლიდან დღემდე საერთაშორისო სარბიელზე ქართველი ათლეტების წარმატებებს გაეცნობიან. ამ დარბაზში გამოფენილი სხვა წიგნებიც ამ მიზანს ემსახურება. მადლობა ყველას, ვინც გულშემატკივრებს ეს დღე აჩუქა.

**გარუნ აკოფოვი**: ამას წინათ ერთ-ერთ მალაზიაში ჩემი წიგნის პრეზენტაცია მოეწყო. იქ დამსწრე ახალგაზრდა ჟურნალისტმა მკითხა, მის შექმნაზე რამდენი ხანი იმუშავეო. ვუპასუხე, სამი თვე, მაგრამ 50 წელიწადი მასალებს ვაგროვებდი-მეთქი. დიახ, აქ წარმოდგენილი წიგნების ავტორები მისხალ-მისხალ აგროვებენ ინფორმაციებს ქართველი სპორტსმენების წარმატებებზე, რომ შემდეგ სამზეოზე გამოიტანონ. კარგი საქმე გააკეთეს ფესტივალის მესვეურებმა, წიგნების ავტორები მკითხველებს რომ შეახვედრეს. ეს ტრადიციად უნდა იქცეს.

**დემიკო ლოლაძე:** კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ, რაც დღეს ამ დარბაზში ხდება, მრავალმხრივ არის წინგადადგმული ნაბიჯი: სხვადასხვა თაობის ჟურნალისტები შევხვდით ერთმანეთს, შთაბეჭდილებები გავუზიარეთ სპორტის ქომაგებს. „ცოცხალი" დიალოგები აუცილებელია ახალი იდეის დასაბადებლად. დიდი მადლობა დღევანდელი დღის სულისჩამდგმელ მამუკა კვარაცხელიას. გამოფენა წიგნის სიცოცხლეა, ავტორისათვის — დღე დაუვიწყარი. სასურველია, ამგვარი ფესტივალი ტრადიციად ვაქციოთ და მასშტაბური გავხადოთ, რათა წიგნების გამოფენასთან ერთად მათი გაყიდვაც მოეწყოს, რომ შემოსული თანხა ახალ გამოცემებს, სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას და ქართული სპორტის წინსვლას მოხმარდეს.

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტო**

ფიგურული ციგურაობა

# შინდლერის სიით მეთექვსმეტეა

ზაგრებში გრძელდება ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი. დილით ყინულზე ქალები გავიდნენ. მოკლე პროგრამით მოასპარეზე 36 სპორტსმენს შორის ორგზის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილიც** გახლდათ. ქართველმა მოციგურავემ, სამწუხაროდ, ჯონ უილიამსის „შინდლერის სიით" მხოლოდ 48,75 ქულა მოაგროვა, რაც მე-16 ადგილისთვის ეყო. 67,61 ქულით პირველ ადგილზეა რუსი ადელინა სიტნიკოვა, მეორე-მესამე ადგილებს იტალიელები - კაროლინა კოსტნერი (64,19) და ვალენტინა მარჩეი (58,22) ინაწილებენ. დღეს ფინალის 24 მონაწილე თავისუფალი პროგრამით მოსინჯავს ძალებს.

გუშინვე ზაგრებში ასპარეზობა დაასრულეს ყინულზე მოცეკვავეებმა. თავისუფალი პროგრამით ასპარეზობის შემდეგ **ოთარ ჯაფარიძემ** და **ანგელინა ტელეგინამ** 62,32 ქულით მე-20 ადგილი დაიკავეს.

**ვაჟა დანელია**

თარიღები და მოვლენები

## 26 – 27 იანვარი

**26. 1889 წ.** დაიბადა **ლევ გოლოვნია** — ფარიკაობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1969 წელს.

**26. 1956 წ.** კორტინა დ' ამპეცოში (იტალია) გაიხსნა ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები. საქართველოდან მონაწილეობდა **კობა წაქაძე** (ტრამპლინიდან ხტომა).

**26. 1956 წ.** დაიბადა **მერაბ მეგრელაძე** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2012 წელს.

**27. 1907 წ.** დაიბადა **ლევ ძეკონსკი** — ბ/რ ჭიდაობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1981 წელს.

**27. 1956 წ.** დაიბადა **აფი გიგანი** — ალპინიზმი.

**27. 2008 წ.** თბილისში გაიმართა ძიუდოისტთა მსოფლიო თასის გათამაშება. მასპინძლებმა 7 მედალი მოიპოვეს.

**27. 2009 წ.** კალათბურთში საქართველოს თასზე ფინალური შეხვედრა რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა" თბილისის „ავიამშენს" 80:71 მოუგო.

„ლელოს" რედაქცია და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჩვენი ვეტერანი კოლეგის, ბრწყინვალე ჟურნალისტის, მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორის

**თამილა კახიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 27, 28. 01; გამოსვენება: 29. 01; 14 საათზე.

**მისამართი:** კოსტავას, 60 (საჭაშნიკეს თავზე).

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# გაგამარუს ნაგვიანევი გამოფხიზლება



ახალი წლის ბაშოს მე-13 დღეს ზედიზედ მე-2 გამარჯვება იზეიმა **თეიმურაზ ჯულელმა (გაგამარუ)**. მან ძალიან იოლად დაამარცხა **იოშიკაძე**. სამწუხაროდ, ჩვენებურის გამოღვიძება დაგვიანებულია, მას 5-8 ბალანსი აქვს და დარჩენილ ორ შეხვედრაში რომც მოიგოს, უარყოფით ბალანსს ველარ გამოასწორებს. მომდევნო მეტოქე ვეტერანი **ვაკანოსატოა**, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში გაგამარუ 3:1-ს უგებს.

**ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** მას შემდეგ არ მოუგია, რაც დადებითი ბალანსი გაინაღდა. ჩვენებური ტოლ-სწორად ებრძოლა ჩემპიონ **კოტოოშუს**, მაგრამ საბოლოოდ ბულგარელმა გოლიათმა იძალა და უვატენაგეს ილეთით წააქცია ტოჩინოშინი. ლევანს 8-5 ბალანსი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე **შოტენროა**, მონღოლს ქართველი 7:2-ს უგებს.

13 ორთაბრძოლიდან 13 მოგება აქვს დიდ ჩემპიონ **ჰარუმაფუჯის**, რომელსაც იმპერატორის თასის მოსაგებად ერთი მოგებაც ჰყოფნის.

**XIII დღე (მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-კაკურიუ (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (ოკურიდაში), კოტოოშუ-**ტოჩინოშინი** (უვატენაგე), ტოჩიოძანი-კოტოშოგიკუ (კატასუკაში), გოეიდო-არანი (ჰიკაკე), ტაკაიასუ-ბარუტო (იორიკირი), ტოიონოშიმა-შოჰოზანი (ოშიდაში), ამინიშიკი-კაისეი (კირიკაეში), აოიამა-მიოგირიუ (ცუკიდაში), **გაგამარუ**-იოშიკაძე (ცუკიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**13-0: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)**

**11-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7)... **8-5:** ტოჩინოშინი (მ 6)... **5-8:** გაგამარუ (მ 4).

**XIV დღე (მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოოშუ-ბარუტო, კოტოშოგიკუ-არანი, გოეიდო-ტაკაიასუ, კაისეი-შოჰოზანი, ტოჩიოძანი-იკიოი, მიოგირიუ-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-ტოიოჰიბიკი, **გაგამარუ**-ვაკანოსატო, **ტოჩინოშინი** -შოტენრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელოს სტუმარი

## ვაჟა კაჭარავა

# ხრუშჩოვმა გაგვაცილა, მედლები ბრეჟნევს ჩამოვუტანეთ

**ტიტულოვან ქართველ სპორტსმენთა კოჰორტას ამშვენებს ფრენბურთში ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟა კაჭარავას სახელი.**

**თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა“ (1955-64) და მოსკოვის „დინამოში“ (1965-71), იყო ამ გუნდების კაპიტანი, რვა წლის განმავლობაში (1959-67) საკავშირო ნაკრების ღირსებას იცავდა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების (1964) გამარჯვებული გახლავთ ევროპის ჩემპიონი (1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი (1966), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 65), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 71) და მესამე პრიზიორი (1963). მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ამავე სასწავლებლის გუნდსა და სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა, იყო სსრკ სტუდენტური და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელი. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. 1990 წელსსსრკ საუკეთესო მწვრთნელთა შორის დაასახელეს .**

**ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა დღეს „ლელოს“ სტუმარია:**



- სკოლაში ერთი უფროსი მეგობარი მყავდა, ზურაბ ბრონიაკი. კალათბურთელთა სასკოლო პირველობისას მის წინაალმდეგ ვითამაშე და ისეთი ბურთები ავართვი, გაოცებული დარჩა. - გაიხსენა ჭაბუკობის წლები ოლიმპიურმა ჩემპიონმა. - მატჩის შემდეგ ფრენბურთზე ჩამომიგდო სიტყვა, ხომ არ გინდა, სექციაში მიგიყვანოო. ის უკვე ვარჯიშობდა. მართალი გითხრათ, ფრენბურთი საქართველოში არც მაშინ იყო მაინცდამაინც პოპულარული. ჩვენი სკოლა „დინამოს“ სტადიონთან ახლოს იყო და ბიჭები ფეხბურთზე ვიყავით უზომოდ შეყვარებული. იშვიათად კალათბურთზე თუ წავიდოდით. ზურამ იმით დამაინტერესა, რომ ისეთი მწვრთნელი გყავს, მარჯვენა ხელი „სმერტელნი“ აქვს, ამიტომ „ტოპკას“ მხოლოდ ცაციათი ურტყამსო, მითხრა. ამგვარი ცდუნებით მოვხვდი ფრენბურთზე შოთა მარგიშვილთან. ეს იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში. ფიზიკურად კარგად ვიყავი მომზადებული, რადგან მანამდე მძლეოსნობაში ევგენი გაგუას ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი. ბატონ ევგენის ჩემი საბოლოო გადაბირება ნდომებია, მაგრამ მარგიშვილს უთქვამს, მისგან კარგი ფრენბურთელი დადგება და ხელს ნუ შეუშლიო. ეს ორმოცი წლის შემდეგ გავიგე. ასე დაიწყო ჩემი გზა დიდ ფრენბურთში პიონერთა სასახლესთან არსებულ მოედანზე. საინტერესო ის იყო, რომ, როცა მთელი ქალაქი ჩვენკენ — დიდუბისკენ მოდიოდა ფეხბურთის საყურებლად, მე მოსწავლეთა სასახლისკენ მივიჩქაროდი სავარჯიშოდ. მეცადინეობებს არ ვაცდენდი.

ფრენბურთი ძალიან აგრესიული თამაშია, ფაქტობრივად, მეტოქეს არ ვინდობთ, თანაც “მაღალი სიხშირით”, მაგრამ უკონტაქტოდ. ამგვარი დაპირისპირების მიუხედავად, ფრენბურთი ჯენტლმენური სპორტია, ამიტომაც შემიყვარდა და სწრაფად შევეჩვიე. ნახევარი წლის ვარჯიშის შემდეგ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ძირითად ექვსეულში ვიდექი. ორი წლის შემდეგ საქართველოში უძლიერესი თავდამსხმელი გავხდი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში 1957 წელს მიმიწვიეს. საქართველოდან ჩემთან ერთად შეკრებაზე იყვნენ სტანისლავ ბუინოვი და ცისანა აბუაშვილი. მალევე საკავშირო სტუდენტურ ნაკრებშიც დავიბევე ადგილი. არადა, საქართველოს გუნდი მაშინ საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობდა. ეტყობა, 1959 წლის სპარტაკიადაზე შემამჩნიეს და ასე მიმიწვიეს პირველ ნაკრებში, რომლის მთავარი მწვრთნელი გახლდათ გივი ახვლედიანი. იუგოსლავიასა და რუმინეთში ვიასპარეზეთ.

გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ საქართველოში ფრენბურთი განსაკუთრებული პოპულარობით არასდროს სარგებლობდა, რატომ? ვერ გეტყვით. ამის მიუხედავად, ქართველმა ფრენბურთელებმა საერთაშორისო სარბიელზე ხუთი სხვადასხვა ხარისხის უმაღლესი ჯილდო დავიმსახურეთ. გივი ახვლედიანი 1952 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მე კი ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო უნივერსიადა (1963 წელი), ევროპის ჩემპიონატი (1967) და პირველი მსოფლიო თასი მოვიგე. 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე.

**— თქვენს სპორტულ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, ტოკიოს ოლიმპიური თამაშები იქნება...**

— საბჭოთა კავშირს მაშინ ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა. ძირითად ექვსეულში იყვნენ ფრენბურთელები, რომლებსაც რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქონდათ მოგებული. იმის თქმა მინდა, რომ გამოცდილება არ აკლდათ. მართალია, სათადარიგო ვიყავი, მაგრამ ნებისმიერი თავდამსხმელის პოზიციაზე შემეძლო თამაში. შვიდივე მატჩში მივიღე მონაწილეობა, რადგან დიმა ვოსკობოინიკოვს მუხლები სტკიოდა და დიდხანს ვერ ჩერდებოდა მოედანზე, ხოლო გუნდის კაპიტანმა ჩესნოკოვმა პირველსავე პაექრობაში იდაყვი დაიზიანა და გამაყუჩებლებით შედიოდა სათამაშოდ.

მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით: საბჭოთა ნაკრებმა მასპინძლებთან წააგო, მაგრამ ჩეხოსლოვაკიას მოუგო, ამ უკანასკნელმა კი იაპონიას სძლია. პირველ ადგილზე გასასვლელად სამი შეხვედრა მშრალი ანგარიშებით უნდა მოგვეგო, რადგან ერთნაირი ქულების შემთხვევაში პარტიების შეფარდება გამოავლენდა გამარჯვებულს. ოლიმპიადამდე ორი დღით ადრე ბულგარელებთან ამხანაგური მატჩი 2:3 დავთმეთ. მწვრთნელებმა ისეთი დღე გვაწიეს, მტერს არ ვუსურვებ. ჰოდა, ამ „შეხურებამ“ გაჭრა — დარჩენილ პაექრობებში ბულგარელებთან, ამერიკელებსა და ბრაზილიელელთან ჩვენთვის სასურველი ანგარიშებით გავიმარჯვეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ტრაბახად თუ არ ჩამითვლით, ბოლო ორთაბრძოლის მოგებაში მართლაც ლომის წილი შევიტანე. საინტერესო იყო ისიც, რომ ოლიმპიადაზე ნიკიტამ გაგვაცილა, მედლები კი ლეონიდეს ჩამოვუტანეთ.

გუნდის შემადგენლობაში იყო სტანისლავ ლუგაილო — სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი ფრენბურთელი. სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში რომ ვერ ჩააბარა, სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დონეცკში მსახურობდა და იქვე დარჩა საცხოვრებლად.

**— გვსმენია, რომ ნაკრებისკენ თქვენი გზა ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა...**

— აბა, რა გითხრათ. 1959 წელს ნაკრებში რომ მიმიწვიეს, მაშინ ჩვენი გუნდი, როგორც გითხარით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა. მოსკოვში გვითხრეს, საკავშირო ნაკრების წევრი ძლიერ გუნდში უნდა თამაშობდესო და საბჭოეთის დედაქალაქში გადასვლა შემომთავაზეს. ეს რომ საქართველოს სპორტკომიტეტში ვთქვი, დასაოსტატებლად პირობებს ჩვენ თავად შეგიქმნითო, მიპასუხეს. მოსკოვში გადასვლაზე მეც უარი განვაცხადე. ეტყობა, გაბრაზდნენ და 1960 წელს ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზეც არ გამომიძახეს. იმ წელიწადს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების შანსი დავკარგე. მერე როგორც იქნა „ზემოთ“ გული მოულბათ და ისევ მიხმეს ნაკრებში. 1961 წელს ჩეხოსლოვაკიის ძლიერ ტურნირში ვიასპარეზე. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის იმედი მომეცა. აქ კი ჩვენებმა დამიდეს კვანტი: 1962 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩინეთში გაემგზავრა ამხანაგური მატჩების გასამართავად. გამიკვირდა, რომ არ მიმიწვიეს. თურმე სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ ხელმძღვანელებმა დამიმალეს, რომ ნაკრებში ვიყავი გამოძახებული — საკავშირო უნივერსიადაზე უნდა მეთამაშა უმაღლესი სასწავლებლების სახელით. ამ გაუგებრობის გამო ნაკრებს მიღმა აღმოვჩნდი და მეორედ დავკარგე მსოფლიო ჩემპიონობის შესაძლებლობა. ხუთი წლის შემდეგ კი მოვხვდი მსგავს შეჯიბრებაზე, მაგრამ იქ მხოლოდ ბრინჯაო მერგო.

**— „ბაუმანის“ ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თქვენ სამეცნიერო მუშაობას აპირებდით. მწვრთნელის სკამზე როგორ აღმოჩნდით?**

— სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე ვმუშაობდი სამეცნიერო თემაზე. სწორედ მაშინ დამნიშნეს იქაური გუნდის მწვრთნელად. მერე 1975 წელს მოსკოვის ნაკრების მანდეს და იმავე წელს ჩემმა შეგირდებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოიგეს, როგორც ამბობდნენ, მწვრთნელის ხელი ეტყობოდაო. ამ წარმატების გამო რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მომანიჭეს გამონაკლისის სახით, რადგა მოსკოველებს რუსეთის ფედერაცია ამ ტიტულს არ აძლევდა. მერე საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებსა და ჭაბუკთა გუნდში ვიმუშავე და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელიც გავხდი. სამშობლოში დაბრუნებულმა დიდხანს ვიმუშავე როგორც გუნდში, ისე ნაკრებში, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით ქართული ფრენბურთის აღორძინება ვერ მოხერხდა. ეტყობა, მეც რაღაც შემეშალა, რაღაც ვერ გავითვალისწინე... უწინ მწვრთნელებად არაქართველები მუშაობდნენ, ისინი კი ტალანტებს რუსულ სკოლებში ეძებდნენ. ერთგვარ წარმატებებსაც აღწევდნენ, მაგრამ ქართულ ფრენბურთს, ზოგადად, ამან ვერაფერი არგო.

**— 1989 წელს გაზეთი „ლელო“ სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებას. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ინიციატივას გამოეხმაურა, თქვენ იყავით. არადა, მაშინ ბევრ სახელოვან სპორტსმენს შეეშინდა. თქვენ?**

— (ეცინება) მე რა თქვენზე ნაკლები რისკიანი ვარ. თქვენზე ნაკლებად მიყვარს სამშობლო, თუ რა?! საერთოდ ურაპატრიოტიზმის წინაალმდეგი ვარ. „ლელოს“ ინიციატივა კი საშვილიშვილო საქმე იყო და დამფუძნებლების გვერდით რომ არ ვყოფილიყავი, არ შეიძლებოდა.

**— ამჟამინდელ ქართულ ფრენბურთზე რას იტყვით?**

— ბოლო წლებში ძალიან თავისებური ხელმძღვანელი გვყავდა — ბატონი ლევან ახვლედიანი. ერთპიროვნულად წყვეტდა ყველაფერს. მისი ინიციატივით ჩამოიყვანეს ბრაზილიელი პლაჟის ფრენბურთელები. ეს სასოწარკვეთილების ნაბიჯი იყო, რამაც ქართულ ფრენბურთს ვერაფერი შესძინა.

ახლა ჩვენი ფედერაციის სათავეში მოვიდნენ 90-იანი წლების იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც მე ვავარჯიშებდი. მათ სათანადო ხელშეწყობა რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, დიდი ფრენბურთიც ეთამაშათ. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ისინი ირაკლი ჩაჩუას თავკაცობით ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ მომავალ თაობას შეუქმნან პირობები და ქართულმა ფრენბურთმა გასული საუკუნის 60-იანი წლების ტრადიციები დაიბრუნოს. თუმცა ამის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, რადგან ჩვენმა სახეობამ ბოლო წლებში არნახული ნახტომი გააკეთა. ჩემი თაობის ფრენბურთელები ამჟამინდელებს 20 სანტიმეტრით მაინც ჩამორჩებოდნენ სიმაღლეში. დღევანდელი ბიჭები ვაჟთა ბადესთან ისე გრძნობენ თავს, როგორც ჩვენ თავის დროზე ქალთა ბადესთან. თანამედროვე ფრენბურთელებისთვის ვაჟთა ბადე, ფაქტობრივად, დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს. ჩვენი დროის დატვირთვებიც ახლანდელთან შედარებით სამოყვარულოდ მოგეჩვენება. ასე რომ, ძალიან ძნელია თანამედროვე ფრენბურთში მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრება. მაგრამ თუ გვინდა, რომ სპორტის ეს სახეობა გვქონდეს საქართველოში, შეუძლებელი უნდა შევძლოთ.



**ვაჟა დანელია**
**ავტორის ფოტო**

ქართველი ამერიკაში

# ყურადღებით დააკვირდით, მოედანზეა NBA-ს მომავალი ვარსკვლავი



შენგელიამ „მეინეს" კალათი გაანითლა

*- 22 დეკემბრის შემდეგ NBA-ის განვითარების ლიგაში მეორე მატჩს ატარებენ* ***თორნიკე შენგელია*** *და* ***ტაიშონ ტეილორი****. ვნახოთ, როგორ დაეხმარებიან „სპრინგფილდს",* - ასეთი შესავალი გაუკეთა ამერიკელმა კომენტატორმა „სპრინგფილდი"-"მეინეს" შეხვედრას. მატჩის მსვლელობისას კი ტელე-წამყვანმა შენგელიას ერთ-ერთი ჩატენვის შემდეგ თავი ვერ შეიკავა, ხმას აუწია და თქვა:

*- ყურადღებით დააკვირდით, მოედანზეა NBA-ის მომავალი ვარსკვლავი. თოკო და ტეილორი „სპრინგფილდს" აქამდე რომ დახმარებოდნენ, გუნდს სულ სხვა შედეგები ექნებოდა...*

მოკლედ, ვეცადეთ, უცხოელების სიტყვებით გადმოგვეცა ის ემოცია, რასაც ზემოთ ნახსენები მატჩის შემდეგ ნებისმიერი ადამიანი განიცდიდა. მითუმეტეს ქართველი. შენგელია ხომ მეტოქე გუნდის კალათბურთელებს ისე იოლად უსხლტებოდა, როგორც 2-3 წლით უფროსი - პატარებს. თოკომ არათუ საკუთარ კარიერაში, არამედ „სპრინგფილდის" ისტორიაში ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო - 39. მან 46 წუთში 21-დან 17 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 5-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და 39 ქულას 18 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა მიამატა.

შენგელიას გუნდმა „მეინეს" 123:115 აჯობა. 21 ნატყორცნი ორქულიანი ერთ მატჩში - ბევრია. 17 რეალიზებული ორიანი - ესეც ბევრია. ამ ციფრების შემხედვარე ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ თორნიკემ თამაში საკუთარ თავზე აილო და უმთავრესად ქულების მოგროვებაზე იყო ორიენტირებული. ვინც მატჩი თავიდან ბოლომდე იხილა, საპირისპიროში დარწმუნდებოდა: 21 წლის ქართველი თავდამსხმელი თავის სტილს არც განვითარების ლიგაში ღალატობდა - არც პასს აგვიანებდა და უტევდა მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო იყო. ასეთი თამაშით მოგროვილი 39 ქულა კიდევ უფრო მეტ ღირებულებას იძენს, მით უმეტეს, რომ არაერთხელ ითხოვდა ბურთს პერიმეტრზე ეულად მდგარი, მაგრამ ამაოდ...

ერთ დეტალზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება: შენგელია დიდი ხნის უთამაშებელი იყო და შეიძლება ამიტომაც, ჩვეულად ათამაშებისთვის დრო დასჭირდა. მან პირველი ორქულიანი საწყისი პერიოდის დასრულებამდე 1.17 წუთით ადრე ჩააგდო. შეცდომათა უმეტესობაც (სულ 7 ჰქონდა) პირველ წუთებზე მოდის. ხოლო მეორე პერიოდიდან, როგორც იტყვიან, თამაში იგრძნო და რაც გააკეთა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

გამოცემა „რეპუბლიკანში" შენგელიას თამაში ასეთი ეპითეტითაა შეფასებული: „შთამბეჭდავზე მეტი". იქვე გუნდის მთავარი მწვრთნელის ბობ მაქკიმონის კომენტარს ვკითხულობთ:

*- თოკო ბოლომდე ჩამოყალიბებული კალათბურთელია და თავადაც ნახეთ რა შედეგის მიღწევა შეიძლება, როცა გუნდში ასეთი მოთამაშე გყავს: თამაშიდან ტყორცნების 56 პროცენტი გამოვიყენეთ. თავადაც მიხვდებით, რატომ.*

„სპრინგფილდი" მომდევნო მატჩს 26 იანვარს „სანტა კრუსთან" ჩაატარებს.

ქართველი ევროლიგაში



ვიქტორ სანიკიძე

# არმიას ჯავრი ბეშიქთაშზე სანიკიძემ იყარა

## სიენელთა სნაიპერი ვიქტორი

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" ევროლიგის ტოპ-16-ის მორიგ ტურში თურქულ „ბეშიქთაშს" უმასპინძლა და 63:57 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში ბეშიქთაშელები ევროჩელენჯზე „არმიასთან" ერთად D ჯგუფში თამაშობდნენ და თბილისში ბოლო წამებზე 77:75 გაიმარჯვეს. არადა, ის მატჩი არმიელებს რომ მოეგოთ, მომდევნო ეტაპზე გავიდოდნენ...

ასეა თუ ისე, თურქული „ბეშიქთაში" მიმდინარე სეზონის წინ იმდენად გაძლიერდა, რომ ევროლიგაზე თამაშობს და საკმაოდ წარმატებითაც. თუმცა, უფრო წარმატებული იტალიური „მონტეპასკია", რომელიც ტოპ-16-ში ჯერაც დაუმარცხებელია. ხუთი ტურის შემდეგ სიენელები ჯგუფში პირველ ადგილზე არიან და მომდევნო ეტაპზე გასვლა თითქმის განაღდებული აქვთ.

„ბეშიქთაშთან" „მონტეპასკიმ" კარგად დაიწყო, პირველი მეოთხედი 22:13 მოიგო, თუმცა მესამე პერიოდში თურქებმა ანგარიში გაათანაბრეს და ბოლო წამებამდე თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მეოთხე ათწუთეული „მონტეპასკიმ" 20:12 მოიგო და გამარჯვებულის ვინაობასთან დაკავშირებული ყველა კითხვა დღის წესრიგიდან მოხსნა.

ვიქტორ სანიკიძემ 14 ქულა ჩააგდო, რაც სიენელთა ბომბარდირობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ვიქტორის სრული მონაგარი ასეთი იყო: 23 წუთი, 14 ქულა (10-დან 7 ორქულიანი), 5 მოხსნა.

ევროლიგაზე მორიგ მატჩს „მონტეპასკი" „ბარსელონასთან" გამართავს. შეხვედრა კატალონიაში 31 იანვარს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




საქართველოს თასი

# ესეც ფინალი: ოლიმპი VS შსს აკადემია

**გუშინ** ნახევარფინალური შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა ფინალისტთა წყვილი: 27 იანვარს, სპორტის სასახლეში ერთმანეთს „შსს აკადემია" და „ოლიმპი" დაუპირისპირდებიან. მათ შორის გამარჯვებული კი საკუთარ მუზეუმს საქართველოს თასით დაამშვენებს. აქვე იმას გეტყვით, რომ არც ერთ გუნდს ეს ტიტული ჯერ არ მოუგია. ასე რომ, წინასწარ ცნობილია - თასს ახალი მფლობელი ეყოლება.

**1/2 ფინალი**

25 იანვარი, სპორტის სამინისტროს დარბაზი

| არმია-შსს აკადემია | 65:73 |
|---|---|

16:27, 15:12, 18:21, 16:13

**არმია:** გამყრელიძე (10ქ, 5მ, 3პ), ბაბიაშვილი (13ქ, 5მ), ბოისა, უგრეხელიძე (3ქ), ნივნივაძე (11ქ, 5მ, 5პ), ლეჟავა, საყვარელიძე (11ქ, 5მ), შარაბიძე (6ქ), ჯგერენაია (3ქ), ფარლალავა (8ქ, 5მ, 4პ).

**შსს აკადემია:** ვონი (35ქ, 6მ, 6პ), როგავა (2ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (3ქ), ლონდარიძე (3ქ), პრევიტი (9ქ), ლომოური, ანთაძე (2ქ), ბექაური (2ქ), არჩიბეკი (17ქ, 18, 4პ, 3ჩ, 3დ), რეიმონდი.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.

„შსს აკადემიას" ერთი კვირის წინათ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ფინალისკენ გზა „რუსთავმა" გადაუღობა. არადა, იმ მატჩში შსს-ელები 16 ქულის სხვაობით იგებდნენ. მწარე მარცხის შემდეგ **გიორგიოს კეცელიდისის** შეგირდები თასის მატჩებს მეტად კონცენტრირებულები შეხვდნენ და მცირე უპირატესობასაც ხელიდან აღარ უშვებენ. მათ გუშინ, პირველ მეოთხედში 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და „არმიელთა" დიდი ძალისხმევის მიუხედავად, გამარჯვება შსს-ს დარჩა.

მატჩის სცენარი ერთ ლოკალურ ეპიზოდში ჩაეტია: მეოთხე პერიოდის დასრულებამდე 4 წუთით ადრე აკადემიელები 63:53-ს იგებდნენ. ამის შემდეგ „არმიამ" იფეთქა, სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა და სიტუაცია მეტად დაიძაბა. ასეთ მდგომარეობაში კი არ დაიბნა „შსს აკადემიას" გამთამაშებელი **დეონტა ვონი**, ბოლო სამ წუთში ექვსი ქულა ჩააგდო, „არმიამ" კი მხოლოდ **ბექა ნივნივაძის** სამქულიანით უპასუხა. საბოლოოდ 73:65 შსს-ელთა სასარგებლოდ.

ვონმა წლევანდელი თასის გათამაშების რეკორდი დაამყარა - 35 ქულა მიითვალა (10-დან 9 ორქულიანი, 9-დან 3 სამიანი, 8-დან 8 საჯარიმო). აკადემიელების ფარქვეშეთი კი **კირკ არჩიბეკმა** გაამყარა - 17 ქულა, 18 მოხსნა.

| ოლიმპი-ქუთაისი | 66:54 |
|---|---|

14:11, 15:15, 22:13, 15:15

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი, ტომარაძე (7ქ, 3პ), სოკი (5ქ, 7პ), ბერიშვილი (10ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), მიქელაძე, ფაცაცია (20ქ, 6მ), ცირეკიძე, ა. დვალიშვილი (6ქ, 6მ), მილოშევიჩი (13ქ, 8მ), ანდრიუკაიტისი (5ქ, 2დ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (12ქ, 5მ, 4პ), დიდია (1ქ), გრძელიძე, კვიმსაძე (2ქ), დ. ბარბაქაძე (5ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (19ქ, 6მ), კოლუაშვილი, მათიაშვილი (15ქ, 12მ, 3ჩ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი.

გუშინაც მოგახსენეთ, რომ სუპერლიგის პირველ წრეში „ქუთაისმა" „ოლიმპი" სტუმრად დაამარცხა. როგორც ჩანს, ეს ნაგება კარგად ახსოვდათ ოლიმპელებს, რომლებმაც გუშინდელი მატჩი თავიდან ბოლომდე სტაბილურად ჩაატარეს. სწორედ ეს გახდა თბილისელთა წარმატების საწინდარი.

მისთვის უჩვეულოდ, ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა „ოლიმპის" ცენტრმა **სტევან მილოშევიჩმა**. ამაში მას ხელი ტრავმამ შეუშალა - ფეხი იტკინა. მისი ფინალში თამაშის საკითხს გუშინ კითხვის ნიშანი დაესვა. თბილისელთაგან საუკეთესო **ლევან ფაცაცია** იყო, რომელმაც 20 ქულას მოუყარა თავი. ერთით ნაკლები, 19 ქულა მოაგროვა „ქუთაისის" ფორვარდმა **გიგი ბარბაქაძემ**, ხოლო მატჩში ერთადერთი ორმაგი დუბლი იმერელთა ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა** შეასრულა - 15 ქულა, 12 მოხსნა.



„შსს აკადემიას" გამთამაშებელმა ვონმა (№5) 35 ქულა ჩააგდო



ოლიმპი-ქუთაისი, ბრძოლა ჰაერშიც იყო და მოედანზეც

● რაგბი. ლეგიონერები

# პირველში ხუთი, მეორეში ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ევროთასების ჯგუფური ეტაპის ბოლო ორი ტურით გამოწვეული შესვენების შემდეგ განახლდა შეჯიბრება საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში. მე-16 ტური ქართველი მორაგბის, ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრის" მატჩით გაიხსნა, რომელიც ლიდერთა შორისაა და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის. მის გარდა მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელებას კიდევ ოთხი „ქართული გუნდი" ცდილობს.**

კასტრელებმა მე-16 ტურის მატჩი სტუმრად გამართეს ბასკურ „ბაიონთან" და 12:22 წააგეს. **ანტონ ფეიქრიშვილის** გუნდმა მეტოქეს წინააღმდეგობა მეტნაკლებად პირველ ნახევარში გაუწია, თუმცა ოთხი ქულით მაინც დამარცხდა - 16:12. შესვენების შემდეგ „კასტრმა" მონაგარს ველარაფერი შემატა. ბასკებმა კი კიდევ ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს.

ჩვენებურის გუნდს ახლა 44 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა, ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 71-ე წუთზე შეცვალეს.

გათამაშების ლიდერი57 ქულით **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონია", რომელიც მე-16 ტურში შინ ეთამაშება აუტსაიდერს, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანს". ტულონელებს ტრავმების გამო რამდენიმე მორაგბე აკლიათ, ესენია მეორეხაზელები, ინგლისელი **საიმონ შოუ** და სამხრეთაფრიკელი **ბაკის ბოთა**, არ ითამაშებს დავით ქუბრიაშვილიც. საზარდულზე ოპერაცია გაიკეთა და ერთი კვირით დაისვენებს ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**.

ჩილაჩავა და მიქაუტაძე სათადარიგოთა შორის არიან, მჭედლიძე „მონ დე მარსანის" განაცხადში არ არის.

„ტულონს" ოთხი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელიც სტუმრად ეთამაშება „პერპინიანს". საინტერესოა, ვინ შეძლებს წლეულს „ვულკანების" შეჩერებას. „პერპინიანმა" „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების პლეი ოფში გაალწია, თუმცა რანგით უფრო მაღალი დონის ტურნირში კლერმონელებმა იმავეს ტრიუმფალური სვლით მიაღწიეს. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შარშანდელ ჩემპიონატში, პერპინიანში სტუმრობისას ჩვენებურთა გუნდმა დამაჯერებლად მოიგო - 39:3.

„კლერმონს" საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს, ტრავმირებულნი არიან **დავით ზირაქაშვილი** და ცხრა ნომერი **მორგან პარა**, პორტუგალიელი



ანტონ ფეიქრიშვილი (N3)

**ჟულიენ ბარდი** და **ლი ბირნი** კი თავიანთი ეროვნული ნაკრებების საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან. „პერპინიანთან" არ ითამაშებს ვიქტორ კოლელიშვილიც. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდნენ **ვესლი ფოფანა, სიტივენი სივივატუ** და **ტომას დომინგო**.

„კლერმონს" სამი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა საფრანგეთის ჩემპიონი, **ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი", რომელიც შინ ეთამაშება ბასკურ „ბიარიცს". ტულუზელები „ჰეინეკენის თასის" გათამაშებას გამოეთიშნენ და ახლა მთელ ყურადღებას ტიტულის დაცვაზე გადაიტანენ. ჩვენებურთა გუნდს მიმდინარე სეზონში შინ არ წაუგია. „ბიარიცს" სტუმრად „ტულუზისთვის" ბოლო ათწლეულში ერთხელაც არ მოუგია.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცუდი სტარტის შემდეგ, ბასკებმა თამაშის ხარისხი აშკარად გააუმჯობესეს, ზედიზედ ოთხი თამაში მოგეს, 36 ქულა დააგროვეს და ახლა მეშვიდე ადგილზე არიან, რაც საშუალებას აძლევთ პლი ოფში გასვლისთვის იბრძოლონ.

კაკოვინი ტრავმირებულია და არ ითამაშებს, განაცხადში არ არის ბრეგვაძეც.

„ბიარიცს" ხუთი ქულით უსწრებს და მე-6 ადგილზეა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიე", რომელიც სტუმრად ეთამაშება ბოლოსწინა, მე-13 ადგილზე მყოფ „აჟენს". მონპელიელებს ამ მატჩში გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებათ, რათა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესონ. გუნდში დაბრუნდნენ ტრავმამოშუშებული **მარტინ ბუსტოს მოიანო** და **ჟულიენ ტომა**.

დაშავებულნი არიან და არ ითამაშებენ გიორგი ჟღენტი და გუნდის კაპიტანი **ფლუჟანს უოდრაოგო**, ამ უკანასკნელის მოვალეობას ისევ გორგოძე შეასრულებს, ძირითად შემადგენლობაშია ნარიაშვილიც.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე", რომელიც 32 ქულით მე-10 ადგილზეა, შინ ეთამაშება გათამაშების დებიუტანტ „გრენობლს". ეს გუნდები მიმდინარე სეზონში სამჯერ უკვე ეთამაშნენ ერთმანეთს, აქედან ორჯერ „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში. ჟვანია განაცხადში არ არის.

**I დივიზიონი**

**XVI ტური**

**ბაიონი-კასტრი 22:12, პერპინაინი-კლემონი, სტად ფრანსე-გრენობლი, აჟენი-მონპელიე, ტულონი-მონ დე მარსანი, ბორდო-მეტრო რასინგი, ტულუზი-ბიარიცი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 57 ქულა, 2. კლერმონი - 53, 3. ტულუზი - 50, 4. კასტრი - 44, 5. გრენობლი - 42, 6. მონპელიე - 41, 7. ბიარიცი - 36, 8. მეტრო რასინგი - 34, 9. პერპინიანი - 34, 10. სტად ფრანსე - 32, 11. ბაიონი - 30, 12. ბორდო - 18, 13. აჟენი - 18, 14. მონ დე მარსანი - 8.**

ელიტურ, მეორე დივიზიონში XIX ტურის წინ მოწინავე ხუთეულში, ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი დარჩა „ორიაკი" და „ბრივი". თუმცა პლეი ოფში გასვლის შანსს კიდევ სამი, „ტარბი", „ლიონი" და „ალბი" ინარჩუნებს.

„ქართული გუნდებიდან" საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკს" აქვს, რომელმაც 57 ქულა დააგროვა და ახლა მეორე ადგილზეა. ორიაკელები მე-9 ტურში სტუმრად ეთამაშებიან **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა და დავით დადუნაშვილის** „ტარბს".

მატჩში, სავარაუდოდ, ნემსაძის გარდა, რომელიც ტრავმირებულია, ყველა ქართველი ითამაშებს. ტარბელებს 47 ქულა აქვთ და სატურნირო ცრილში მე-7



გიორგი ჩხაიძე (N8)

ადგილზე არიან. გამარჯვების შემთხვევაში ისინი დაწინაურებულებს საგრძნობლად დაუახლოვდებიან, „ორიაკი" კი, სავარაუდოდ, ორი საფეხურით დაქვეითდება.

ორიაკელებს ექვსი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გოდერძი შველიძის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი", რომელსაც რთული მატჩი ელის სტუმრად „ნარვბონთან". ბრიველები, რომლებიც ელიტური, პირველი დივიზიონიდან შარშან ჩამოქვეითდნენ, წლეულს არასტაბილურად თამაშობენ. ამ გუნდთან ხელშეკრულება გააფორმა და მომავალი სეზონიდან ითამაშებს ტარბელი კარლენ ასეიშვილი. შესაძლოა, მის კვალს გაჰყვეს გიორგი ნაცარაშვილიც.

**გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელიც სეზონის წინ, ყველასთვის ძალზედ სახიფათო გუნდად ჩანდა, 44 ქულით მე-8 ადგილზეა. თუმცა პლეი ოფში მოხვედრის შანსი მაინც აქვს. ლიონელები შინ ეთამაშებიან **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი თეთრაშვილის, კახა კობერიძისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბის", რომელიც „ლიონს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მე-9 ადგილზეა.

სამწუხაროდ, სატურნირო ცხრილის ბოლო სამი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „დაქსს", „ბეზიეს" და „მასის" უკავიათ. მე-19 ტურში ერთმანეთთან ურთიერთობას, სწორედ **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე" და **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი" გაარკვევენ. პარიზელები, რომლებიც ბოლო ადგილზე იმყოფებიან და სტუმრად თამაშობენ, წაგების შემთხვევაში საბოლოოდ გადაიწურავენ იმედს, სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწიონ.

ორივე გუნდზე შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს **ტარიელ რატიანიძის** „დაქსს", რომელიც 28 ქულით მე-14 ადგილზეა და სტუმრად ეთამაშება „კოლომიეს".

**II დივიზიონი**

**XIX ტური**

**ოში-ლა როშელი, კოლომიე-დაქსი, ოიონაქსი-ექსი, კარკასონი-პო, ლიონი-ალბი, ნარბონი-ბრივი, ბეზიე-მასი, ტარბი-ორიაკი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ოიონაქსი - 73 ქულა, 2. ორიაკი - 57, 3. პო - 56, 4. ლა როშელი - 54, 5. ბრივი - 51, 6. კარკასონი - 48, 7. ტარბი - 47, 8. ლიონი - 44, 9. ალბი - 39, 10. ნარბონი - 36, 11. კოლომიე - 35, 12. ოში - 32, 13. ექსი - 29, 14. დაქსი - 28, 15. ბეზიე - 21, 16. მასი - 18.**

■ ■ ■

„კელტთა ლიგაში", სადაც 14 ტურია გამართული, წარუმატებლად ასპარეზობს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი". ეს შოტლანდიური გუნდი შარშანდელთან შედარებით უაღრესად ცუდად ასპარეზობს. თავად განსაჯეთ, ედინბურგელებმა ერთი წლის წინათ „ჰაინეკენის თასზე" ნახევარფინალში გააღწიეს, წლეულს კი ჯგუფურ ტურნირში ექვსი თამაშიდან ექვსივე წააგეს.

„კელტთა ლიგაში" შარშან ლიდერთა შორის იყვნენ, ამჟამად კი 22 ქულით, 12 გუნდში მე-9 ადგილზე არიან.

„ედინბურგი" მომდევნო ტურში სტუმრად ეთამაშება ირლანდიურ „მანსტერს" და, სავარაუდოდ, ამ მატჩშიც დამარცხდება. გათამაშებას კი დამაჯერებლად ლიდერობს ირლანდიური „ალსტერი", რომელსაც 52 ქულა აქვს და 11 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან შოტლანდიურ „გლაზგოს", რომლის ბრწყინვალე ასპარეზობაც იმდენად მოულოდნელია, რამდენადაც „ედინბურგის" ჩავარდნა.

ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ედინბურგი სარაგბო ქალაქია, გლაზგო კი საფეხბურთო. ამიტომ ედინბურგელი მორაგბეები „იერარქიაში" მუდამ გლაზგოელებზე მაღლა იდგნენ. ძნელი სათქმელია, ეს შოტლანდიური რაგბის კრიზისზე მიანიშნებს, თუ პირიქით. ამაზე პასუხს, ალბათ, ექვსი ერის მომავალი გათამაშება გაგვცემს, რომელიც სტარტს 2 თებერვალს აიღებს.

**კელტთა ლიგა**

**XIV ტური**

**მანსტერი-ედინბურგი, კარდიფი-ლენსტერი, ჰლანეჰლი-ქონოთი, ნიუპოტი-ბენეტონი, ალსტერი-ოსფრიზი, ზებრე-გლაზგო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ალსტერი - 52 ქულა, 2. გლაზგო - 41, 3. ლენსტერი - 40, 4. ჰლანეჰლი - 38, 5. მანსტერი - 37, 6. ოსფრიზი - 35, 7. კარდიფი - 28, 8. ბენეტონი - 27, 9. ედინბურგი - 22, 10. ქონოთი - 20, 11. ნიუპორტი - 14, 12. ზებრე - 6.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



მიხეილ ნარიაშვილი (მარცხნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ევროლიგა



ხუან კარლოს ნავარო

# ნავარო ისტორიაში

საკალათბურთო ევროლიგაზე TOP16-ის მეხუთე ტური დაიწყო და ის ერთი ღირსშესანიშნავი მომენტით აღინიშნა. „ბარსელონას" მცველი **ხუან კარლოს ნავარო** ტურნირის ისტორიაში შევიდა. „კახა ლაბორალთან" მატჩში ესპანეთის ნაკრების კალათბურთელმა 11 ქულა დააგროვა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნავაროს ევროლიგაზე 3000-ქულიანი ზღვარი გადაელახა. ის პირველი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირზე ამგვარ შედეგს მიაღწია. ისტორიული მომენტი პირველი მეოთხედის მეხუთე წუთზე დაფიქსირდა, როცა ხუან კარლოსმა სამქულიანი ჩააგდო.

32 წლის ნავარო მე-12 სეზონს ატარებს ევროლიგაში. ის გახლავთ ევროლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, ტურნირის ორგზის ჩემპიონი 2008-09 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე და 2010 წლის „ოთხთა ფინალის" MVP. სულ ნავარომ ექვსჯერ ითამაშა „ოთხთა ფინალში" და ხუთჯერ შევიდა ევროლიგის პირველ სიმბოლურ ნაკრებში, რაც ასევე ტურნირის რეკორდი გახლავთ.

საინტერესოა ერთი სტატისტიკური მაჩვენებელიც - უკლებლივ ყველა სეზონში, ნავარო საშუალოდ მატჩში 10 ქულაზე მეტს აგროვებდა.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დღის გმირი ისევ სამშაიბიანია

გასული სათამაშო დღის პირველი ვარსკვლავი გახდა რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი ჰეთ-თრიკის ავტორი, „კაროლინას" ფორვარდი **ერიკ სტაალი**. მან სამი შაიბა „ბაფალოს" გაუტანა და თავის გუნდს 6:3 მოაგებინა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „კოლორადოს" რუსმა გოლკიპერმა **სემიონ ვარლამოვმა**. „კოლამბუსთან" მატჩში (4:0) მან 33 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი შათაუტი შეასრულა.

მესამე ვარსკვლავი გახლავთ „ნიუ იორკ აილენდერსის" თავდამსხმელი **მიხაელ გრაბნერი**, რომელმაც სამი ქულა (2+1) დააგროვა „ტორონტოსთან" მატჩში (7:4).



ერიკ სტაალი

**ფილადელფია-რეინჯერსი 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-1 (გროსმანი-1, რიდი-1), 2:0 ვორაჩეკი-1 (კუტურიე-1, სიმონდსი-2), 2:1 პიატი-3 (გაბორიკი-1).

**ვაშინგტონი-მონრეალი 1:4**

0:0, 0:4, 1:0

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-2 (მარკოვი-1, დიასი-4), 0:2 მარკოვი-3 (პასიორეტი-3, ე. კოული-1), 0:3 ჯონტა-2 (რ. ბურკი-1, დიასი-5), 0:4 გორჯესი-1 (ბუიონი-1, პასიორეტი-4), 1:4 კრები-1 (ჩიმერა-2, ბიგლი-1).

**კოლორადო-კოლამბუსი 4:0**

2:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 პარენტო-2 (დუშენი-2, ჰეიდა-2), 2:0 დუშენი-1 (კობესიუ-1, ჰეიდუკი-2), 3:0 ჯ. მიტჩელი-2 (ჰეიდუკი-3, რ. უილსონი-2), 4:0 დუშენი-2 (პარენტო-1).

**კაროლინა-ბაფალო 6:3**

0:0, 4:2, 2:1

**გოლები:** 1:0 სკინერი-2 (ჯ. სტაალი-2, დელპი-1), 2:0 ფოლკი-1 (ჯ. სტაალი-3), 2:1 ჰოჯსონი-3 (ლეოპოლდი-1, ვანეკი-5), 2:2 პომინვილი-2 (ერჰოფი-2, ზულცერი-1), 3:2 სკინერი-3, 4:2 ე. სტაალი-1 (ბეინი-1, პიტკანენი-2), 4:3 პომინვილი-3 (ვანეკი-6, რეგერი-1), 5:3 ე. სტაალი-2 (პიტკანენი-3), 6:3 ე. სტაალი-3 (დელპი-2).

**სან ხოსე-ფინიქსი 5:3**

1:0, 0:1, 4:2

**გოლები:** 1:0 კუტური-3 (პაველსკი-5, ჯ. ტორნტონი-6), 1:1 სალივანი-4 (ვრბატა-2, ბოდკერი-4), 1:2 ვერმეტი-2 (სალივანი-1, მორისი-3), 1:3 კორპიკოსკი-2 (გორდონი-2, მოსი-2), 2:3 მარლო-5 (ჯ. ტორნტონი-7, ირვინი-1), 3:3 ჰავლატი-2 (ქლოუ-1, კუტური-4), 4:3 მარლო-6 (პაველსკი-6, ჯ. ტორნტონი-8), 5:3 ჯ. ტორნტონი-1 (პაველსკი-7, მარლო-2).

**ფლორიდა-ოტავა 1:3**

1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ფლიშმანი-1 (ბ. კემბელი-2, კოპეცკი-1), 1:1 ფილიპსი-1 (მეტოტი-2, ზ. სმიტი-1), 1:2 ე. კარლსონი-2, 1:3 სპეცა-1 (მ. მიხალეკი-2, მეტოტი-3).

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 2:1 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-1 (კლიფორდი-3), 1:1 იაკუპოვი-2 (ტ. ჰოლი-2, შულტცი-1), 2:1 სემ განიე-1 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-2, შულტცი-2).

**ტორონტო-აილენდერსი 4:7**

3:1, 0:2, 1:4

**გოლები:** 1:0 გუნარსონი-1 (ფრანსონი-1), 1:1 მოულსონი-1 (ტავარესი-3), 2:1 კადრი-3 (ლაილსი-1, ფრატენი-1), 3:1 გრაბოვსკი-2 (ფრატენი-2, გუნარსონი-1), 3:2 შტრაიტი-1 (ბოიესი-1, ტავარესი-4), 3:3 ბოიესი-1 (ნილსენი-1, გრაბნერი-2), 3:4 გრაბნერი-2 (ბოიესი-2, ნილსენი-2), 3:5 კ. ოკუანი-1 (ულსტრიომი-1, კ. მაკდონალდი-1), 3:6 მოულსონი-2, 4:6 ფრატენი-1 (კადრი-2, გუნარსონი-2), 4:7 გრაბნერი-3.

**სტ. ლუისი-ნეშვილი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ოში-3 (ბერგლუნდი-1, ბეკსი-2), 2:0 ბერგლუნდი-2 (ბულიტი), 3:0 ტარასენკო-4 (სტინი-4, სობოტკა-1).

**დალასი-ჩიკაგო 2:3 (ო)**

1:0, 1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-2 (დ. რო-2, გოლიგოსკი-1), 2:0 რეი უიტნი-2 (იკინი-3), 2:1 შარპი-2 (პ. კეინი-4, ლედი-4), 2:2 ტეივზი-2 (შარპი-3, კეიტი-2), 2:3 მარიან ჰოსა-5 (პ. კეინი-5, შარპი-4).

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სელტიქსის მეხუთე კრახი

მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. რა თქმა უნდა, გამორჩეული იყო შეხვედრა ბოსტონში, სადაც ადგილობრივი „სელტიქსი" „ნიუ იორკს" მასპინძლობდა. ამ მატჩს დამატებითი ინტრიგა შესძინა იმ კონფლიქტმა, რომელსაც წინა მატჩში ჰქონდა ადგილი **კარმელო ენტონისა** და **კევინ გარნეტს** შორის. მელო ბოსტონში პირადი დაცვის თანხლებით ჩავიდა, თუმცა განაცხადა, რომ ის არა გარნეტს, არამედ ადგილობრივ პუბლიკას უფრთხოდა და ამ ნაბიჯით ზედმეტი გართულებებისგან თავი დაიზღვია.



ენტონი და გარნეტი: ამჯერად არ უჩხუბიათ

პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ლიდერი 17-ჯერ შეიცვალა. მეტოქეები ვერ ახერხებდნენ გადამწყვეტი სპურტის შესრულებას, იყო ბევრი პაუზა, შეცდომა, უზუსტო სროლა... სტუმრებმა, რომლებსაც აქამდე ბოსტონში ზედიზედ 11 მატჩი ჰქონდათ წაგებული, მხოლოდ მეოთხე მეოთხედში გაზარდეს ტემპი და წინ გაიჭრნენ, მაგრამ **რონდომ** დაალაგა თავისიანების თამაში და სეზონში თავისი მეოთხე სამმაგი დუბლის წყალობით, სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. მასპინძლებისთვის საუბედუროდ, „ნიქსის" შემადგენლობაში დროულად გამოილვიძა **ჯეი არ სმიტმა** (ამ მომენტამდე მას 15-დან მხოლოდ ორი ბურთი ჰქონდა ჩაგდებული), ხოლო „სელტიქსის" კაპიტანმა **პოლ პირსმა** ჩააგდო მატჩის ბოლო ნაწილი.

„ბოსტონმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო. უნდა აღინიშნოს, რომ ისევ სუსტად ითამაშა შეტევაში გარნეტმა, პირსმა კი 22 ქულა დააგროვა, მაგრამ აქედან 20 პირველ სამ მეოთხედზე მოდის. ცალკე აღნიშვნის ღირსია კარმელო ენტონის თამაში, რომელმაც 28 ქულა დააგროვა და ზედიზედ 27-ე მატჩი ჩაატარა, როცა მინიმუმ 20 ქულით ეხმარებოდა თავის გუნდს. კიდევ ორი ასეთი მატჩი და მელო „ნიქსის" რეკორდს გაიმეორებს.

■ ■ ■

კრიზისი შეიმჩნევა „კლიპერსის" თამაშში. კალიფორნიულმა კლუბმა, რომელიც ცოტა ხნის წინ ლიდერობდა რეგულარულ ჩემპიონატს, ზედიზედ მესამე მატჩი დათმო. ამის მიზეზი ისიც არის, რომ **ვინი დელ ნეგროს** გუნდი კვლავ თავისი ლიდერის - **კრის პოლის** გარეშე გავიდა მოედანზე. სამაგიეროდ, ყველაფერი წესრიგში აქვს „ფინიქსის" ახალ დამრიგებელს **ლინდსეი ჰანტერს**. „საკრამენტოს" დამარცხების შემდეგ, მისმა გუნდმა დასავლეთის ერთ-ერთი ლიდერის ძლევა მოახერხა.

„სანზმა" მხოლოდ 39-პროცენტიანი სიზუსტით ასროლინა მეტოქეს, საერთო ჯამში კი გუნდებს სტატისტიკური მაჩვენებლები თითქმის თანაბარი ჰქონდათ, რაც არ არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა. პოლის არყოფნაში, „კლიპერსის" რიგებში არ ჩანს კალათბურთელი, რომელსაც ბოლო წამებზე გაბრწყინება შეუძლია. გამონაკლისია მხოლოდ **ჯამალ კროუფორდი**, რომელმაც ბოლოსკენ მნიშვნელოვანი სამქულიანით მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ შემდეგ საჯარიმო სროლა ააცილა და ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**ორლანდო-ტორონტო 95:97**

20:22, 27:26, 19:27, 29:22

ო: ვუჩევიჩი (19+14 მოხსნა+3 დაფარება), აფლალო (16), დევისი (15+7 მოხსნა), ნელსონი (14+7 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა), რედიკი (14), მური (11).

ტ: დეროზანი (22+7 პასი), ჯონსონი (21+10 მოხსნა+3 დაფარება), ანდერსონი (13), დევისი (12+8 მოხსნა+3 დაფარება), კალდერონი (10+6 პასი), როსი (10).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 86:89**

24:20, 24:30, 18:22, 20:17

ბ: რონდო (23+10 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა), პირსი (22+6 მოხსნა), გარნეტი (8+12 მოხსნა)

ნ-ი: ენტონი (28+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (15+9 მოხსნა), კიდი (12+3 აეპეხვთით), შამპერტი (10+5 მოხსნა).

**ფინიქსი-კლიპერსი 93:88**

24:20, 26:26, 18:20, 25:22

ფ: დრაგიჩი (24+5 მოხსნა+8 პასი), გორტატი (15+8 მოხსნა), სკოლა (14+9 მოხსნა), მორისი (14+8 მოხსნა).

კ: კროუფორდი (21), ბლედსოუ (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრიფინი (12+8 მოხსნა), ბარნსი (11), ჯორდანი (10), ოდომი (4+11 მოხსნა).

# ექვსი დებიუტანტით

## ლიგამ ყველა ვარსკვლავის მატჩის მონაწილეები დაასახელა

საბოლოოდ დადგინდა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილე გუნდების სრული შემადგენლობები. ცოტა ხნის წინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ შეაჯამა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები და გამოაცხადა სასტარტო ხუთეულები, გუშინ კი ლიგამ შვიდ-შვიდი სათადარიგო მოთამაშის სიაც გაამხილა. აღვნიშნავთ, რომ წელს, „ოლ სტარის" მატჩს ექვსი დებიუტანტი ეყოლება: **ჯეიმს ჰარდენი, ტაისონ ჩენდლერი, პოლ ჯორჯი, ჯრიუ ჰოლიდეი, კაირი ირვინგი** და **ჟოაკიმ ნოა**.

აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ნაკრებებმა, საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღეს:





**აღმოსავლეთი**

**სასტარტოები**

რაჟონ რონდო (ბოსტონი)
დუეინ უეიდი (მაიამი)
კევინ გარნეტი (ბოსტონი)
კარმელო ენტონი (ნიუ იორკი)
ლებრონ ჯეიმსი (მაიამი)

**სათადარიგოები**

კაირი ირვინგი (კლივლენდი)
ჯრიუ ჰოლიდეი (ფილადელფია)
პოლ ჯორჯი (ინდიანა)
ლუოლ დენგი (ჩიკაგო)
ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო)
ტაისონ ჩენდლერი (ნიუ იორკი)
კრის ბოში (მაიამი)

**დასავლეთი**

**სასტარტოები**

კრის პოლი (კლიპერსი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
დუაიტ ჰოვარდი (ლეიკერსი)
ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი)
კევინ დურანტი (ოკლაჰომა)

**სათადარიგოები**

ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი)
რასელ უესტბრუკი (ოკლაჰომა)
ტონი პარკერი (სან ანტონიო)
დევიდ ლი (გოლდენ სტეიტი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ზაკ რენდოლფი (მემფისი)
ლამარკუს ოლდრიჯი (პორტლენდი)

გუნდების მწვრთნელებს სამი თებერვლის შემდეგ გაარკვევენ. NBA-ის „ყველა ვარსკვლავის" მატჩი ჰიუსტონის „ტოიოტა ცენტრში" 17 თებერვარს გაიმართება.

# ლეიკერსი სუპერმენს დაკარგავს





დუაიტ ჰოვარდი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრ **დუაიტ ჰოვარდს** მშვიდად შეუძლია ამ სეზონში თამაშის გაგრძელება. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ „სუპერმენის" ტრავმა, რომელიც მან „მემფისთან" ამასწინდელ მატჩში გაიმიზეზა, სერიოზული არ აღმოჩნდა და მას უკვე დღეს შეეძლება მოედანზე გასვლა.

ამასობაში, yahoo.com-ის მიმომხილველი **ენდრიან ვოინაროვსკი** იტყობინება, რომ კალიფორნიულმა კლუბმა, შესაძლოა, დაკარგოს ჰოვარდი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ.

სეზონის წინ, რთული გაცვლის შედეგად ამ ცენტრის ხელში ჩაგდებით, „ლეიკერსს" უკვე წელს სურდა იმის დამტკიცება, რომ ჰოვარდისთვის კალიფორნიული კლუბი ის ადგილია, სადაც უნდა თამაშობდეს ლიგის საუკეთესო ცენტრი. მაგრამ „ლეიკერსის" სუსტმა თამაშმა და შეტევაში დუაიტის ცუდად გამოყენებამ, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბოლოო არჩევანში.

კიდევ ერთი ფაქტორია გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **მაიკ დ'ენტონი**, რომელსაც სამწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული „ლეიკერსთან". ვოინაროვსკი კითხულობს - მოისურვებს კი ჰოვარდი ამ სპეციალისტთან სამი წლის განმავლობაში თამაშს? ასე რომ, ახლა, „ლეიკერსში" საკითხი ასე დგას - კლუბის ხელმძღვანელობამ არჩევანი უნდა გააკეთოს დუაიტსა და დ'ენტონის შორის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ოლიმპიზმი



ჟაკ როგე

# როგე ოლიმპიზმს ემიჯნება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ აღარ გააგრძელებს მუშაობას ორგანიზაციაში დაკავებული თანამდებობის დატოვების შემდეგ.

„მე დავტოვებ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, - ამბობს სააგენტო „ფრანს პრესთან" კომენტარში ბელგიელი ჩინოვნიკი. - შემეძლო კომიტეტის წევრად დავრჩენილიყავი მომდევნო ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს ძალიან გრძელი გზაა. მიმაჩნია, რომ ახალ პრეზიდენტს არ უნდა ჰყავდეს გარემოცვაში ძველი ხელმძღვანელი. მჯერა, რომ მე მომიხსენიებენ პრეზიდენტად, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა. ჩემი მიზანი ყოველთვის იყო ახალი ხელმძღვანელისთვის მტკიცე და ეფექტური კომიტეტის გადაცემა. მიმაჩნია, რომ საკმარისი გავაკეთე, მეტად მკაცრი ვიყავი დოპინგთან ბრძოლის საქმეში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისთვის დავაარსე იუნიორთა ოლიმპიური თამაშები... ჩემი პრეზიდენტობის დროს ჩატარებული ყველა ოლიმპიადა, სოლტ-ლეიკ-სიტიდან დაწყებული და ლონდონით დამთავრებული, ყველაზე მაღალი ხარისხისა იყო, თუმცა ეს კოლექტიური ძალისხმევის შედეგი გახლდათ".

## ფიგურული ციგურაობა

# პირველი ოქრო რუსებისაა

ზაგრებში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა სპორტულ წყვილებში. მოულოდნელობა არ მომხდარა - პირველობისთვის იბრძოლეს კონტინენტის მოქმედმა ჩემპიონებმა, რუსებმა **ტატიანა ვოლოსოჟარმა** და **მაქსიმ ტრანკოვმა** და გერმანულმა დუეტმა **ალიონა სავჩენკოსა** და **რობინ შოლკოვის** შემადგენლობით.

ბრძოლა მართლაც დაძაბული გამოვიდა და რუსებმა მხოლოდ შვიდი ქულით გაუსწრეს მსოფლიოს გერმანელ ჩემპიონებს, რითაც მეორედ მოიგეს ევროპის ჩემპიონატი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა იტალიურმა დუეტმა (**სტეფანია ბერტონი** და **ონდრეი ჰოტარეკი**).

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები მამაკაცების ასპარეზობაში. აქ მთავარი ფავორიტი რუსი ვეტერანი **ევგენი პლიუშჩენკო** იყო, მაგრამ მოკლე პროგრამის შესრულებისას ყინულზე დაეცა და მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა. მოგვიანებით, პლიუშჩენკომ ტრავმა მოიმიზეზა და საერთოდ მიატოვა ჩემპიონატი.



ტატიანა ვოლოსოჟარი და მაქსიმ ტრანკოვი

## ამბები

### მძლეოსნობა

# რობლესმა სპორტი დატოვა

110 მეტრზე თარჯრბენში 2008 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა, კუბელმა **დაირონ რობლესმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამის მიზეზად 26 წლის მძლეოსანმა სპორტული ჩინოვნიკების მხრიდან ნაკლები ყურადღება დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ლონდონის თამაშებზე რობლესმა ვერ შეძლო ტიტულის დაცვა: ის გავიდა საფინალო გარბენზე, მაგრამ ტრავმის გამო ვერ დაამთავრა დისტაცია.

### ფორმულა 1

# პორტუგალიასაც მოუნდა

ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ პორტუგალია უკვე 2013 წლის სეზონშია დაინტერესებული ქვეყნის გრანპრის ორგანიზებით. ბერნიმ ისიც აღნიშნა, რომ ავსტრიის გრანპრი უახლოეს პერიოდში ნამდვილად არ დაბრუნდება ფორმულა 1-ის კალენდარში. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის განრიგში ერთი ვაკანტური ადგილი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ამერიკელებმა ვერ მოასწრეს ნიუ ჯერსიში გრანპრის ორგანიზება.

„კალენდარში თავისუფალ ადგილზე საფრანგეთის გარდა, პორტუგალიაც აცხადებს პრეტენზიას, - ამბობს ექსლტოუნი. - ამასწინ, ალგარვეში მათ ახალი ტრეკი ააშენეს. რაც შეეხება ავსტრიას, ამ ქვეყანაში კარგია შევებულების გატარება, მაგრამ იქ ეტაპის გამართვაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| ზამბია-ნიგერია | 1:1 |
| ბურკინა ფასო-ეთიოპია | 4:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჟალგირისი-იაგელონია | 1:2 |
| სტ. გალენი-ბელინცონა | 1:1 |
| ლევადია-ტრანს ნარვა | 2:0 |
| ვეილე-ოლბორგი | 2:2 |
| ოდენსე-კიოგე | 3:0 |
| ადმირა-ჰალადაში | 2:0 |
| ბილი-ლოზანა | 2:4 |
| რანდერსი-ჰიორინგი | 5:2 |
| თუნი-აუსტრია | 0:0 |
| კლუჟი-იანგ ბოიზი | 1:1 |
| ცსკა-რუსენბორგი | 2:0 |
| ლუდოგორეცი-შერიფი | 3:1 |
| კაიზერი-ზალცბურგი | 0:1 |
| იარო-სეინაიოენი | 2:3 |
| სიოგნდალი-ფიორდე | 4:1 |
| შახტარი-გიოტებორგი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჩელტენემი-როჩდეილი | 0:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| მილუოლი-ასტონ ვილა | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| კროტონე-სასუოლო | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვილიარეალი-საბადელი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-ნიურნბერგი | 3:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| არმინია-ოფენბახი | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლიუბეკი-კლოპენბურგი | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| ვალანსი-ლიონი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-არლი | 2:0 |
| ოსერი-ლე მანი | 1:1 |
| კლერმონი-კაენი | 0:0 |
| გფკო აიაჩო-ჰავრი | 0:1 |
| ნანტი-ტური | 3:1 |
| ნიმი-სედანი | 2:1 |
| ნიორი-ლავალი | 0:0 |
| **ნასიონალი** | |
| ბულონი-კევილი | გადაიდო |
| შერბური-კრეტეი | 0:0 |
| ვანი-ლუზენაკი | 3:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ვენლო-ალკმაარი | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ექსელსიორი-ტელსტარი | 0:0 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-კორტრიიკი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ბეირა მარი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ტპს-იუვიასკიულა | 1:0 |
| კუოპიო-ვაასა | 4:1 |
| **თურქეთი** | |
| ძარაბუქი-ქასიმფაშა | 0:3 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| ბალინამალარდი-პორტდაუნი | 0:1 |
| ბალიმენა-დონეგალი | გადაიდო |
| დუნგანონი-ლინფილდი | გადაიდო |
| გლენტორანი-გლენავონი | გადაიდო |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალ კოუსტი-ადელაიდა | 3:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-უნიკახა | 81:94 |
| ეფესი-ჟალგირისი | 56:52 |
| პანათინაიკოსი-რეალი | 54:58 |
| მონტეპასკი-ბეშიქთაში | 63:57 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-გრაველენი | 79:83 |
| პარიზი-როანი | 71:87 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები. 1/2 ფინალი** | |
| ესპანეთი-სლოვენია | 26:22 |
| დანია-ხორვატია | 30:24 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| ტორპედო-ატლანტი | 3:5 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-გრაცი | 2:0 |
| დორნბირნი-ზნოიმო | 1:7 |
| ინსბრუკი-ალბა | 1:4 |
| ლინცი-ვილახი | 4:3 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 5:4 (ო) |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კიოლნი | 1:3 |
| აუგსბურგი-დიუსელდორფი | 2:3 (ო) |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 4:2 |
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 4:3 |
| იზერლონი-შტრაუბინგი | 3:5 |
| მიუნხენი-ჰანოვერი | 0:1 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰერლევი | 5:1 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:4 |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 3:4 (ო) |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 5:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-პიესტანი | 0:3 |
| მარტინი-სკალიცა | 2:3 (ბ) |
| ნიტრა-კოშიცე | 2:3 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 5:1 |
| ბისტრიცა-ზვოლენი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-პელიკანსი | 1:5 |
| ჰპკ-კერპეტი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 4:5 |
| ჟლინი-ლიტვინოვი | 2:1 (ო) |
| კლადნო-სპარტა | 3:6 |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 2:3 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 2:1 |
| სლავია-ბრნო | 2:1 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-სერვეტი | 6:3 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 4:3 |
| ცუგი-ფრისბურგი | 4:5 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-მოდო | 3:2 |
| ჰვ71-აიკ | 6:0 |
| შელეფტეო-ლულეო | 0:1 (ო) |

## TV პროგრამა

### 27 იანვარი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. დორტმუნდი-ნიურნბერგი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. II ტური. სანტოსი-ბოტაფოგო.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ჰანოვერი-ვოლფსბურგი (LIVE).
**20:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ფრაიბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**23:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი (LIVE).
**01:45** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. II ტური. პაულისტა-კორინთიანსი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. დანია-ხორვატია.
**11:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ბრუკლინი.
**15:00** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა.
**19:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. V ტური. მაკაბი-ოლიმპიაკოსი.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. V ტური. პანათინაიკოსი-რეალი.
**23:00** NBA ACTION.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ბრუკლინი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
**12:50** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. დანია-ხორვატია.
**14:50** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. V ტური. პანათინაიკოსი-რეალი.
**16:50** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-დენვერი.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:00** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.

### 28 იანვარი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი.
**12:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ვიტესი-აიაქსი (LIVE).
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. შტუტგარტი-ბაიერნი (LIVE).
**22:30** ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. III ტური. მირასოლი-კორინთიანსი (LIVE).
**01:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ფეიენოორდი-ტვენტე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ იორკი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ფეიენოორდი-ტვენტე (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ იორკი.
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მაიამი (LIVE).
**00:45** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
**15:00** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის.
**17:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ანტონიო.
**21:30** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. ფინალი (LIVE).
**23:30** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 12 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 14 | (წვიმა) |
| ბათუმი | 5 | 14 | (წვიმა) |
| ფოთი | 7 | 15 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 14 | (წვიმა) |
| გორი | 0 | 9 | (წვიმა) |
| თელავი | 3 | 14 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 13 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 4 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -3 | 7 | (თოვლი) |
| მესტია | -7 | 5 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2122 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6602 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6299 |
| 100 რუსული რუბლი | 5. 5038 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# გაპარტახებული ვალენსია

გასული წლის ბოლოს გაიმართა პოლემიკა ბარსელონასა და ვალენსიას ავტოდრომების მფლობელებს შორის, რომელიც ესპანეთის გრანპრის მასპინძლობას უკავშირდებოდა. თითქოს კომპრომისი მოიძებნა, მაგრამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ვალენსიაში ქუჩის ტრასა თითქმის გამოუსადეგარი გახდა.

ესპანური გაზეთი „მარკა" ხატავს ავტოდრომის დღევანდელი მდგომარეობის ნაღვლიან სურათს: რბოლის მართვის ელექტრონული ბლოკები მოპარულია, დამსხვრეულია ქუჩის სანათები, გაქრა საკანალიზაციო ორმოების სახურავები... ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, ტრასას ყურადღებას არავინ აქცევს და მაროდიორებმა დიდი ხანია გაიტაცეს ყველაფერი, რაც რაიმე ღირებულებას წარმოადგენდა. სიტუაცია იმდენად სავალალოა, რომ გვირაბი, რომლის მეშვეობითაც ტრასაზე მოხვედრაა შესაძლებელი, დაიტბორა, ხოლო ხიდი, რომლის აშენებაზე ორი მილიონი ევრო დაიხარჯა, უსახლკაროთა თავშესაფრად იქცა.

ტრასასთან მიმდებარე სახლების ბინადრებმა ქალაქის მთავრობას სთხოვეს, ტრასას რაიმე სარგებლობა მოუნახონ იქამდე, სანამ იქ ფორმულა 1 არ დაბრუნდება.

# ალონსო ხერესში არ იქნება



ფელიპე მასა

„ფერარის" პირველ ტესტებს ხერესის ავტოდრომზე ბრაზილიელი **ფელიპე მასა** დაიწყებს, - იტყობინება „სკუდერიას" პრესსამსახური. ოფიციალური ტესტების პირველი სერია ხერესში ხუთიდან რვა თებერვლამდე გაიმართება და იქ ვერ ვიხილავთ „ფერარის" ლიდერს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს**. 5-7 თებერვალს, ახალი ბოლიდით იმუშავებს მასა, 8 თებერვალს კი მას გუნდის ახალი ტესტ-პილოტი **პედრო დე ლა როსა** შეცვლის.

ფერნანდო ალონსო თებერვლის პირველ ნახევარში საკუთარი პროგრამით მოემზადება ახალი სეზონისთვის - ეს იქნება, ძირითადად, ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები, ხოლო უშუალოდ მანქანის ტესტებს ის მხოლოდ 19 თებერვალს, ბარსელონას ავტოდრომზე შეუდგება. ალონსოც ზედიზედ სამი დღე იმუშავებს ტრასაზე და 22 თებერვალს დაჯდება საჭესთან მასა.

რაც შეეხება ტესტების მესამე სერიას, „ფერარის" პილოტები იქ დღეგამოშვებით იმუშავებენ. ასე რომ, ოფიციალური ტესტებისას მასა ტრასაზე ექვს დღეს გაატარებს, ალონსო - ხუთს და ერთი დღე დაეთმობა დე ლა როსას.

# კუბიცა ფორმაში მოდის



რობერტ კუბიცა თავის მერსედესთან ერთად

პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** წარმატებით დაასრულა DTM-ის სერიის პირველი სატესტო დღე „მერსედესის" მანქანით. ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა 114 წრე გაიარა იმის მიუხედავად, რომ საჭირო გახდა ვარჯიშის შეწყვეტა წვიმის მიზეზით.

*„ჩემმა პირველმა სატესტო დღემ ძალიან კარგად ჩაიარა, ბევრი ახალი რამ გავიგე ამ სერიისა და უშუალოდ მანქანის შესახებ,* - ამბობს კუბიცა ბრიტანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *დასაფიქსირებელი წრე მშრალ ტრასაზე გავიარე, მაგრამ შემდეგ ძლიერი წვიმა წამოვიდა და ლოდინმა მოგვიწია, სანამ ასფალტი გაშრებოდა.*

*საკმაოდ იოლად შევძელი Mercedes AMG C-Coupe-თან ადაპტირება და საჭესთან თავს კომფორტულად ვგრძნობდი, თუმცა დიდხნიანი პაუზის შემდეგ, მაღალი მოჭიდების ძალისთვის შეგუებამ მომიწია, რაც არ იყო იოლი. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი შედეგებით და დღეს არანაირი პრობლემა არ შემქმნია".*

ამასთან, პოლონელი არ ადასტურებს, რომ 2013 წელს სწორედ DTM-ის სერიაში გამოვა: *„DTM-ში სეზონი საკმაოდ გვიან იწყება, ასე რომ, წინ დიდი დრო მაქვს, თუმცა უმჯობესი იქნება სწრაფად გავერკვიო იმ ვარიანტებს შორის, რომელიც ახლა გამაჩნია. DTM - ერთ-ერთი ვარიანტია. ყველაფერი სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ შევინარჩუნე სისწრაფე და შემიძლია კარგი შედეგების ჩვენება".*

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ნოვაკს ენდი ერგება

გუშინ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ერთეულთა თანრიგში ერთადერთი მატჩი იმართებოდა - უნდა გარკვეულიყო ფინალში **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მეტოქე. თუ სერბისა და **დავიდ ფერერის** ნახევარფინალში ინტრიგა თითქმის არ არსებობდა, **როჯერ ფედერერისა** და **ენდი მარეის** დაპირისპირებაში ძალიან რთული იყო გამარჯვებულის გამოცნობა. პირად შეხვედრებში ჩოგბურთელებს თითქმის თანაფარდობა ჰქონდათ: 10:9-ს იგებდა ბრიტანელი. ამასთან, შარშან, ხუთიდან სამ მატჩში ფედერერმა გაიმარჯვა.

ამ ტურნირზე ორივე ჩოგბურთელი საკმაოდ ხარისხიან ჩოგბურთს აჩვენებდა. ფედერერს მხოლოდ ერთ მატჩში გაუჭირდა, როცა მეოთხედფინალში ხუთი სეტი დასჭირდა **ჟო-ვილფრიდ ცონგას** დასამარცხებლად. რაც შეეხება, ენდის, მას ნახევარფინალამდე არც ერთი სეტი არ წაუგია, თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ფედერერს ბრიტანელზე გაცილებით რთული მეტოქეები ჰყავდა.

ყველასთვის მოულოდნელად, პირველ სეტში მარეი უკეთ უტევდა, მაგრამ, ამასთან, ბევრ შეცდომას უშვებდა. და ასეთმა ჩოგბურთმა ენდის შედეგი მოუტანა - უკვე სასტარტო გეიმში როჯერს ბრეიკ-პოინტების მოგერიებამ მოუწია, 1:1-ზე კი მარიემ ბრეიკი გააკეთა. თავად ბრიტანელს საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ ერთხელ შეექმნა პრობლემა, როცა სამი გეიმბოლიდან გაირთულა საქმე, მაგრამ გადაარჩინა გეიმი. საინტერესოა, რომ პირველ სეტში როჯერს არც ერთი ეისი არ შეუსრულებია.

მეორე სეტში როჯერმა მოუმატა აქტიურობას და თამაში გათანაბრდა. მარეი კვლავინდებურად უკეთ აწოდებდა, მაგრამ ფედერერი უპრობლემოდ იღებდა თავის გეიმებს. საბოლოოდ, პარტიაში ბრეიკ-პოინტი არ ყოფილა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ამ ტურნირზე როჯერს ოთხიდან ოთხი მე-13 გეიმი ჰქონდა მოგებული და ეს სერია გააგრძელა. თავის მოწოდებაზე პირველი ბურთის წაგების შემდეგ, ფედერერმა ზედიზედ ოთხი ქულა მოიგო, მაგრამ მარეი არ დანებდა და გაათანაბრა ანგარიში, თუმცა იქვე კიდევ ერთი მინი-ბრეიკი მისცა მეტოქეს და დამარცხდა.

მესამე პარტიაში ენდიმ კვლავ დაალაგა თამაში უკანა ხაზზე და ისევ დაიბრუნა უპირატესობა გრძელ გათამაშებებში. ერთ-ერთ გეიმში ფედერერმა ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ შემდეგ, მარეიმ სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. ამასთან, ბრიტანელი თავის მოწოდებას ისევ დამაჯერებლად ინარჩუნებდა და მცირე შანსსაც არ აძლევდა როჯერს. საბოლოოდ, მან იოლად აიღო სეტი - 6:3.

მეოთხე პარტიის დასაწყისი კი უკეთ ფედერერს გამოუვიდა. 2:1-ზე მან პირველად მატჩში სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო. ორჯერ ენდის მოწოდება დაეხმარა, მაგრამ გეიმის გადარჩენა მან მაინც ვერ შეძლო. მატჩში პირველმა ბრეიკმა თითქოს გამოაცოცხლა შვეიცარიელი, მაგრამ თავის მოწოდებაზე ორმა შეცდომამ თამაში ძველ კალაპოტში დააბრუნა. ენდი ამით არ დაკმაყოფილდა და მალე კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა, რითაც მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო.



ფედერერმა ზედიზედ ორ მარათონს ვერ გაუძლო

მარეის ორი ბურთი რჩებოდა გამარჯვებამდე, მაგრამ ფედერერმა მაქსიმალური კონცენტრაცია მოახერხა და ტაი-ბრეიკამდე მივიდა. ამჯერად, „საჩოგბურთო ლატარიაში" სერიოზული ბრძოლა არ ყოფილა. როჯერმა აშკარად იპოვა საკუთარი თამაში და გაანადგურა მეტოქე - 7:2.

და მაინც, მეხუთე სეტში მარეის უპირატესობა აშკარა იყო. ენდის აშკარად მეტი ძალა შერჩა, როჯერს კი სულ უფრო უჭირდა ხარისხიანი შეტევების ორგანიზება. ბრიტანელი რაიმე განსაკუთრებულს არ აჩვენებდა, უბრალოდ, ფედერერის შეცდომების რაოდენობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. როჯერი თავიდანვე მდევრის როლში აღმოჩნდა - 0:3-ს აგებდა და ენდიმ მას სიტუაციის გამოსწორებიმ საშუალება არ მისცა, პირიქით, ბოლოს კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა - 6:4, 6:7, 6:3, 6:7, 6:2.

ასე რომ, ფედერერმა ზედიზედ მესამედ წააგო ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში. საინტერესოა, რომ ამ წლებში ის „დიდი ოთხეულის" წევრებთან მარცხდებოდა - 2011-ში ჯოკოვიჩთან, 2012-ში **რაფაელ ნადალთან** და 2013-ში - მარეისთან.

■ ■ ■

გუშინვე ავსტრალიის ღიაზე გამოვლინდა პირველი გამარჯვებული. ქალთა წყვილებს შორის გაიმარჯვა პირველ ნომრად განთესილმა იტალიურმა დუეტმა, რომლის რიგებში შედიან **სარა ერანი** და **რობერტა ვინჩი**. მათ ფინალში სამ სეტში მოუგეს ავსტრალიელებს - **ეშლი ბარტისა** და **კეისი დელაკუას** - 6:2, 3:6, 6:2.

მანამდე, გაირკვა ფინალური წყვილი მიქსტში. გადამწყვეტი მატჩის მონაწილეები გახდნენ ავსტრალიელები - **იარმილა გაიდოშოვა** და **მეტიუ ებდენი**, რომლებიც ჩეხეთის წარმომადგენლებს - **ლუსი ჰრადეცკასა** და **ფრანტიშეკ ჩერმაკს** შეხვდებიან.

# ნადალი პოკერშიც მაგარია



რაფა ნადალი

იქამდე, სანამ საჩოგბურთო კორტზე დაბრუნდება, **რაფაელ ნადალი** ათასგვარ საშუალებას პოულობს გასართობად. ამჯერად, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მოიგო ონლაინ-ტურნირი პოკერში. რაფამ პირველი ადგილი დაიკავა 48 მონაწილეს შორის. ტურნირზე წინასწარი შესატანი 10 ევრო იყო, ხოლო მოგებისთვის ნადალმა 152 ევრო დაიმსახურა. შეჯიბრება დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა, - წერია ვებგვერდ OnlinePoker.net-ზე.

26 წლის ჩოგბურთელი თამაშობდა ულიმიტო ტექსასურ ჰოლდმესს - ეს არის პოკერის ნაირსახეობა, რომელშიც მოთამაშის მაქსიმალური ფსონი შეზღუდულია მხოლოდ მისი სტეკის ოდენობით. ნადალმა პოკერში ონლაინ-ტურნირი პირველად მოიგო.

2012 წლის ზაფხულში, ნადალმა ხელი მოაწერა კონრაქტს კომპანის PokerStars-თან, რომლის ეგიდითაც იმართება უამრავი ონლაინ-ტურნირი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608